unesco
Institute for Lifelong Learning

vhs
DVV International

DIE
German Institute for Adult Education
Leibniz Centre for Lifelong Learning

ICAE
INTERNATIONAL COUNCIL FOR ADULT EDUCATION

Curriculum globALE

კომპეტენციების ჩარჩო ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის

Education 2030

unesco
Institute for Lifelong Learning

vhs
DVV International

DIE
German Institute for Adult Education
Leibniz Centre for Lifelong Learning

ICAE
INTERNATIONAL COUNCIL FOR ADULT EDUCATION

Curriculum globALE

კომპეტენციების ჩარჩო ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის

Education 2030

გამოქვეყნებულია 2021 წელს

გერმანიის ზრდასრულთა განათ-
ლების ინსტიტუტის (© DVV
International) საქართველოს ოფისის
მიერ.

თავდაპირველად გამოაქვეყნა
გერმანიის ზრდასრულთა განათ-
ლების ინსტიტუტმა (© DVV
International), ლაიბნიცის მთელი
სიცოცხლის მანძილზე სწავლის
ცენტრმა (É German Institute for Adult
Education – Leibniz Centre for Lifelong
Learning), ზრდასრულთა განათ-
ლების საერთაშორისო საბჭომ
(É International Council for Adult
Education) და იუნესკოს მთელი
სიცოცხლის მანძილზე სწავლის
ინსტიტუტმა (É UNESCO Institute for
Lifelong Learning).

თავდაპირველად გამოქვეყნდა
ინგლისურ ენაზე სახელწოდებით:
*Curriculum globALE – Competency
framework for adult educators (2021).*

თარგმანი: მელიტა ფაჩულია,
ნარიზა მაკალათია

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ულრიკე კიონი, გერმანია

ბეჭდვა: Print Fabrika

ISBN 978-9941-8-3849-1

ეს პუბლიკაცია ღია წვდომით
ხელმისაწვდომია: Attribution-
ShareAlike 3.0 IGO (CC-BY-SA 3.0
IGO) licence (http:/creative
commons.org/licenses/bysa/3.0/igo/).
ამ პუბლიკაციის შინაარსის
გამოყენებით მომხმარებლები
ვალდებულებას იღებენ, დაიცვან
იუნესკოს ღია წვდომის საცავის
პირობები (http://www.unesco.org/
openaccess/terms-use-ccbysa-en).

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

აღიარებები 7

Curriculum globALE-ის დასაბუთება და საფუძვლები 8

ნაწილი 1 Curriculum globALE: შესავალი

1.1. Curriculum globALE-ის მოკლე აღწერა 13

1.2. როგორ შეიქმნა Curriculum globALE? წყაროები და პარტნიორები 16

1.3. ზრდასრულთა განმანათლებლების როლი მრავალფეროვან კონტექსტში 23

1.4. Curriculum globALE და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა 25

1.5. Curriculum globALE-ის პრინციპები 28

1.6. Curriculum globALE-ის მიმოხილვა 32

1.7. რეკომენდაციები Curriculum globALE-ის განხორციელებისთვის 36

1.8. ხარისხის უზრუნველყოფა 44

ნაწილი 2 Curriculum globALE: მოდულების მიმოხილვა

მოდული 0: შესავალი 45

მოდული 1: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების საფუძველი 48

მოდული 2: ზრდასრულთა სწავლა და სწავლება 53

მოდული 3: კომუნიკაცია და ჯგუფური დინამიკა ALE-ში 57

მოდული 4: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდები 61

მოდული 5: დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება ALE-ში 66

არჩევითი მოდულ(ები)ი 70

გამოყენებული ლიტერატურა 73

წინასიტყვაობა

დევიდ აჩოარენა

ზრდასრულთა სწავლა და განათლება (Adult learning and education (ALE) მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მთავარი კომპონენტია. მას დიდი პოტენციალი აქვს, დაეხმაროს ინდივიდებს, თემებსა და საზოგადოებებს თანამედროვე მსოფლიოს ისეთი ძირითადი გამოწვევების მოგვარებაში, როგორებიცაა: დაბერება, შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია, დიგიტალიზაცია, გლობალური მოქალაქეობა და კლიმატის ცვლილება. ALE, მრავალი მოქნილი გზის, მიწოდების მეთოდის, შეფასებისა და სერტიფიკაციის რეჟიმის შეთავაზებით, უწყვეტი შესაძლებლობებით უზრუნველყოფს მოსწავლეებს იმ უნარებისა და კომპეტენციების განსავითარებლად, რაც საჭიროა 21-ე საუკუნეში.

ALE გაეროს განვითარების მე-4 მიზნის (მგმ) ძირითადი კომპონენტია ხარისხიანი განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესახებ და ხელს უწყობს დანარჩენი 16 მგმ-დან ბევრის მიღწევას. ზრდასრულთა განმანათლებლისთვის მაღალხარისხიანი ტრენინგის შეთავაზება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ALE-ის პროგრამებისა და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.

ბელემის სამოქმედო ჩარჩოს (Belém Framework for Action (BFA)) ზრდასრულთა განათლების მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის (the Sixth International Conference of Adult Education - CONFINTEA VI, 2009) შედეგების დოკუმენტის მიხედვით, ALE-ის განმანათლებლები ALE-ის პოლიტიკისა და პრაქტიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ითვლებიან. BFA-ის საშუალებით, იუნესკოს წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს, შეემუშავებინათ სასწავლო პროგრამები, სასწავლო მასალების ხარისხის კრიტერიუმები, გაეუმჯობესებინათ ტრენინგი და დასაქმების პირობები ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის.

2015 წლის იუნესკოს რეკომენდაცია ზრდასრულთა სწავლისა და განათლების შესახებ (UNESCO Recommendation on Adult Learning and Education (RALE)) ხაზს უსვამს, რომ ზრდასრულთა სწავლის ხარისხის კულტურა მოითხოვს შესაბამის შინაარსსა და სწავლების მეთოდებს, მოსწავლეზე ორიენტირებულ საჭიროებათა შეფასებას, მრავალი კომპეტენციისა და ცოდნის შეძენას, განმანათლებლის პროფესიონალიზაციას, სასწავლო გარემოს გამდიდრებასა და ინდივიდებისა და თემების გაძლიერებას.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს კვალიფიციური ზრდასრულთა განმანათლებლის დეფიციტი და არასაკმარისი ინსტიტუციური შესაძლებლობები წინასწარი და სამსახურებრივი ტრენინგისთვის. შედეგად, ზრდასრულთა განმანათლებლები ხშირად ცუდად არიან დატრენინგებულნი, არ აქვთ მყარი პროფესიული მომზადება და მცირე შესაძლებლობები გააჩნიათ მთელი კარიერის მანძილზე სწავლის გასაგრძელებლად.

ეს პუბლიკაცია მხარს უჭერს ზრდასრულთა სწავლასა და განათლების პროფესიონა-ლიზაციას ძირითადი კომპეტენციების განსაზღვრით ზრდასრულთა განმანათლებლების კვალიფიკაციისთვის.

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების კურიკულუმი, რომლის გამოყენებაც გლობალური მასშტაბით იქნებოდა შესაძლებელი, რთულად შესაქმნელად მიიჩნევა. თუმცა, არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც საერთოა ზრდასრულთა განათლების პრაქტიკაში მთელ მსოფლიოში. ზრდასრულთა განმანათლებლის როლი, როგორც ეს Curriculum globALE-შია მოცემული, იმ საერთო მნიშვნელობებსა და პრინციპებს ეფუძნება, რომლებიც უნივერსალურია და რამდენიმეწლიანი განხორციელებისა და დახვეწის შედეგადაა დადასტურებული საყოველთაოდ.

კურიკულუმი, შეიძლება, მოერგოს ეროვნულსა და ადგილობრივ კონტექსტებს ორგანიზაციის, შინაარსის, ტრენინგისა და განხორციელების წესების მეთოდების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შინაარსის სწავლების მრავალი გზა არსებობს, ძირითადი კომპეტენციები ზრდასრულთა განმანათლებლის სასწავლო პროგრამების საყრდენად უნდა დარჩეს.

ALE-ისთვის კურიკულუმისა და კომპეტენციის ჩარჩოს შემუშავება თანხვედრაშია UIL-ის მიზნებთან, რომ დაეხმაროს BFA-ისა და RALE-ის განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების გეგმების მიღწევას.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ Curriculum globALE გათვალისწინებული არ არის როგორც მზა გამოსავალი, არამედ ის უნდა ადაპტირდეს სპეციფიკურ პირობებსა და სისტემებზე.

Curriculum globALE, როგორც ზრდასრულ განმანათლებელთა მსოფლიო მასშტაბის საკვალიფიკაციო ჩარჩო, წარმოადგენს ცოდნისა და კომპეტენციების სტანდარტს, რომლის გამოყენებაც საერთაშორისო დონეზე შეიძლება. ეს კი სხვადასხვა კონტექსტის ინტეგრირების საშუალებას იძლევა.

ვიმედოვნებთ, რომ ჩარჩო ALE-ის დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება ხარისხის სასწავლო გეგმის განვითარებასა და საზღვარგარეთ ზრდასრულთა განმანათლებლების პროფესიონალიზაციაში, არა მხოლოდ ძირითადი კომპეტენციების, არამედ საერთო ღირებულებების აღიარებასა და განვითარებაში, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და მდგრადი განვითარებისკენ ჩვენს საერთო სწრაფვას ემსახურება.

დევიდ აჩოარენა, იუნესკოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ინსტიტუტის დირექტორი (UNESCO Institute for Lifelong Learning)

აღიარებები

Curriculum globALE-ს ეს ახალი ვერსია არის ოთხი პარტნიორი წარმომადგენლისგან, კერძოდ კი, იუნესკოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ინსტიტუტის (UNESCO Institute for Lifelong Learning (UIL)), სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV International (Institute for International Cooperation of the Deutscher Volkshochschul-Verband e.V. (DVV)), გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტის – ლაიბნიცის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ცენტრისა (German Adult Education Association, the German Institute for Adult Education – Leibniz Centre for Lifelong Learning (DIE)) და ზრდასრულთა განათლების საერთაშორისო საბჭოსგან (the International Council for Adult Education (ICAE) შემდგარი მმართველი ჯგუფის ინიციატივის შედეგი.

პროექტის პარტნიორები განსახორციელებელ რეკომენდაციებზე მუშაობენ Curriculum globALE-ის განსხვავებული მოდალობებისა და ვარიანტების გაზიარებისა და მოთხოვნების (ტრენერების, მონაწილეებისა და განმახორციელებელი პარტნიორების) განსაზღვრის გზების, შეფასებისა და სერტიფიცირების კუთხით.

პროცესს კოორდინაციას ანგელა ოვუსუბოამპონგი და ვერნერ მაუხი (UIL) უწევდნენ, ხოლო პროექტის მმართველი ჯგუფის წევრთა შორისაა უვე გარტენ შლეგერი (DVV), სუზანე ლატკე (DIE) და კატარინა პოპოვიჩი (ICAE), რომლებიც შესწორებული წიგნის ავტორები არიან.

Curriculum globALE-ს თავდაპირველი ვერსია, რომელიც 2012/13 წლებში შეიქმნა DVV International-ისა (ლევან კვაჭაძე, კატარინა პოპოვიჩი, იესკო ვაიკერტი) და DIE-ის (სუზანე ლატკე) მიერ, წარმატებით აპრობირდა სხვადასხვა რეგიონში და ტრენინგის ძირითადი სასწავლო გეგმისა და ზრდასრულთა განმანათლებლების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებებს პასუხობდა.

ამ ახალი ვერსიისთვის მმართველმა ჯგუფმა კონსულტაცია გაუწია ყველა რეგიონის საერთაშორისო ექსპერტებს, რათა უზრუნველეყო კურიკულუმის შესაბამისობა იმ რეგიონული და კულტურული კონტექსტების მრავალფეროვნებასთან, სადაც ALE ვითარდებოდა. მადლიერი ვართ ყველა იმ ადამიანისა და ორგანიზაციისა, ვინც წვლილი შეიტანა მოხსენებაში და თავიანთი კრიტიკული შენიშვნები გააზიარა.

განსაკუთრებული მადლობა ეძღვნება: ნადია ჰაშემს, ტიმოთი აირლანდს, ლევან კვაჭაძეს, ტომას ლიხტენბერგს, სტივენ ონიექველუს, ჯონგევაი პარკს, კეტლინ პარკერს, სამა შელების, საბინე შმითლოფსა და სილკე შრაიბერბარშს, კარლოს ვარგას რამეზს, ტაინა ტამელინლაინეს, მერი ვატუგულუსა და მარი იასუნაგას. მადლობას ვუხდით, ასევე, ჯენიფერ ქიორ-ნსვილერიჰს ტექსტის რედაქტირებისთვის და სანდრინ სებასტიანის პროცესის ეფექტური მხარდაჭერისთვის.

ზემოთ ნახსენები ყველა ადამიანის წვლილმა განაპირობა ამ პუბლიკაციის შექმნა, რაც, იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს ზრდასრულთა განმანათლებლების პროფესიონალიზმის გაუმჯობესებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

Curriculum globALE-ის

დასაბუთება და საფუძვლები

ეს პუბლიკაცია Curriculum globALE (CG)-ის მსოფლიოს მასშტაბით ზრდასრულთა განმანათლებლების გადამზადებისთვის კომპეტენციების ძირითად ჩარჩოს წარმოადგენს. კურიკულური მიდგომების უზრუნველყოფით, Curriculum globALE უნიკალურია თავისი მიზნით - საერთაშორისო დონეზე მოახდინოს ზრდასრულთა სწავლისა და განათლების (ALE) პროფესიონალიზაცია.

ALE მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც ამჟამად გადამწყვეტი როლი ენიჭება ხალხისა და საზოგადოებების წინაშე მდგარი გლობალური გამოწვევების მოგვარებაში. ბელემის სამოქმედო ჩარჩო (the Belém Framework for Action (BFA)), ზრდასრულთა განათლების მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის (the Sixth International Conference on Adult Education) (CONFINTEA VI, 2009) შედეგების დოკუმენტი, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პროფესიონალიზაციას ALE-ის პოლიტიკისა და პრაქტიკის ძირითად კომპონენტად განსაზღვრავს. BFA-ის საშუალებით, იუნესკოს წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ხარისხის კრიტერიუმები ALE-ის კურიკულუმისა და ტრენინგის მასალებისთვის და გააუმჯობესონ ზრდასრულთა განმანათლებლების დატრენინგებისა და დასაქმების პირობები. მათ ეს ვალდებულება აიღეს, რადგან „ზრდასრულთა სწავლა და განათლება ხალხს საშუალებას აძლევს, შეიძინონ საჭირო ცოდნა, შესაძლებლობები, უნარ-ჩვევები, კომპეტენციები და ღირებულებები, გამოიყენონ თავიანთი უფლებები და თავად მართონ საკუთარი ცხოვრება. ზრდასრულთა სწავლა და განათლება, ასევე, მნიშვნელოვანია სამართლიანობისა და ინკლუზიის მისაღწევად, სიღარიბის აღმოსაფხვრელად და სამართლიანი, ტოლერანტული, მდგრადი და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებების შესაქმნელად“ (UIL, 2010).

ALE-ის განმარტებაში 2015 წლის რეკომენდაცია ზრდასრულთა სწავლისა და განათლების შესახებ (RALE) ამტკიცებს, რომ ზრდასრულთა განათლების საბოლოო მიზანი საზოგადოებაში, მათ შორის, სამუშაო სამყაროში, მთელი სიცოცხლის მანძილზე მათი სრულად ჩართულობის უზრუნველყოფაა. RALE განსაზღვრავს სწავლისა და უნარების სამ ძირითად დარგს, რომელიც ALE-თვის მნიშვნელოვანია:

- წიგნიერება და ძირითადი უნარები;
- უწყვეტი განათლება და პროფესიული უნარები;
- ლიბერალური, პოპულარული და საზოგადოებრივი განათლებისა და მოქალაქეობრივი უნარები.

რაც შეეხება ხარისხსა და პროფესიონალიზაციას, RALE ხაზს უსვამს, რომ „ზრდასრულთა განათლების ხარისხის კულტურა მოითხოვს შესაბამის შინაარსსა და სწავლების მეთოდებს, მოსწავლეზე ორიენტირებული საჭიროებების შეფასებას, მრავალი კომპეტენციისა და ცოდნის შეძენას, განმანათლებლების პროფესიონალიზაციას, სასწავლო გარემოს გამდიდრებას, ინდივიდებისა და თემების გაძლიერებას“ (იუნესკო, 2015ა). იუნესკოს რჩევით,

ყურადღება გასამახვილებელია „ზრდასრულთა სწავლასა და განათლებასთან“ შესაბამისობაზე, სამართლიანობაზე, ეფექტურობასა და ქმედითობაზე; გარდა ამისა, იგი რეკომენდაციას უწევს ALE-ის მიწოდებას კონტექსტუალიზებული, მოსწავლეზე ორიენტირებული, კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით შესაფერისი პროგრამების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ALE-ის სამართლიან ხელმისაწვდომობასა და მდგრად მონაწილეობას დისკრიმინაციის გარეშე და, ასევე, პროგრამების ეფექტურობისა და ქმედითობის შეფასებას (იქვე).

გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგმა და მდგრადი განვითარების მიზნებმა (მგმ) ALE-ის შემდგომ განვითარებას ახალი სტიმული მისცა. მდგრადობის დღის წესრიგი ეხება შიმშილის, სიღარიბის, უთანასწორობის, კლიმატის ცვლილების, გარემოს დეგრადაციის და მშვიდობისა და სამართლიანობის საფრთხეებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. განათლება ფუნდამენტურია ამ მრავალი გამოწვევის დასაძლევად და წარმოდგენილია დამოუკიდებელი მიზნით, მგმ 4, რომელიც ქვეყნებს მოუწოდებს, „უზრუნველყონ ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლება და ხელი შეუწყონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს“ (გაერო, 2015).

ზრდასრულთა სწავლა და განათლება მგმ 4-ის, რომელიც ხარისხიან განათლებას ეხება, ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და მრავალი სხვა 16 მგმ-ის მიღწევას უწყობს ხელს. მიზანი 4 C მიზნად ისახავს „მნიშვნელოვნად გაზარდოს კვალიფიციური მასწავლებლების რიცხვი, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, მასწავლებელთა ტრენინგებით განვითარებად ქვეყნებში“ 2030 წლამდე (იქვე). ზრდასრულთა განმანათლებლები მთავარ ძალას წარმოადგენენ მსოფლიოს მასშტაბით ხარისხიანი ALE-ს მიწოდებისა და პოპულარიზაციის საქმეში. შესაბამისად, ზრდასრულთა განმანათ-ლებლებისთვის მაღალხარისხიანი ტრენინგი არა მხოლოდ ALE-ის პროგრამების სტანდარტს გააუმჯობესებს, არამედ ქვეყნების მგმ-ების მიღწევის შესაძლებლობებსაც.

გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტის, DVV International-ის მიერ ჩატარებულმა 2020 წლის კვლევამ აჩვენა, რომ

> ALE-ისა და მგმ-ებს შორის ურთიერ-თკავშირები ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდოლოგიური მიდგომებისგან გამომდინარეობს. ALE გაგებულია როგორც მობილიზაციის, გაძლიერებისა და ტრანსფორმაციის პროცესი. ამ პროცესის შედეგი, ერთი მხრივ, ახალი ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციებია, მეორე მხრივ კი, შეიძლება, პოლიტიკური და გადა-წყვეტილების მიღების პროცესების მართვა, სურვილი და მოქმედების უნარი გამოიწვიოს. ALE მოსწავლეზეა ორიენ-ტირებული და შეუძლია მოსწავლეთა - არა როგორც მხოლოდ ცოდნის მიმღებთა - არამედ, როგორც თავიანთი ცხოვრე-ბისა და საზოგადოების ცვლილების მონაწილეთა მობილიზება (შვაიგ-ჰიოფერი, 2019).

ზრდასრულთა სწავლამ და განათლებამ თავის სრულ პოტენციალს რომ მიაღწიოს, მას მხარი უნდა დაუჭირონ შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მქონე ადამიანებმა. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, როგორც წესი, რაიმე სახის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ, ხშირად კოლეჯის ან უნივერსიტეტის დონეზე (წინასწარი ტრენინგის ან კვალიფიკაციის ამაღლების სახით), ეს სულაც არ ეხება იმათ, ვინც პროგრამების შემუშავებაზე მუშაობს და ზრდასრულებს ასწავლის. ამრიგად, ALE-ის პროფესიონალიზაცია ანუ მომსახურების, პროგრამებისა და თანამშრომლების ხარისხის უზრუნველყოფა, განიხილება როგორც მდგრადი განვითარების დღის წესრიგში მითითებული ვალდებულებების შესრულების მთავარი გამოწვევა.

ალან როჯერსის განმარტებით ნაშრომში (2005) განათლება ყველასთვის გლობალური მონიტორინგის ანგარიშისთვის, 2006 წელი, „წიგნიერება ცხოვრებაში“ (იუნესკო, 2006) (Alan Rogers’ (2005) background report for the Education for All Global Monitoring Report 2006, „Literacy for Life“ (იუნესკო, 2006), მითითებულია, რომ პროფესიონალიზაციისკენ სწრაფვის მიუხედავად, იმ დროს ზრდასრულთა განმანათლებლების უმეტესობა მოხალისე ფასილიტატორები იყვნენ, რომელთაც ზრდასრულთა სწავლებისთვის სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდათ. ეს სრული სიმართლე იყო ზრდასრულთა წიგნიერების სფეროში. მოგვიანებით, BFA-მ დაადასტურა, რომ „განმანათლებლების პროფესიონალიზაციისა და ტრენინგის შესაძლებლობების ნაკლებობამ მავნე გავლენა იქონია ზრდასრულთა სწავლის ხარისხსა და განათლების უზრუნველყოფაზე“ (UIL, 2010).

ნაშრომში მითითებული იყო, რომ CONFINTEA VI-სთვის წარდგენილი 150 ქვეყნის ანგარიშში პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია ერთ-ერთ მთავარ სფეროდ აღინიშნა, სადაც საჭიროა მოქმედება. BFA-მ, შესაბამისად, ზრდასრულთა განმანათლებლის პროფესიონალიზაცია ALE-ს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაადგინა და აღნიშნა, რომ კონფერენციის მონაწილეებმა ვალდებულება მიიღეს „კონფერენციაზე ზრდასრულთა განმანათლებლების დატრენინგების, შესაძლებლობების განვითარების, დასაქმების პირობებისა და პროფესიონალიზაციის, მაგ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მასწავლებელთა ასოციაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობის დამყარებით“ (იქვე).

მას შემდეგ მრავალი რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტის ინიცირება მოხდა, რათა განსაზღვრულიყო კომპეტენციის მოთხოვნები, სტანდარტები და სწავლის პირობები, ზოგადად, ზრდასრულთა სწავლისა და განათლებისთვის და მასწავლებლებისა და ტრენერებისთვის ALE-ის ისეთ სპეციფიკურ სფეროში, როგორიცაა პროფესიული განათლება (VET) (მაგალითისთვის, იხ. CEDEFOP, 2013). იუნესკო ზრდასრულთა განმანათლებლების ტრენინგს, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიიჩნევს და, შესაბამისად, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მესამე გლობალურ მოხსენებაში (third Global Report on Adult Learning and Education - GRALE 3) მასწავლებელთა ტრენინგის პროგრესის, მათი დასაქმების პირობებისა და პროფესიონალიზაციის შეფასებისკენ მოუწოდებს ქვეყნებს (UIL, 2016). შედეგად, GRALE 4-მ (UIL, 2019) დაადგინა, რომ გამოკითხვაში მონაწილე 157 წევრი

სახელმწიფოდან და ორი ასოცირებული წევრი ქვეყნიდან 52% (76 ქვეყანა) აცხადებს, რომ ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის წინასწარი ტრენინგი გაუმჯობესებულია, 70% (105 ქვეყანა) მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილზე ტრენინგი გაუმჯობესებულია, ხოლო 58% (79 ქვეყანა) აღნიშნავს ALE-ში მასწავლებელთა დასაქმების პირობების გაუმჯობესებას. ქვეყნებმა პროგრესი, ძირითადად, წიგნიერების, საბაზისო უნარ-ჩვევების, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების (პროფესიული უნარების) მიმართულებით დააფიქსირეს; ლიბერალური, პოპულარული და საზო-გადოებრივი განათლების გაუმჯობესების მაჩვენებელი (აქტიური მოქალაქეობის უნარ-ჩვევები) 0-3%-ის ფარგლებში დარჩა (იქვე), რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად იმოქმედებს ამ სფეროებში ALE-ის თანამშრომლების პროფესიონალიზმის დონეზე.

ეს მოვლენები ინიციატივის ზოგად საფუძველს ქმნის იუნესკოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ინსტიტუტის (UNESCO Institute for Lifelong Learning (UIL)) გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტთან (Institute for International Cooperation of the German Adult Education Association (DVV International)), გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტთან – ლაიბნიცის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ცენტრთან (German Institute for Adult Education – Leibniz Centre for Lifelong Learning (DIE)), და ზრდასრულთა განათლების საერთაშორისო საბჭოსთან (International Council for Adult Education (ICAE)) თანამშრომლობით, ზრდასრულთა განმანათლებლების ტრენინგისთვის განახლებული ძირითადი კურიკულუმის შემუშავებით, ტესტირებითა და გავრცელებით.

DVV International-მა და DIE-იმ 2012 წელს Curriculum globALE-ის პირველი გამოცემა შეიმუშავეს. პირველი საველე ცდები DVV International-ის ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში 2013 წლიდან ჩატარდა. მას შემდეგ ისინი წარმატებით აპრობირდა ლათინური ამერიკის, აზიის, არაბული რეგიონისა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. განახლებული Curriculum globALE ამ გამოცდილებას ემყარება, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებს აკმაყოფილებს და შესაფერისია ტრანსნაციონალური მასშტაბის გამოყენებისთვის. ოთხი პარტნიორის: UIL-ის, DVV International-ის, DIE-ისა და ICAE-ის წარმომადგენლებისგან შემდგარმა მმართველმა ჯგუფმა კოსულტაცია გაუწია საერთაშორისო ექსპერტებს ყველა რეგიონიდან, რათა ახალ კურიკულუმში იმ რეგიონული და კულტურული კონტექსტების მრავალფეროვნების გათვალისწინება უზრუნველყოს, რომელშიც ALE ვითარდება.

უფრო მეტიც, განახლებული Curriculum globALE-სა and ALE-თვის საერთო მითითების ჩარჩოს შექმნა თანხვედრაშია UIL-ის მიზანთან, BFA-სა და RALE-ის დანერგვაში დაეხმაროს იუნესკოს წევრ სახელმწიფოებს, რაც, თავის მხრივ, მგმ-ების მიღწევას უწყობს ხელს. უფრო კონკრეტულად კი, Curriculum globALE-ის მიზანია:

- ALE-ის პროფესიონალიზაციის გაზრდა ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამების საერთო მითითების ჩარჩოებისა და ზრდასრულთა განმანათლებლების კომპეტენციის სტანდარტების შემოთავაზებით;
- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების განმახორციელებლების მხარდაჭერა ტრენერთა ტრენინგის პროგრამების შემუშავებასა და გახორციელებაში;
- ზრდასრულთა განმანათლებლებს შორის ცოდნის გაცვლისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამ პუბლიკაციის პირველ ნაწილში მოცემულია Curriculum globALE-ის დეტალური შესავალი, სადაც აღწერილია მისი ძირითადი მახასიათებლები (1.1) და წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროები, რომელზეც იგია აგებული (1.2). შემდეგ, განმარტებულია ზოგადი პრინციპები, რომელიც Curriculum globALE-ის უდევს საფუძვლად (1.3-1.5), მისი კომპონენტებისა და სტრუქტურების ჩათვლით (1.6).

ამას მოსდევს დეტალური თავი კურიკულუმის პრაქტიკული განხორციელების სხვადასხვა ასპექტის შესახებ (1.7). პირველი ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს რეკომენდაციების ზოგადი მიმოხილვით მთავრდება (1.8).

Curriculum globALE-ის მოდულების სრული აღწერილობა მეორე ნაწილშია მოცემული, მათ შორის: კომპეტენციები, ძირითადი თემები, სხვა მოდულების ბმულები, რეკომენდაციები განხორციელების შესახებ, რეკომენდაციები პრაქტიკული გამოყენებისა და რეაგირებისთვის და, ასევე, რეკომენდებული სფეროები.

ნაწილი 1:

Curriculum globALE:

შესავალი

1.1 Curriculum globALE-ის მოკლე აღწერა

Curriculum globALE (CG) არის მოდულური და კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩარჩო კურიკულუმი ზრდასრულთა განმანათლებლების ტრენინგისთვის მთელ მსოფლიოში. კვალიფიკაციის მისაღწევი დონე ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სფეროში ძირითადი კვალიფიკაციაა. მთავარ პროფილად მიღებულია სპეციალისტი, რომელიც, ძირითადად, სწავლების მიმართულებით მუშაობს (ფართო გაგებით). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კურიკულუმში აღწერილი სწავლის შედეგები წარმოადგენს კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდნენ კურსის მასწავლებლები, ინსტრუქტორები, ტრენერები, ლექტორები, ფასილიტატორები და მსგავსი პირები თავიანთი სამუშაოს შესრულებამდე.

იუნესკოს მიერ შემუშავებული განათლების საერთაშორისო სტანდარტის კლასიფიკაციის (International Standard Classification of Education (ISCED 2011)) შესაბამისად, კურიკულუმით გათვალისწინებული კომპეტენციის დონე მე-5 დონით კლასიფიცირდება. მისი მოკლე ხანგრძლივობის/მოცულობის გათვალისწინებით, Curriculum globALE-ზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამა, ზოგადად, საკმარისი არ იქნებოდა ISCED-ის მე-5 დონის[1] შესასრულებლად, თუმცა, შინაარსის სირთულის კრიტერიუმის გათვალისწინებით, CG სასწავლო პროგრამა, შეიძლება, ჩაითვალოს ISCED-ის მე-5 დონის პროგრამის დასრულებად (UIS, 2012), თუმცა, ეს დამოკიდებულია ქვეყნის სტრუქტურაზე, კვალიფიკაციის დონეებზე, RPL (წინასწარი სწავლის აღიარება - Recognition of Prior Learning) მექანიზმებსა და ეროვნულ დონეზე არსებულ გადაწყვეტილებებზე.

მიდგომა არის ზოგადი, რაც იმაში გამოიხატება, რომ CG-ის კომპეტენციები ხელს უწყობს ზრდასრულთა განმანათლებლების მუშაობას ნებისმიერ საგანმანათლებლო გარემოში, სფეროსა და ფორმატში (წიგნიერება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, გლობალური მოქალაქეობის განათლება, ტრანსფორმაციული სწავლება და ა.შ.). ეს მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის შემდგომი სპეციალიზაციისთვის ან უზრუნველყოფს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან მუშაობას შეცვლილ პროფესიულ კონტექსტში. CG-ის ჰოლისტიკური ხასიათი უზრუნველყოფილია ცოდნის, კომპეტენციების, უნარებისა და ღირებულებების კომბინაციით. ზოგადად, CG აგებულია ოთხ ძირითად პრინციპზე: (1) კომპეტენციაზე ორიენტირება; (2) მოქმედების მიმართულება; (3) მოსწავლეზე ორიენტირება; (4) სწავლის მდგრადობა და მოქნილობა;

[1] რაც შეეხება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, კურიკულუმით გათვალისწინებული კომპეტენციის დონე კლასიფიცირდება დაახლ. EQF-ის მე-5 დონით.

და ის მოიცავს შესავალ, ხუთ ძირითად თემატურ მოდულს (ზრდასრულთა სწავლისა და განათლების საფუძვლები; ზრდასრულთა სწავლა და სწავლება; კომუნიკაცია და ჯგუფური დინამიკა ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში; ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდები; დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება) და სამამდე არჩევითი მოდულს. შესავალი და ხუთი ძირითადი თემატური მოდული პროფესიონალიზაციასთან დაკავშირებულ თემებსა და ძირითად ასპექტებს ითვალისწინებს; ასევე, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაკვეთის საკითხი (იხ.1.7), კერძოდ, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები; მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილებები (sustainable development and climate change (ESD)); ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებები და გლობალური მოქალაქეობა (humanistic and democratic values and global citizenship (GCE)), მათ შორის, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (human rights-based approach (HRBA)) და მისი გამოყენება სწავლასა და განათლებაში.

კურიკულუმში აღწერილი სწავლის შედეგები იმ სტანდარტული პარამეტრების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც თანმიმდევრულია ყველა ქვეყანაში და არ უნდა შეიცვალოს. ამ თვალსაზრისით, Curriculum globALE შეიძლება, შეიცავდეს ერთგვარ მეტაკომპეტენციის ჩარჩოს ზრდასრულთა განმანათლებლისთვის: კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგები ზუსტად ის კომპეტენციებია, რომლებიც უნდა ჰქონდეს ყველა ზრდასრულთა განმანათლებელს, განურჩევლად გეოგრაფიული, ინსტიტუციური თუ საგანზე ორიენტირებული კონტექსტისა, რომელშიც ისინი მოქმედებენ.

Curriculum globALE-ს დანერგვამდე უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს ზრდასრულთა განმანათლებლებს, შეიძინონ და გამოიყენონ კურიკულუმით განსაზღვრული კომპეტენციები. სასწავლო პროგრამების ზუსტი ფორმა და ხასიათი, შეიძლება, მნიშვნელოვნადაც განსხვავდებოდეს ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. განხორციელების ხელშესაწყობად, მოდულის აღწერილობაში მითითებულია ისიც, თუ როგორ შეიძლება სწავლის შედეგების მიღწევა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. ამ მიზნით, თითოეული მოდულის აღწერაში (იხ. ამ პუბლიკაციის მე-2 ნაწილი) მოცემულია ინფორმაცია შემდეგი განხორციელების მახასიათებლების შესახებ:

- თემებისა და შეკითხვების შედგენა თვითანალიზისთვის;
- რეკომენდაციები მეთოდოლოგიური დიდაქტიკური განხორციელების შესახებ;
- რეკომენდაციები ინდივიდუალური მოდულების ვადების შესახებ. [2]

[2] ეს რეკომენდაციები მხოლოდ მაგალითია და ზოგადი სასწავლო გეგმის განხორციელების ერთ-ერთ შესაძლო ფორმას ეხება, კერძოდ, ტრადიციულ სასწავლო გეგმას, მოკლე კლასების ბლოკით. პრაქტიკაში, სწავლის საბოლოო შედეგების მისაღწევად, შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციის მრავალფეროვანი მიდგომა და ფორმა.

ამრიგად, მოდულების სრული შემადგენლობა მყარ საფუძველს ქმნის შესაფერისი სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, რომლის მეშვეობითაც ზრდასრულთა განმანათლებლებს შეუძლიათ საჭირო კომპეტენციები განავითარონ.

მოდულების შევსების რეგლამენტი დადგენილი არ არის, თუმცა, ის, რომელიც რეკომენდებულია, შესავალი მოდულით იწყება. რაც შეეხება სასწავლო ფორმატებს, მოდულები რიგრიგობით ასწავლიან თანმიმდევრობას, ინდივიდუალურ თვითგანათლებას, პრაქტიკულ მუშაობას, რათა მჭიდრო კავშირი უზრუნველყონ თეორიას, პრაქტიკას, ცოდნასა და გამოყენებას შორის. ურთიერთქმედება, სავარჯიშოები, რეფლექსია და ინტერაქტიული სწავლება ის ძირითადი დიდაქტიკური პრინციპებია, რომლებიც რეკომენდებულია CG-ის განსახორციელებლად.

კურიკულუმის ორგანიზება შესაძლებელია დროებითი გაკვეთილების ერთეულებად - მთელი რიგი მოდელების გამოყენებით, დაწყებული ინტენსიური კურსიდან და დამთავრებული მოკლე გაკვეთილებისგან შემდგარი გაყოფილი კურსით, უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თუ ერთი მოდული გაყოფილია ორ ნაწილად, მოსწავლემ მეორე ნაწილი პირველის დასრულების შემდეგ უნდა შეავსოს. ამასთან, მოსწავლეებმა გონივრულად უნდა დაგეგმონ დრო ერთი მოდულის დასრულებასა და შემდეგის დაწყებას შორის.

ვინაიდან სამიზნე ჯგუფების კონტექსტური პირობები და სპეციფიკური საჭიროებები მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონის, დაწესებულების ან ტერიტორიის მიხედვით, მოდულებში ჩამოთვლილი ელემენტები: თემები, შემოთავაზებული ლიტერატურა და დიდაქტიკური მეთოდები ის რეკომენდაციებია, რომლებიც მცირე ან უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებებით ექვემდებარება კონტექსტს. შეიძლება, ზოგიერთ ქვეყანას გააჩნდეს არსებული სტრუქტურა ან შესაძლოა, ახალი შეიმუშაოს ან კიდევ გადახედოს არსებულს Curriculum globALE-ს მითითებით. ამრიგად, კურიკულუმი გამიზნულია ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების მორგებისთვის, რომლებიც განსხვავდება ცალკეული საგნების, მასალების, მეთოდებისა და ფორმატის მიხედვით, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპეტენციების საერთო ჯგუფს შეესაბამება.

ვინ გამოიყენებს Curriculum globALE-ს?

Curriculum globALE რამდენიმე სხვადასხვა კონტექსტს შეესაბამება: მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ზრდასრულთა განმანათლებლების კომპეტენციის ჩარჩოები, CG შეიძლება, მათი პროგრამების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით, ან ახალ ფორმებსა და შინაარსზე გავლენის მოსახდენად გამოიყენონ. CG-ის ხასიათი და სტრუქტურა ზრდასრულთა განმანათლებლების განათლების ეროვნულ სისტემაში მისი ჩართულობის საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს წინასწარი სწავლის აღიარებასთან არის შერწყმული (Recognition of Prior Learning RPL)).

იმ ქვეყნებისა და რეგიონებისთვის, რომელთაც ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პერსონალისთვის ინსტიტუციური, ოფიციალური ან სერტიფიცირებული ჩარჩო არ აქვთ, CG შეიძლება, საწყის წერტილად ჩაითვალოს მომავალი ზრდასრულთა განმანათლებლების პროფესიონალიზაციისთვის. ამასთან, წინარე სწავლის აღიარებამ შესაძლოა, არსებული მოკლე კურსები უფრო პროფესიონალურ და სტრუქტურულ პროგრამებთან დააკავშიროს. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საგანმანათლებლო რეფორმებს ახორციელებენ, CG-ის შეუძლია, ხელი შეუწყოს მდგრად საგანმანათლებლო ზომებს, მოამზადოს კვალიფიციური ALE-ის პერსონალი და გაწეული მომსახურების ხარისხი უზრუნველყოს. უფრო მეტიც, CG-ის შეუძლია, დააზუსტოს მიზნები, შინაარსი და საჭირო კომპეტენციები სწავლისა და განათლების „არასისტემური“ ფორმების სტრუქტურირებითა და გაუმჯობესებით. ამრიგად, ALE-ისთვის უფრო ადვილი იქნებოდა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ან სისტემის ნაწილის შექმნა.

კურიკულუმი, უპირველესად, განკუთვნილია ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სფეროში დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის. იგი ცდილობს, უზრუნველყოს, რომ განმანათლებლების ცოდნა, კომპეტენცია, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება პროფესიულ სტანდარტებს აკმაყოფილებდეს. Curriculum globALE, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, შეიცავს საერთაშორისო სტანდარტს, რომელიც, ასევე, საინტერესოა სხვა სპეციალიზებული აუდიტორიისთვის და იმ საგანმანათლებლო გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რომლებიც ALE-ის დაწესებულებებში არ მუშაობენ. CG-თი ისარგებლებს სხვადასხვა ინსტიტუტი და ორგანიზაცია, კერძოდ: უნივერსიტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო განყოფილებები, უწყვეტი განათლების დეპარტამენტები, განათლების სამინისტროები, სხვა სამინისტროების დეპარტამენტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ორგანიზაციების სასწავლო განყოფილებები ან კერძო მიმწოდებლები. ასევე, შესაძლებელია პარტნიორობა.

სასწავლო პროგრამისა და ამ პუბლიკაციის გამოყენება განკუთვნილია მათთვის, ვინც ზრდასრულთა განმანათლებლების საკვალიფიკაციო ან შესაძლებლობების განვითარების პროგრამების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობს.[3] კურიკულუმი, სასწავლო შედეგების განსაზღვრის შემდეგ, ამ სამუშაოს საორიენტაციო საფუძველს გთავაზობთ საგანმანათლებლო პროგრამებით მიღწეულ მიზნებთან მიმართებაში. კურიკულუმი, განხორციელებისა და შინაარსის, მეთოდებისა და ფორმატის შესახებ დამხმარე მასალების მითითებით, ინდივიდუალური პროგრამების დაგეგმვასა და შესრულებასაც ეხმარება.

1.2 როგორ შეიქმნა Curriculum globALE? წყაროები და პარტნიორები

ამჟამინდელი Curriculum globALE ემყარება:

- ტრენერთა ტრენინგისთვის არსებულ პროგრამებს, პარტნიორების (UIL, DVV International, DIE, ICAE) დიზაინერული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამუშაოების გამოყენებით;
- ეროვნულ საკვალიფიკაციო სისტემებსა და სტანდარტებს ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის;
- საერთაშორისო კომპეტენციის სტანდარტებს, შემუშავებულს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის;
- განხორციელების პირველი ეტაპის შეფასებებსა და გამოცდილებას (2014-2019);
- მმართველი ჯგუფისა და საერთაშორისო ექსპერტების წვლილს.

პროექტის პარტნიორების გამოცდილება

პროექტის ოთხმა პარტნიორმა, Curriculum globALE-ის გადასინჯვისას, საკუთარი შეხედულებები დააფიქსირა და გამოცდილებები გააზიარა პოლიტიკის, კვლევისა და პრაქტიკის მიმართულებით. იუნესკოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ინსტიტუტმა (UIL), რომელიც, მაგალითად, პოლიტიკის შემქმნელებთან და დამგეგმავებთან თანამშრომლობს ზრდასრულთა სწავლისა და განათლების (ALE) პროფესიონალიზაციის მიზნით, და მხარს უჭერს შესაძლებლობის განვითარების მრავალ პროექტს მთელ მსოფლიოში, წვლილი შეიტანა REFLECT (Regenerated Freirean Literacy through Empowering Community Techniques - ფრეირისეული განახლებული წიგნიერება საზოგადოებრივი საშუალებების გაძლიერების გზით) მეთოდოლოგიაში. პაულო ფრეირეს

[3] ამრიგად, თავად „ზრდასრულთა განმანათლებლები“ ქმნიან კურიკულუმის არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფს. „ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის“ ინდივიდუალური განმარტებები და ამ პროფესიულ როლთან დაკავშირებული მოლოდინები, შეიძლება, განსხვავდებოდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში (იხ. 1.3).

იდეებზე დაყრდნობით, REFLECT-ი ცდილობს, საშუალება მისცეს მოსწავლეებს, შექმნან საკუთარი სასწავლო მასალები და აქტივობები, რომლებიც მათ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოებებს ასახავს (Hanemann, 2015). მიდგომა, რომელიც ფრეირეს სოციალური ტრანსფორმაციისა და სოფლად მონაწი-ლეობრივი შეფასების (Participatory Rural Appraisal - PRA) მეთოდის საფუძველია (Gadio, 2011), ხაზს უსვამს ურთიერთქმედების მნიშვნელობასა და მოსწავლის ცენტრალურ როლს. ყველა ეს პრინციპი და მიდგომა მოცემულია CG-ში.

DVV International-მა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დიდი წვლილი შეიტანა თავისი ეროვნული და რეგიონული ოფისების ქსელში და ფართო გამოცდილების შეთავაზების მხრივ, შესაძლებლობების განვითარებაში (DVV International, აქვე). ორგანიზაციამ შექმნა და გამოიყენა CG-ის პირველი ვერსია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის პილოტირებასა და შეფასებაში. უფრო მეტიც, ტრენერთა ტრენინგის პროგრამები, DVV International-ის მიერ განხორციელებული საპროექტო სამუშაოების რეგულარული კომპონენტი და CG-ის განვითარების ამოსავალი წერტილი იყო. DVV International-ი ასეთ პროგრამებს ახორციელებს გამოყენების სხვადასხვა სფეროში, მაგ. ALE-ის პროფესიონალიზაციის უზრუნველსაყოფად ან საგანმანათლებლო მუშაობისა და ტრენინგის ხარისხის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სფეროში. CG-ის მრავალი პრინციპი ემყარება DVV International-ის გამოცდილებას, შინაარსსა და რეკომენდებულ მეთოდებს.

გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტმა (German Institute for Adult Education (DIE)) Curriculum globALE-თვის საჭირო საბაზისო კვლევა და სანდო სამეცნიერო საფუძველი უზრუნველყო. DIE-იმ, DVV International-თან ერთად, შეიმუშავა CG-ის პირველი ვერსია, ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრები და მონაწილეობა მიიღო შემდგომ შესწორებებში. სწავლების, სწავლისა და კონსულტაციის პროცესების, ასევე, მასწავლებელთა კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის კვლევა ყოველთვის იყო DIE-ის მუშაობის საფუძველი. სულ ახლახანს, GRETA-ს ეროვნულმა პროექტმა (DIE, 2020), რომელიც პროდუქტებსა და პროცესებს ავითარებს და პილოტირებას ახდენს ALE-ის მასწავლებელთა კომპეტენციების ცნობისა და ვალიდაციისთვის, და ახლად დაწყებულმა ყოვლისმომცველმა პანელურმა კვლევამ „მასწავლებლები ზრდასრულთა განათლებაში“ (TAEPS; DIE, 2020a), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

ზრდასრულა განათლების საერთაშორისო საბჭომ (International Council for Adult Education (ICAE)) სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივა წარმოადგინა და ხაზგასმით აღნიშნა როგორც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ჩარჩოს არსებითი მნიშვნელობა, ასევე, ზრდასრულებისა და ახალგაზრდების სწავლისა და განათლების სრულყოფილი გაგება (ICAE, 2015). ICAE-იმ ALE-ში მომუშავე ადამიანებისთვის, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ადვოკატირების საერთაშორისო აკადემიის (International Academy of Lifelong Learning Advocacy (IALLA)) კურსის საშუალებით, საერთაშორისო შესაძლებლობების განვითარების პროგრამით, ხაზი გაუსვა მონაწილეობითი და ინკლუზიური მიდგომისა და მეთოდების პოპულარიზაციის მნიშვნელობას, გაძლიერების, თავდაჯერებულობის, საკუთრების უფლებისა და თვითრეალიზაციის ხელშესაწყობად.

ეროვნული საკვალიფიკაციო სისტემები და სტანდარტები

BFA-ის, *GRALE 2-ისა* და *GRALE 3-ის* (UIL, 2010; 2013; 2016) მონაცემებით, ბევრ ქვეყანაში უკვე არსებობს პროფესიონალიზაციის პროგრამები (მომავალი) ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის. ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მოცულობით, თემატური სპექტრით, კვალიფიკაციის დონითა და ფორმალიზაციის ხარისხით, რაც უნივერსიტეტში მრავალწლიანი

საგანმანათლებლო მეცნიერების კურსიდან დაწყებული, ცალკეულ პროექტზე დაფუძნებულ ინიციატივებამდე მერყეობს, რომლებიც შემუშავებულია კონკრეტული საჭიროებისთვის, არსებული სიტუაციის საფუძველზე, ყოველგვარი ამბიციის გარეშე, მათგან გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებისთვის ან ფორმალური განათლების სისტემასთან კავშირის მოსაძებნად. მათ შორისაა უწყვეტი განათლების ერთდღიანი კურსები. ეს და შემდეგი მაგალითები არსებული მოდელების მრავალფეროვნებას ასახავს, რამაც გლობალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და გადასინჯვას შეუწყო ხელი.

ზოგიერთ ქვეყანაში მუდმივად სთავაზობენ პროგრამებსა და საკვალიფიკაციო სისტემებს. მიმწოდებლები, როგორც წესი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ან დაარსებული ზრდასრულთა საგანმანათლებლო ორგანოები არიან, რომლებიც თავიანთ თანამშრომლებს უწყვეტ განათლებას სთავაზობენ, მაგალითად - საბაზისო კვალიფიკაცია კურსების ინსტრუქტორებისთვის. უმეტესი პროგრამა ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სამაგისტრო სპეციალობას ან მაგისტრის ხარისხს სთავაზობს ამ სფეროში.

არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, სრული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კურსები ანდრაგოგიკის მიმართულებით, რომელიც სერბეთში, ბელგრადის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ისწავლება; ასევე, კურსები ევროპის რამდენიმე სხვა ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში Fernuniversität Hagen-ი სთავაზობს მაგისტრის ხარისხს „ელექტრონული განათლება“, სადაც სტუდენტები ახალი მედიის გამოყენებას ეუფლებიან ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა განათლებისა და სწავლებისთვის. კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებს შორის არიან: ზოგადი და პროფესიული განათლების ინსტიტუტები, ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტები და კომპანიების სასწავლო დაწესებულებები; გარდა ამისა, კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებელთა ტრენინგის ცენტრში შესაძლებელია როგორც ბაკალავრის (B.Ed.), ასევე, მაგისტრის ხარისხის (M.Ed.) მოპოვება. ფინეთში ზრდასრულთა განმანათლებლებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ზრდასრულთა განათლების სკოლის დიპლომი სავალდებულო რაოდენობის საკრედიტო ქულებით. ზრდასრულთა განათლების კურსების ხანგრძლივობა განსხვავდება; შესაძლებელია, ასევე, მასწავლებლების ადგილზე მომზადებაც.

ბრაზილიაში მხოლოდ პედაგოგიკის დიპლომის მქონე სტუდენტებს შეუძლიათ, აირჩიონ ზრდასრულთა განათლება ან წიგნიერება სპეციალობის სფეროდ, მაგრამ პედაგოგიკის კურსების ძალიან შეზღუდული რაოდენობა სთავაზობს ზრდასრულთა განათლებას, როგორც სპეციალიზაციის სფეროს. პედაგოგიკური პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა ზრდასრულთა განათლების მხოლოდ ერთ „არჩევით“ კურსს სთავაზობს, რომელიც, ზოგადად, ამ სფეროს ისტორიულ ხედვას ეძღვნება.

ამავდროულად, ეგვიპტეში არ არსებობს სპეციალური კოლეჯები ზრდასრულთა განათლებისთვის, მაგრამ სამაგისტრო პროგრამები ხელმისაწვდომია და სტუდენტებს შეუძლიათ, მიიღონ ზრდასრულთა განათლების დიპლომი ერთწლიანი აკადემიური პროგრამის დასრულების შემდეგ, შემდგომი სწავლის უფლებით.

ჩრდილოეთ ამერიკაში, კოლეჯებში პროფესიული განათლების ცენტრები ზოგჯერ ზრდასრულთა განმანათლებლების კვალიფიკაციას სთავაზობენ. მაგ. The Durham College for Professional and Part-Time Learning in Ontario, კანადაში (დურჰამის კოლეჯი, 2020) ტრენინგს სთავაზობს მათ, ვინც ზრდასრულებს

ასწავლის ან ხელს უწყობს ზრდასრულთა განათლებას ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს ოფიციალურ საკლასო გარემოში თუ სემინარებით, თანამშრომლების მომზადებით ან ზოგადი ინტერესის პროგრამის სწავლებით. პროგრამის კურსდამთავრებულები იღებენ „სერტიფიკატს ზრდასრულთა განათლებასა და ტრენინგში“.

პროგრამებს ზოგჯერ სამთავრობო ორგანო ინიცირებს, მაგალითად, წიგნიერების შესახებ ინფორმაციისა და კომუნიკაციის სისტემა (Literacy Information and Communication System (LINCS, n.d.)) - ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, აშშ-ის განათლების დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებული ეროვნული ინიციატივა. სხვა შემთხვევებში, მაგალითად, პალესტინაში, განათლების სამინისტროები აქტიურად თანამშრომლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, პროფესიული ტრენინგის სისტემის შესამუშავებლად ზრდასრულთა განმანათლებლებისა და ტრენერებისთვის. კორეის რესპუბლიკაში, განათლების სამინისტრო, ზრდასრულთა განმანათლებლების არაერთი კურსის წარმატებით დასრულებას ადასტურებს. მათ შორის, პროგრამას „განმანათლებელი მთელი სიცოცხლის მანძილზე“, რომელიც განისაზღვრება როგორც დარგობრივი სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია მთელი სიცოცხლის მანძილზე საგანმანათლებლო პროცესის - დაწყებული პროგრამის დაგეგმვიდან, დამთავრებული განხორციელებით, ანალიზით, შეფასებითა და სწავლებით (UIL, 2019a) - მართვაზე.

ზოგიერთმა ქვეყანამ, ზრდასრულთა მასწავლებლებისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო სისტემები ჩამოაყალიბა უნივერსიტეტების გარეთ. ევროპაში ამის მაგალითებია: ავსტრია (ავსტრიის უწყვეტი განათლების აკადემიის სერტიფიკატი (Austrian Academy of Continuing Education (WBA, 2020)), შვეიცარია (შვეიცარიის ფედერაციის ზრდასრულთა სწავლის სერტიფიკატი (Certificate of the Swiss Federation for Adult Learning (SVEB, 2021)), დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთ ირლანდია. ამ სისტემებიდან ზოგიერთი, მათ შორის, რამდენიმე სტრუქტურა გერმანიაში, GRETA, მასწავლებლებისა და ტრენერების არაფორმალურად შეძენილი უნარების აღიარებისთვის შექმნილი კომპეტენციალური მოდელი, არაფორმალურად შეძენილი კომპეტენციების სერტიფიკატს მოიცავს კომპონენტად. აღიარების პროცედურის გამოყენება, რომელიც ადგენს, ადასტურებს და აერთიანებს არსებულ კომპეტენციებს კურსის მოდულებზე დამატებითი დასწრებით, საშუალებას აძლევს ზრდასრულთა განმანათლებლებს, ეროვნულ დონეზე აღიარებული კვალიფიკაცია მიიღონ ამ ქვეყნებში (DIE, 2020).

პროფესიული ორგანოები ხშირად ტრენერთა ტრენინგის (ToT) პროგრამებს სხვა რეგიონებშიც უზრუნველყოფენ. მაგალითად, ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში არ არსებობს ზრდასრულთა მასწავლებლების მომზადების არც ეროვნული კურიკულუმი და არც სახელმწიფო სამსახურში ზრდასრულთა განათლების პროფესიის აღიარების სისტემა; ამასთან, ქვეყნის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი (Institute of Adult Education (IAE)) კანონით არის უფლებამოსილი, მოამზადოს ზრდასრულთა განმანათლებლები, შეიმუშაოს და კოორდინაცია გაუწიოს ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შედეგიც სერტიფიკატები, დიპლომები და ზრდასრულთა განათლებაში ბაკალავრის ხარისხებია. ავღანეთში, ავღანეთის ზრდასრულთა განათლების ეროვნული ასოციაცია (Afghan National Association for Adult Education (ANAFAE)) ხელს უწყობს ზრდასრულთა სასწავლო ცენტრების განვითარებას და ALE-ის სტრატეგიასა და პროგრამებს. ANAFAE, ასევე, ახორციელებს შესაძლებლობების განვითარების პროგრამებს ზრდასრულთა სასწავლო ცენტრებში მასწავლებლების, ტრენერების, ადმინისტრაციული და ფინანსური პერსონალის მოსამზადებლად.

Curriculum globALE გამოყენება ყველა ამ ეროვნულ კონტექსტში შეიძლება, რომელიც განსხვავებულ როლს თამაშობს თითოეულში, მაგრამ ყოველთვის ხელს უწყობს ALE-ის ხარისხის ამაღლებას.

ტრანსნაციონალური კომპეტენციის სტანდარტები ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა პროექტის ფარგლებშია შემუშავებული

ზრდასრულთა განმანათლებლების კომპეტენციის შესახებ რამდენიმე საერთაშორისო და გლობალური კვლევა არსებობს. მოდელებისა და პროგრამების მრავალფეროვნება სერიოზული მეთოდოლოგიური გამოწვევებია, რასაც ხარჯების საკითხებიც ამძაფრებს. ალან როჯერსის განმარტებითი ნაშრომიც (2005), განათლება ყველასთვის გლობალური მონიტორინგის ანგარიშისთვის, 2006 წელი, „წიგნიერება ცხოვრებაში“ (იუნესკო, 2006 - Alan Rogers' background report for the Education for All Global Monitoring Re-port 2006, 'Literacy for Life' (UNESCO, 2006) მხოლოდ ზრდასრულთა წიგნიერების განმანათლებლების ტრენინგზეა ორიენტირებული, თუმცა, არაერთ განვითა-რებად ქვეყანას მოიცავს.

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, CG-ის შემუშავებისას, შემდეგი ევროპული კვლევები გაითვალისწინეს:

- The European Commission's "A Good Adult Educator in Europe (AGADE)" curriculum development project, 2004-2006 (Jääger and Irons, 2006);
- The EPALE (Electronic Platform for Adult Learning in Europe) Validation of Informal and Non-formal Psycho-pedagogical Competencies of Adult Educators (VINEPAC) project, 2006-2008 (VINEPAC, 2008);
- Flexi-Path (Flexible professionalization path-ways for adult educator between the 6th and 7th Level of the EQF [European Qualification Framework]) (Flexi-Path Partnership, n.d.);
- The EU Lifelong Learning Qualified to Teach (QF2TEACH) project, 2009-2011 (Bern-hardsson and Lattke, 2011);
- The ALPINE (Adult Learning Professions in Europe) project – ალბათ, მათ შორის ყველაზე ყოვლისმომცველია, რომელმაც შეიმუშავა „ძირითადი კომპეტენციები ზრდასრულთა სწავლის პროფესიონალებისთვის“. ჰოლანდიის ინსტიტუტის Research voor Beleid-ის (2010) მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა ევროპაში ზრდასრულთა განმანათლებლების კომპეტენციის ძირითადი მოთხოვნების იდენტიფიცირებასა და „ძირითადი კომპეტენციები ზრდასრულთა სწავლის პროფესიონალებისთვის“ სათანადო მითითების სისტემის შექმნას. საცნობარო სტრუქტურა ზრდასრულთა განათლების მთელ პროფესიულ სფეროს მოიცავს, ყველა შესაძლო პროფესიული როლისა და ფუნქციის ჩათვლით (Buiskool et. al, 2010).

ალან როჯერსის ტრანსნაციონალური კვლევა (იუნესკო, 2006 - the Transnational Study by Alan Rogers (UNESCO, 2006)), მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ზრდასრულთა წიგნიერების განმანათლებლების ტრენინგზეა ფოკუსირე-ბული, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია ALE-ის პროფესიონალიზაციისთვის. რიგი განვითარებადი ქვეყნების ჩათვლით, იგი საინტერესო და შესაბამის მიმოხილვასა და საყურადღებო შედარებებს სთავაზობს.

ევრაზიის პერსპექტივა 2010 წელს (შემდეგ კი, 2015 წელს) წარმოადგენა Asia-Euro-pe Meeting (ASEM) Education and Research Hub for Lifelong Learning-მა. პარტნიორებმა ყურადღება შემდეგ ასპექტებზე გაამახვილეს: ზრდასრულთა განათლებაში მომუშავე ადამიანების პასუხისმგებლობა, კომპეტენციები და პროფილები; ზრდასრულთა განათლების პროფესიონალიზაცია რამდენიმე რეგიონსა და ქვეყანაში; კვალიფიკაციის მაგალითები ზრდასრულთა განათლებაში მომუშავე ადამიანებისთვის. როგორც დანგმა (2010)

აღნიშნა ASEM-ის დასკვნებზე კომენტარის დროს, „მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ამ ორ რეგიონში (ევროპასა და აზიაში) განსხვავებული ტრადიციები, დამოკიდებულებები და საჭიროებებია ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მხრივ“, მეცნიერთა უმეტესობამ მონაწილეობა მიიღო კვლევაში „საერთო შეხედულების გაზიარება, რომ მასწავლებლები და ტრენერები ზრდასრულთა განათლებაში ქმნიან სისტემის ხერხემალს, რადგან მათ გარკვეული კვალიფიკაციები, კომპეტენციები და უნარები აქვთ პროგრამების ხარისხისა და ზრდასრულთა სასწავლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად“.

CG-ის პარტნიორებმა ეს მრავალფეროვნება აღიარეს: მაგალითად, ევროპაში ზრდასრულთა მასწავლებლების უმეტესობა ოფიციალური აკადემიური ხარისხის ან ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით კვალიფიცირდება. ინდოეთში კი ზრდასრულთა განმანათლებლების მომზადების მიდგომები მოიცავს კასკადურ მეთოდს, სადაც ტრენერების პირველი ჯგუფი ან თაობა კონკრეტულ საგანშია გაწვრთნილი და მას შემდეგ, რაც ისინი კვალიფიკაციას მიიღებენ ან გამოცდილ ტრენერებად ჩამოყალიბდებიან, მეორე ჯგუფის ტრენერებად ჩაითვლებიან და ა.შ.; ასევე, მოიცავს უშუალო ტრენინგის, მონაწილეობითი და ღია დისტანციური სწავლების მეთოდებს. მონაწილეები იღებენ სერტიფიკატს, დიპლომს, ხარისხს ან უმაღლეს ხარისხს ინდოეთის 10 ღია უნივერსიტეტიდან ერთ-ერთში, რადგან ინდოეთში ზრდასრულთა განათლება დღესაც ხშირად ფუნქციონალურ ცოდნასთან (წიგნიერებასთან) ასოცირდება. ზიუმ (2010), ეგეტენმეიერმა(2010), დანგმა (2010) და სხვებმა აღნიშნეს, რომ „ჩინეთი უფრო მეტად ზრუნავს აკადემიური კვალიფიკაციისა და პიროვნების ხარისხის ფორმალური მოთხოვნების დასადგენად, [...], ხოლო ევროპა ეძებს უფრო მოქნილ გადასვლას სხვადასხვა კვალიფიკაციის გზებს შორის ზრდასრულთა განმანათლებლების ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს ფარგლებში“.

ეს კონკრეტული მაგალითები და შედარებები ღირებული იყო ისევე, როგორც მოდელები, კონკრეტული ინიციატივები და პროექტები ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პროფესიონალიზაციისთვის, მათ შორის: პროგრამები ინდოეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებში; Validpack, როგორც შეფასებისა და დამტკიცების საშუალება რუმინეთში მასწავლებლებისა და ტრენერების კომპეტენციებისთვის; კირკპატრიკის ოთხი დონის მოდელი ინდონეზიაში მასწავლებლებისა და ტრენერების შესაფასებლად; თემატური და ციფრული ვიდეო ტრენინგი გერმანიაში; და დელფის კვლევა ლატვიის უნივერსიტეტების პროფესორთა მომავალი კომპეტენციების შესახებ (ეგეტენმეიერი და ნუისლი, 2010).

შეფასებები და გამოცდილებები განხორციელების პირველი ეტაპიდან (2014 -2019)

დღემდე CG ამოქმედდა და სრულად განხორციელდა ევროპის ბევრ ქვეყანაში (როგორიცაა, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა), ცენტრალურ აზიაში (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), ლათინურ ამერიკაში (კუბა, ეკვადორი, მექსიკა, გვატემალა და პერუ) და არაბულ სახელმწიფოებში (იორდანია და პალესტინა). თითოეული ტრენინგი მოიცავდა შეფასებას, ძირითადად, სამ ელემენტზე:

1. კომპეტენციების გლობალური ჩარჩოს სარგებლობა ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის, შეფასებული მონაწილეთა მიერ ტრენინგების დროს;
2. თემები, როგორც ცოდნის მოცულობისა და მოწოდებული ინფორმაციის, ასევე, სირთულის თვალსაზრისით;
3. მეთოდები, ანუ მეთოდების სახეები და მათი ადეკვატურობა.

ზოგიერთი მოდული, ელემენტი და ცალკეული მოდულის ერთეულები სხვა პროექტებისა და სასწავლო კომპლექტების ფარგლებში განხორციელდა.

მონაწილეებმა, ტრენერებმა და ორგანიზა-ტორებმა ასეთი კურიკულუმის აუცილებლობა და სარგებლობა დაადასტურეს და ALE-ის პროფესიონალებისთვის საერთაშორისო გაგებისა და საბაზისო ცოდნის, კომპეტენციების, უნარებისა და დამოკიდებულებების შექმნის აუცილებლობაში დარწმუნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა ზოგჯერ რთული იყო, მონაწილეები თვლიდნენ, რომ სასწავლო უნარების მიზანმიმართულმა განვითარებამ და ტრენერების კარგად სტრუქტურირებულმა ტრენინგებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ხარისხი.

უფრო მეტიც, მონაწილეებმა, ტრენერებმა და ორგანიზატორებმა ინტერაქტიული და დინამიური მეთოდები შეაფასეს როგორც უაღრესად სამოტივაციო, სასარგებლო და, რაც მთავარია, თეორიული ცოდნით გამყარებული. მათ რეკომენდაცია გაუწიეს შემდგომ შესაძლებლობებს თვითრეფლექსიისა და კრიტიკული პერსპექტივებისთვის, ასევე, მითითებებს შემენილი კომპეტენციებისა და კონკრეტული სავარჯიშოების პრაქტიკული გამოყენებისთვის.

Curriculum globALE სისტემატურად გაანა-ლიზდა, რათა დადგენილიყო საერთო პრინციპი, რომელიც მონაწილე ქვეყნებისა და რეგიონე-ბისთვის მაქსიმალურად აქტუალური იქნებოდა. ეს იყო, ასევე, სხვადასხვა რეგიონის ექსპერტებ-თან საერთაშორისო კონსულტაციების ძირითადი მიზანიც.

მმართველი ჯგუფისა და საერთაშორისო ექსპერტების წვლილი

CG-ის პირველი ვერსია ზრდასრულთა განმანათლებლების განათლების პროგრამების ფართო გამოცდილებას ემყარებოდა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, შესაძლებლობების განვითარებისა და, DVV International-ის ფარგლებში, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პროფესიონალიზაციის პროგრამებს. განახლებული ვერსია კი მრავალ ქვეყანასა და რეგიონში ჩატარებული საპილოტე პროექტებისა და კვლევების, ასევე, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზეა დაფუძნებული.

უფრო მეტიც, CG-თვის, პირველ რიგში, პრიორიტეტული სამეცნიერო და კვლევითი ბაზა და კურიკულუმის პრინციპები იყო. შემდგომმა ზომებმა მისი კონტექსტუალიზაცია დახვეწა და შესაძლებლობები გამოიკვლია. ჰამბურგში, გერმანიაში 2019 წელს დაწყებული საერთაშორისო ვორქშოპის დროს, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან შერჩეულმა ექსპერტებმა თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს ამ სფეროში, როგორც კურიკულუმის, ასევე, კომპეტენციის ჩარჩოების გადახედ-ვისთვის. მიზანი მათი ძირითადი ელემენტების იდენტიფიცირება, დაზუსტება და დასკვნების კონსოლიდაცია იყო მეორე საკონსულტაციო ეტაპზე, რომელიც 2020 წლის ივლისიდან სექტემბრამდე გაიმართა. საერთაშორისო ექსპერტების უფრო დიდმა ჯგუფმა ყურადღება CG-ის პრაქტიკული მნიშვნელობისა და გლობალური მასშტაბის „განხორციელების უნარზე“ გაამახვილა და კურიკულუმის მიზნის, მიდგომისა და შინაარსის „რეგიონული ღირებულება“ შეაფასა. UIL-ის, DVV International-ის, DIE-ისა და ICAE წევრებისგან შემდგარი მმართველი ჯგუფი ხელმძღვანელობდა და კოორდინირებდა გადასინჯვის პროცესს, მონაწილეობდა ყველა ცალკეულ ფაზაში და ეტაპზე და წვლილი შეიტანა განახლებული CG-ის საბოლოო ფორმის მიღების პროცესში.

1.3 ზრდასრულთა განმანათლებლის როლი მრავალფეროვან კონტექსტში

მიუხედავად იმისა, რომ 1.2 ნაწილის პროექტების მაგალითები ეროვნულ საზღვრებს სცდება, ზრდასრულთა განმანათლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ძალის-ხმევისა და გამოცდილების უმრავლესობას ეროვნული ხასიათი აქვს. ისინი კონკრეტული კულტურული და სოციალური კონტექსტის-თვისაა განკუთვნილი. ჯერჯერობით, აშკარა მცდელობები არ განხორციელებულა საერთო კომპეტენციის პროფილის ან კვალიფიკაციის სტანდარტების შესაქმნელად ან გლობალურ დონეზე, განმანათლებელთა გადამზადე-ბისთვის საერთო კურიკულუმის შესამუ-შავებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწილობრივ გამოწვეულია საერთაშორისო თანამშრომლობის სირთულით, ასევე, დიდწილად განპირობებულია ALE-ისა და მასთან დაკავშირებული პერსონალის განსხვავებული გაგებით.

გლობალური თვალსაზრისით, ზრდასრულთა განმანათლებლების როლები უკიდურესად ფართო სპექტრს მოიცავს (1.2 ნაწილში ნახსენები რამდენიმე კვლევა უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა ზრდასრულთა განმანათლებლების სხვადასხვა როლის შესახებ). მოსაზრებები იმისდა მიხედვით განსხვავდება, თუ რომელი ამოცანა შედის ზრდასრულთა განმანათლებლების უფლებამოსილებებისა და მათ შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციის ფარგლებში. ზოგიერთ ქვეყანაში ზრდასრულთა განმანათლებლები, როგორც წესი, არიან პირები, რომლებსაც შეუძლიათ წაიკითხონ, დაწერონ და ეს უნარები წარმატებით ასწავლონ სხვებს. სხვაგან ამ სწავლების ამოცანის შესრულება მომზადების განსაკუთრებულ ფორმას მოითხოვს. ბევრ ქვეყანაში ზრდასრულთა განმანათლებლების მთავარ ამოცანად ინფორმაციის გადაცემა განიხილება. ამის საპირისპიროდ კი, სხვა ქვეყნები ზრდასრულთა განმანათლებლის როლის მკვეთრ ცვლილებას წამყვანი, მხარდამჭერი და ხელშემწყობი ფუნქციისკენ ხედავენ. მწვრთნელი, ფასილიტატორი, მოდერატორი, მრჩეველი და მენტორი ის როლებია, რომლებიც ზრდასრულთა განმანათლებლებს ენიჭებათ ამ ქვეყნებში. ისინი სულ უფრო პოპულარული ხდებიან იმ კლასიკურ ტერმინებთან ერთად, როგორებიცაა, (ზრდასრულთა) ტრენერი, (ზრდასრულთა) მასწავლებელი და ზრდასრულთა განმანათლებელი. ამ ტერმინების ნაწილი ხაზს უსვამს როგორც როლის განმახორციელებელ ფუნქციას, ასევე, გადასაცემად მიღებულ კომპეტენციებს, შესაძლებლობებსა და უნარებს. სხვები უფრო დიდ მნიშვნელობას ზრდასრულთა განმანათლებლის დამხმარე და მასტი-მულირებელ ფუნქციას ანიჭებენ მოსწავლეთა პიროვნებების თვითრეალიზაციაში, გაძლიერებასა და განვითარებაში.

Curriculum globALE რომელიმე ამ როლის კონცეფციას არ ემყარება, არამედ მათ გაერთიანებას მოიცავს სამი როლის ძირითადი მახასიათებლების ინტეგრირებით: (1) ცოდნის მიწოდება და კომპეტენციების განვითარება (მასწავლებლები, როგორც ექსპერტები და ინსტრუქტორები); (2) სწავლის პროცესების მხარდაჭერა და ხელშეწყობა (მასწავლებლები, როგორც ტრენერები და ფასილიტატორები); და (3) პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, მონაწილეების გაძლიერება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაცია (მასწავლებლები, როგორც მენტორები და მოტივატორები). ამ როლების მკაფიოდ გამოყოფა პრაქტიკაში ყოველთვის შესაძლებელი არ არის და შედეგად, ხშირად, შერეული სახით გვხვდება. წინამდებარე კურიკულუმი ამ ტენდენციას ასახავს. განსხვავებული როლების საერთო ბირთვი ის ძირითადი კომპეტენციებია, რომლებსაც ზრდასრულთა განმანათლებლები ნებისმიერ კულტურულ, ინსტიტუციონალურ ან თემატურ სამუშაო კონტექსტში უნდა ფლობდნენ. კურიკულუმი ამ ძირითადი კომპეტენციების ერთობლიობაზეა აგებული, რაც ზრდასრულთა განმანათლებლის როლის გარკვეულ კონცეფციას გულისხმობს, რომლითაც პროფესიული საქმიანობის მოთხოვნები დგინდება.

ზემოაღნიშნული აქცენტი ცოდნის გადაცემიდან ხელშემწყობ ფუნქციაზე, ასევე, გავლენას ახდენს ზრდასრულთა განმანათლებლისთვის ტრენინგის კონცეპტუალურ შემუშავებაზე. მაგალითად, პაულო ფრეირეს (2000) კრიტიკული ცნობიერების შესახებ კონცეფციამ (conscientização) ძლიერ იმოქმედა ზრდასრულთა განმანათლებლების კონცეფციის ფორმირებაზე ლათინურ ამერიკაში, სადაც ზრდასრულთა განმანათლებლის მთავარ ამოცანას მოსწავლეებში აზროვნების (reflexão crítica) განვითარება წარმოადგენს.

სხვა განსხვავება ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მიმწოდებლებსა და ინსტიტუციონალურ კონტექსტებს ეხება. ზრდასრულთა განმანათლებლის როლი იმისდა მიხედვით განსხვავდება, ხორციელდება თუ არა მუშაობა ფორმალური განათლების სისტემაში, სამთავრობო ორგანიზაციაში, კომერციული ტრენინგის მიმწოდებლის მიერ თუ სამოქალაქო საზოგადოების სექტორში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობენ.

სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების განსხვავებული საწყისი პირობების გათვალისწინებით, ეს სტანდარტი მიზანმიმართულად ეხება მხოლოდ შედეგებს – კომპეტენციებს, რომლებიც მხოლოდ ბუნდოვნადაა განსაზღვრული კურიკულუმში. მეორე მხრივ, ინფორმაციის წარმოდგენისას (ანუ სპეციფიკური შინაარსისა და განხორციელების მაგალითები) საკმარისი ადგილია დათმობილი ადგილობრივი, კულტურული და სხვა კონკრეტული მახასიათებლების დიზაინის კონცეფციაში შეტანისას. კურიკულუმის არჩევითი ნაწილებიც ამ პროცესის დამხმარე საშუალებაა.

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მსგავსად, ზრდასრულთა განმანათლებლის როლი დამოკიდებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე და, ასევე, საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაზე, მათ შორის, განათლების სისტემის მახასიათებლებსა და ამაში, ALE-ის ადგილზე. ეს გარკვეულ შეზღუდვებს ქმნის კურიკულუმის გამოყენებისთვის ყველა ქვეყანაში, რეგიონსა და საგნობრივ სფეროში.

მდგრადი განვითარების მიზნებს შორის ურთიერთკავშირი ტრენერებისა და განმანათლებლების როლს ართულებს. ზრდასრულთა განმანათლებლების „ძირითადი ცოდნისა და კომპეტენციების“ მოთხოვნები მათი ამოცანების სირთულესთან ერთად გაიზარდა. ზრდასრულთა განმანათლებლები ახლა მრავალმხრივ უნდა იცნობდნენ საკითხს, მუშაობდნენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან უფრო მრავალფეროვან სასწავლო ადგილებში და დაჩქარებულ ცვლილებებს უმკლავდებოდნენ ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე მსოფლიოში ზრდასრულთა განმანათლებლების კურიკულუმი უფრო მეტ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, ვიდრე ოდესმე.

ეს გლობალური ტენდენციები არსებულ პროგრამებთან, სხვადასხვა აქტორისა და ორგანიზაციის ვალდებულებასთან ერთად - ALE-ის ხარისხი სფეროს პროფესიონალიზაციით გააძლიერონ - გლობალური კურიკულუმის შემუშავებისთვის ქმნის საფუძველს. Curriculum globALE მხარს უჭერს სწავლისა და განათლების პროფესიონალიზაციას ძირითადი კომპეტენციების განსაზღვრით, როგორც საცნობარო ჩარჩო ზრდასრულთა განმანათლებლების კვალიფიკაციისთვის, მათი მუშაობის სპეციფიკური სფეროებისგან დამოუკიდებლად. ის გლობალურია არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით,

არამედ იმითაც, რომ მოიცავს ძირითად ცოდნასა და კომპეტენციებს, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც თანაბრად შეეფერება ტრენერებს პროფესიულ უწყვეტ განათლებაში; წიგნიერების საკითხებში მომუშავე ან საჯარო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებლებს; პედაგოგიურად ჩართულ აქტივისტებს, რომლებიც სოციალურ მოძრაობებში აქტიურობენ; ინსტრუქტორებს გადამზადების კურსებში ან ფასილიტატორებს გაძლიერების სესიებში.

1.4 Curriculum globALE და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

Curriculum globALE ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას (Human Rights-based Approach (HRBA)) ემყარება, როგორც ძირითად ჩარჩოსა და კონცეფციას, რათა განსაზღვროს კურიკულუმის „არსი“ და მისი განხორციელების სხვადასხვა ასპექტი. იუნესკოს (2015) განცხადებით:

> ჰუმანისტური ხედვა ადასტურებს უნივერსალური ეთიკური პრინციპების ერთობლიობას, რომელიც უნდა იყოს მიზნისადმი ინტეგრირებული მიდგომისა და განათლების ორგანიზების საფუძველი ყველასთვის. ეს მიდგომა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად, რაც ხელს უწყობს შესაბამისი ცოდნის მიღებასა და კომპეტენციების განვითარებას მთელი კაცობრიობის სამსახურში. ჰუმანისტური მიდგომა განათლებასთან დაკავშირებულ დებატებს ეკონომიკურ განვითარებაში მისი უტილიტარული როლის მიღმა აყენებს. ყურადღება მახვილდება ინკლუზიურობასა და განათლებაზე, გამორიცხვისა და შეზღუდვის გარეშე. ის გზამკვლევია გლობალური სასწავლო ლანდშაფტის ტრანსფორმაციასთან გასამკლავებლად, სადაც მასწავლებლებისა და სხვა განმანათლებლების როლი კვლავაც ცენტრალურია ყველას მდგრადი განვითარებისთვის სწავლის ხელშესაწყობად.

ადამიანის უფლებებს, როგორც მათ საფუძველსა და მთავარ მიდგომას, მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი განსაზღვრავს:

> ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაში (HRBA) ადამიანის უფლებები ურთიერთობას განსაზღვრავს ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის დასაბუთებული მოთხოვნებითა (უფლებათა მფლობელები) და შესაბამისი ვალდებულებების მქონე სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივ პირებს (მოვალეობის შემსრულებლები) შორის. იგი განსაზღვრავს უფლებათა მფლობელებსა (და მათ უფლებებს) და შესაბამისი მოვალეობების შემსრულებლებს (და მათ მოვალეობებს) და უფლებების მფლობელთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად მუშაობს, რათა მათ მოთხოვნების წაყენება შეძლონ, ხოლო მოვალეობის შემსრულებლები თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად გააძლიეროს (UNDG, 2003).

იგულისხმება, რომ განათლება არის არა შემოთავაზებული მომსახურება, არამედ, „მოვალეობის აღმასრულებელი პირების“ მიერ მოწოდებული გარანტირებული უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ Curriculum globALE აღიარებს განათლების პრაქტიკულ მნიშვნელობას ზრდასრული ადამიანის ცხოვრებაში სხვადასხვა მოთხოვნილებისა და ამოცანის შესასრულებლად (სამსახური, ოჯახი, ჯანმრთელობა ან მოქალაქეობა), ის ძირითადად ეფუძნება ზრდასრულთა სწავლისა და განათლების, როგორც ფუნდამენტური უფლების დადასტურებულ გაგებას, მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში აღნიშნულია, რომ: „ფუნდამენტური განათლება შეძლებისდაგვარად უნდა წახალისდეს ან გაძლიერდეს იმ პირებისთვის, რომლებმაც არ მიიღეს ან არ დაასრულეს დაწყებითი განათლების სრული პროგრამა“ (OHCHR, 1966). თავის No.13 შესახებ, რომელიც 1999 წლის 8 დეკემბერსაა მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ოცდამეერთე სესიაზე, OHCHR ხაზს უსვამს:

> ფუნდამენტური განათლების უფლებით სარგებლობა ასაკისა და სქესის მიხედვით შეზღუდული არ არის და ვრცელდება ბავშვებზე, ახალგაზრდებზე, მოზარდებზე და, ასევე, ხანდაზმულებზე. ამრიგად, ფუნდამენტური განათლება ზრდასრულთა განათლებისა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლის განუყოფელი ნაწილია. ვინაიდან ფუნდამენტური განათლება ყველა ასაკობრივი ჯგუფის უფლებაა, აუცილებელია შესაფერისი კურიკულუმებისა და სწავლების სისტემების შემუშავება ყველა ასაკის სტუდენტებისთვის (OHCHR, 1999, პარაგრაფი 24).

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ALE თვითშეფასების უფლებისა და საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზაციის წინაპირობაა. Curriculum globALE ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ამ ორ ასპექტს აერთიანებს, რაც CG-ის პრინციპებს იმ ღირებულებებთან და დამოკიდებულებებთან აკავშირებს, რომლებიც საჭირო ცოდნასთან და პრაქტიკულ კომპეტენციებთან ერთად ALE-ში უნდა იყოს ჩართული.

ოთხი განსხვავებული პასუხისმგებლობის მქონე ჯგუფი ხელს უწყობს ზრდასრული მოსწავლეებისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფას:

სახელმწიფოს როლი

განათლების, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის კონცეფცია დიდი ხანია საერთაშორისო განათლების განვითარების დისკურსის ფუნდამენტური პრინციპია. ტრადიციულად, ეს ნიშნავდა საჯარო დაწესებულებების პირველად პასუხისმგებლობას საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფასა და დაფინანსებაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა დაიცვას, აღიაროს და გააცნობიეროს განათლების უფლება. იუნესკო (2019) თავის განათლების უფლების სახელმძღვანელოში აღწერს „განათლების ყველა სახეობისა და დონის „ძირითად მახასიათებლებს“. განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ადაპტირებადი“. სახელმწიფომ რომ თავისი ვალდებულება შეასრულოს განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, უნდა უზრუნველყოს ადეკვატური სისტემები, რაც საშუალებას მისცემს ინდივიდებს, მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩაერთონ მათში. შუალედურ დონეზე, უნდა გადამზადდეს კვალიფიციური პერსონალი და უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი და უსაფრთხო სამუშაო პირობებით, მათ შორის, გონივრული ანაზღაურებით. განსაზღვრულ ადგილას, ზრდასრულთა სწავლის საშუალებები ხელმისაწვდომი და სათანადოდ აღჭურვილი უნდა იყოს ზრდასრულ მოსწავლეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სამოქალაქო საზოგადოების როლი

განათლებისა და სწავლის შესაძლებლობების მიმწოდებლებმა, თავიანთი თითოეული მანდატისა და პასუხისმგებლობის სფეროს მიხედვით, ხელსაყრელი გარემო უნდა უზრუნველყონ ყველასათვის სწავლის ხელშესაწყობად სიცოცხლის ბოლომდე. „ტრადიციულად“, სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებებისა და განათლების უფლების მხარდამჭერი და ადვოკატია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მარგინალიზებულ და დაუცველ ჯგუფებს ეხება. მან ხელი უნდა შეუწყოს განათლებასა და სწავლას თემებში, მოიზიდოს მოხალისეები და განათლების მხარდაჭერას დაეხმაროს კრიზისის დროს.

ზრდასრულთა განმანათლებლის როლი

გაეროს პირველი დასკვნა, რომელიც HRBA-ზეა დაფუძნებული, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები აღიარებულნი არიან საკუთარი განვითარების ძირითად აქტორებად და არა საქონლისა და მომსახურების პასიურ მიმღებებად (UNDG, 2003). ამრიგად, ზრდასრულთა განმანათლებლებმა უნდა გაითვალისწინონ განსხვავებული საჭიროებები, რაც პატივისცემის ხელსაყრელ გარემოს უზრუნველყოფს და ეცადონ, მოსწავლეები თავიანთი ინტერესების გათავისებისა და მისწრაფებების განსახორციელებლად გააძლიერონ. მეთოდოლოგიური ცოდნის გამოყენებით, მათ საშუალება უნდა მისცენ მოსწავლეებს, აქტიური როლი შეასრულონ სასწავლო პროცესში და საჭიროებისამებრ მხარი დაუჭირონ პრობლემების გადაჭრაში.

მოსწავლეების როლი

განათლება არა მოხმარების პროდუქტი, არამედ ის პროცესია, რომელშიც უნდა ჩაერთო. მაშინაც კი, თუ ხელშემწყობი გარემო უზრუნველყოფილია, სასწავლო პროცესს მოსწავლეები ახორციელებენ; შესაბამისად, ისინი პასუხისმგებლობას იზიარებენ სწავლის წარმატებულ შედეგზე. მათ უნდა გააცნობიერონ როგორც საკუთარი უფლებები (განათლება ადამიანის უფლებების შესახებ), ასევე - პასუხისმგებლობის წილი. ეს მოიცავს დამოკიდებულებებს, კომპეტენციებსა და ქცევას სწავლასთან მიმართებაში და მიმდინარე სწავლის პროცესში. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ უფლება და შესაძლებლობა, დამოუკიდებლად დაიწყონ სწავლა, მაგალითად, სასწავლო წრეში, საჭიროების შემთხვევაში. ამ მიზნით REFLECT-ის მიდგომის გამოყენება შეიძლება, რადგან იგი ცდილობს, „ხალხს დაეხმაროს თავიანთი უფლებების დამტკიცების, უსამართლობის წინააღმდეგ და საზოგადოებაში თავიანთი პოზიციის შეცვლისთვის ბრძოლაში“ (Rhizome, 2020). სოციო-კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც სწავლის ერთობლივ ბუნებას უსვამს ხაზს, ასევე, ძალიან შესაფერისია ამ მიზნით.

ეს ოთხი როლი ერთმანეთს ავსებს ზრდასრულთა მნიშვნელოვანი სწავლის, განსხვავებული მოთხოვნილებებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებისთვის. ზრდასრულთა სწავლაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარე ერთად უნდა მუშაობდეს, რათა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყონ. Curriculum globALE ცდილობს, ხელი შეუწყოს ზრდასრულთა განმანათლებლებს თავიანთი როლის შესრულებაში.

1.5 Curriculum globALE-ის პრინციპები

Curriculum globALE ხუთ ძირითად პრინციპზეა აგებული, ეს არის: კომპეტენციაზე ორიენტირება, მოქმედებაზე ორიენტირება, მოსწავლეებზე ორიენტირება, სწავლის მდგრადობა და მოქნილობა, რაც ALE-ის ამჟამინდელი გაგებიდან, მისი მიზნიდან და ეპისტემოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარეობს და მის პრაქტიკულ გამოყენებაში მდგომარეობს. არსებობს მრავალი სხვა პრინციპიც - სამეცნიერო კვლევასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, რომელიც კურიკულუმის განხორციელების ინფორმირებისა და მხარდაჭერისთვის უნდა გამოვიყენოთ და რაც დეტალურადაა განმარტებული ამ პუბლიკაციის სხვა ნაწილებში.

კომპეტენციაზე ორიენტირება

Curriculum globALE-ის მიზანია, „შედეგზე“ იყოს ორიენტირებული. იგი თანხმდება იმ ტენდენციასთან, რომელიც დიდი ხანია დომინირებს განათლების სფეროში და განათლების პოლიტიკას შეესაბამება. ამ ლოგიკით, ასევე, სულ უფრო მეტად ხელმძღვანელობს დებატები პროფესიონალიზმისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ხარისხის შესახებ. მაგალითად, RALE-ში განსაზღვრული მიზნით, „მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ცოდნის, გამოცდილებებისა და კვალიფიკაციების მოპოვება და დაგროვება მოქნილი მონაწილეობისა და სხვადასხვა ეტაპზე სწავლის შედეგების თავმოყრის გზით“ (იუნესკო, 2015ა).

კომპეტენციის კონცეფცია რთული და საკამათოა, მაგრამ იგი ბევრ დაბრკოლებას უმკლავდება, რომელიც „შინაარსის“ დამატებისას „უნარების“ გადაჭარბებული გამოყენებითაა გამოწვეული. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Co-operation and Development (OECD)) კომპეტენციას განსაზღვრავს როგორც „არა მხოლოდ ცოდნასა და უნარებს. იგი მოიცავს კომპლექსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, კონკრეტულ კონტექსტში ფსიქოსოციალური რესურსების (მათ შორის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩათვლით) გამოყენებითა და მობილიზებით (OECD, 2005); ასევე, მოიცავს შემეცნებით ელემენტებს (მაგ. ცოდნა, გაგება), ფუნქციურ ასპექტებს (მაგ. კეთებისა და შესრულების უნარი), ასევე, პირად და ინტერპერსონალურ ან სოციალურ მახასიათებლებს (მაგ. სოციალური, ინტერპერსონალური, ემოციური და ორგანიზაციული უნარები). მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „უნარები“ ზოგჯერ „კომპეტენციები“-ს სინონიმად გამოიყენება, ეს უკანასკნელი ტერმინი უფრო ფართოა და ისეთ ცნებებს მოიცავს, როგორიცაა ეთიკური ღირებულებები.

Curriculum globALE-ს კონტექსტში, კომპეტენცია რიგ ინდივიდუალურ ელემენტებს (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები და ა.შ.) მოიცავს, ასევე, მათ ერთმანეთთან ურთიერთქმედებისა და კონკრეტულ სიტუაციებში სათანადოდ გამოყენების უნარს.

ამ თვალსაზრისით, კომპეტენცია ეხება კონკრეტულ კონტექსტში მოქმედებისა და რეფლექსიის უნარს, მაგალითად, ზრდასრულთა განმანათლებლის პროფესიული საქმიანობის კონტექსტს. Curriculum globALE ხელს უწყობს მოქმედების უნარს და კომპეტენციის ზემოაღნიშნულ ელემენტებს ითვალისწინებს მთელ კურიკულუმში.

კურიკულუმი შემეცნებითი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ითვალისწინებს. ასევე, თანაბრად მნიშვნელოვანია OECD-ის მიერ მითითებული დამატებითი ელემენტი - დამოკიდებულებები. იგი მოიცავს თვითრეფლექსიის შესაძლებლობას: საკუთარი შეხედულებები, ღირებულებები, მოტივაციები და ემოციური გავლენის შესწავლა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ფართო სოციალური კონტექსტის გააზრება, რაც დიდწილად აყალიბებს ზრდასრულთა განათლებაში მომუშავე ყველა განმანათლებლის ძირითად პირობებს. ეს არა მხოლოდ ქვეყნის ან რეგიონის სამართლებრივ ან პოლიტიკურ გარემოებებს მოიცავს, არამედ, შესაბამისად, დომინანტურ კონცეფციებსა და შეხედულებებს ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაზე, მათ შორის, გამოუთქმელ, ფარულ შეხედულებებსა და პარადიგმებს. არსებული ტოლერანტობა და/ან ცრურწმენები ზრდასრულთა სწავლასა და სწავლებასთან მიმართებაში, ასევე, კონტექსტთან დაკავშირებული გარემოებაა, რაც ზრდასრულთა განმანათლებლის მუშაობაზე ახდენს გავლენას. ამრიგად, ერთ-ერთი ძირითადი უნარ-ჩვევა, რომელიც კომპეტენციასთანაა დაკავშირებული, მიზანმიმართული პასუხია ამ ასპექტზე და ზრდასრულთა განმანათლებლის პროფესიონალურად მუშაობას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ „კარგი ზრდასრულთა განმანათლებლის“ არსებული მიდგომები და კონცეფციები პიროვნებისა და ხასიათის თვისებებს ითვალისწინებს, რომლებიც ზოგჯერ „გადამწყვეტადაც“ კი განიხილება, საერთო მახასიათებლები, რომლებიც სხვადასხვა სახის ზრდასრულ მოსწავლეს ეხება, კურიკულუმში არ შედის. პიროვნული თვისებები და მასთან დაკავშირებული ქცევები იმ „ღირებულებებში“ ერთიანდება, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმი, თუმცა, ისინი ზოგჯერ გაგებულია როგორც კომპეტენციები. მაგალითად, ლინგი (2010), კონფუციანიზმის სულისკვეთებით, აღნიშნავს პატივისცემას, ერთიანობას, პატიოსნებას, გულწრფელობას, საიმედოობას, კეთილგანწყობასა და რაციონალურ თვითშეფასებას და ამტკიცებს, რომ „ადამიანობა“ აუცილებელი კომპეტენციაა პროფესიონალებისთვის სიცოცხლის ბოლომდე სწავლებაში. ზოგიერთ შემთხვევაში, პიროვნული თვისებები, შეიძლება, კარგი ტრენერის წინაპირობად ჩაითვალოს, თუმცა, რთული იქნება შეფასება და შესაძლოა, პიროვნული თვისებების განვითარება უნარ-ჩვევების მსგავსად, შეუძლებელი აღმოჩნდეს. DIE-იმ თავის ანგარიშში „*ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე და დაინტერესებული მხარეების პროფესიონალიზაციის საჭიროება: აზიური პერსპექტივა,* პანაჰონი (2009) (*Adult Education in Lifelong Learning and the Need to Professionalize the Ranks of Stakeholders: The Asian Perspective,* Panahon (2009)) რეკონდაცია გაუწია იმას, რომ „მასწავლებლებმა და ტრენერებმა, უპირველეს ყოვლისა, ეს ფასეულობები უნდა დაიცვან“ და „მასწავლებლებმა და ტრენერებმა ვორქშოპი უნდა გაიარონ აქტიური მოქალაქეობისთვის მსგავსი ფასეულობების სარგებლის შესახებ, რათა უკეთესად მოახდინონ ინტეგრირება სტუდენტების თანდათანობით გარდაქმნაში ქვეყნის ეთიკურ, კომპეტენტურ და ქმედუნარიან მოქალაქეებად.“

მოქმედებაზე ორიენტირება

Curriculum globALE არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ პიროვნულსა და სოციალურ უნარებსაც მოიცავს. მნიშვნელობა ენიჭება მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში, ზრდასრულთა განმანათლებლის მუშაობისას ინდივიდუალურ მოსწავლეებთან ან ჯგუფებთან. კურიკულუმი ითვალისწინებს თეორიისა და პრაქტიკის ნაზავს: ზრდასრულთა სწავლის პროცესის თეორია საფუძველს ქმნის და მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს პრაქტიკული გამოყენებისთვის, სავარჯიშოებისთვის, განვითარებისა და ინფორმირებული გამოყენებისთვის. თეორიული და პრაქტიკული ეტაპების ექსპერიმენტთან და გამოყენებასთან დაკავშირება აუცილებელია, რადგან ზემოქმედების მხოლოდ ეს ფორმა შეუწყობს ხელს ზრდასრულთა განათლების სფეროში პროფესიონალურად მომუშავე კომპეტენტური განმანათლებლის მომზადებას.

იდეალური ფორმა უნდა შეიცავდეს რეალურ პროფესიულ პრაქტიკას, როგორც განუყოფელ ელემენტს. ეს მოითხოვს სწავლების თანმიმდევრობის მონაცვლეობას ხანგრძლივად, მაგალითად, ექსპერიმენტული სწავლება, რომელიც მოიაზრება კოლბის (1984) სასწავლო ციკლში, პრაქტიკული ეტაპებით: „ინფორმაციის მიწოდება > პრაქტიკული გამოცდილება > რეფლექსია“ მოდელის მიხედვით. შემდეგ, „პრაქტიკაზე რეფლექსიის“ შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ერთგვარი ციკლური გაუმჯობესების პროცესის შექმნა, როგორც ეს მოცემულია ისრებით ცხრილში 1.

ცხრილი 1. კოლბის სასწავლო ცხრილი



წყარო: კოლბი, 1984

პრაქტიკისა და რეფლექსიის დამაკავშირებელი მსგავსი მიდგომა გამოიყენება REFLECT-ის მეთოდოლოგიაში (Rhizome, 2020), რომელიც ყურადღებას ზრდასრულთა წიგნიერებასა და სოციალურ ცვლილებებზე ამახვილებს. მოდულებს შორის, CG-ის მონაწილეებმა მიღებული ცოდნა ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის უნდა გამოიყენონ. მათ მხარი უნდა დაუჭირონ მენტორებმა და სწავლების პრაქტიკისთვის ერთობლივად სამოქმედოდ წაახალისონ.

მოსწავლეზე ორიენტირება

კურიკულუმის მონაწილეზე/მოსწავლეზე ორიენტირება (მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა) ALE-ის ცენტრალური პრინციპია, რომელსაც Curriculum globALE ეფუძნება. კურიკულუმი განხორციელების ბევრ თავისუფალ შესაძლებლობას იძლევა, რაც კურიკულუმის ძირითადი ნაწილის მოდულებსაც ეხება, ასევე. კურიკულუმის არჩევითი ნაწილები მოქნილობისა და ინდივიდუალური მოთხოვნილებების მორგების კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობებს ქმნის და თავისუფლად შეიძლება შემუშავდეს ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად.

მოსწავლეზე ორიენტირება, ასევე, ნიშნავს სწავლის შინაარსისა და სწავლების მეთოდების მოსწავლეზე მორგების უზრუნველყოფას (ფრეირეს, 2000 წლის და ნოულზის, 1984 წლის თეორიები), სწავლის გამოცდილებისა და არსებული ცოდნის გათვალისწინებით (იხ. მეზიროვი, 1997 და კოლბი, 1984) და მასწავლებლებსა და მონაწილეებს შორის ურთიერთობას თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობით.

განხორციელების ფაზაში ეს პრინციპები კონსტრუქციულსა და მოტივაციურ კომუნიკაციას, სასწავლო კურსის მოქნილ ორგანიზებასა და სხვა მრავალ მეთოდს მოითხოვს ინდივიდუალური გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

სწავლის მდგრადობა

ზრდასრულთა განათლებამ უნდა გაზარდოს მონაწილეთა უნარი, ეფექტურად ისწავლონ ისე, რომ სწავლის შედეგები სასარგებლო იყოს დიდი ხნის მანძილზე და შემდგომი სწავლის საფუძველი გახდეს. მისი ამოცანაა არა მხოლოდ შინაარსის სწავლება, არამედ მოსწავლეთა დახმარება მეტაკოგნიციის განვითარებაში (საკუთარი შემეცნებითი პროცესის ანალიზის უნარი; იხ. ბრუკ-ფილდი, 1995), რათა გააცნოს მათ თვითორგანიზებული სწავლის საშუალებები და ხერხები, გაზარდოს უწყვეტი სწავლის მოტივაცია, საკუთარი შემეცნებითი პროცესის განსაზღვრის, გაანალიზებისა და გაუმჯობესების უნარებთან ერთად. სწავლის მდგრადობა აუცილებელია სხვადასხვა პირობებში ცოდნისა და კომპეტენციების წარმატებული გამოყენებისთვის და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების შერწყმის უნარის განვითარებისთვის. მოტივაცია და რეფლექსია, ისევე, როგორც ეფექტური სწავლისთვის აუცილებელი უნარები, მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსწავლის განვითარებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მოქნილობა

Curriculum globALE წარმოადგენს ძირითადი ცოდნისა და კომპეტენციების სტანდარტების ერთობლიობას პროფესიონალიზაციის გასაუმჯობესებლად და ზრდასრულთა განმანათლებლების გლობალური ქსელის მონაწილეთა შორის საერთო გაგების საშუალებას. ALE-ის გლობალური ხასიათი მოქნილობას მოითხოვს და, შესაბამისად, CG ხელს უწყობს მოქნილობას რამდენიმე ხერხით, ესენია:

- ადაპტირება ადგილობრივ, ეროვნულსა და კულტურულ კონტექსტებთან (იხ. 1.7) და სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოსა და დონესთან;
- მოქნილობის შეთავაზება რეგისტრაციის მოთხოვნებში, შედეგებში, შეფასებასა და სერტიფიცირებაში, განსხვავებული მოდელებით CG-ის ჩართულობისთვის ან ეროვნული სტრუქტურის გასაუმჯობესებლად;
- მასალა, რომელიც შედგება, დაახლოებით, 70% საერთო ბირთვისგან და 30% არჩევითი მოდულ(ებ)ისგან;
- ALE-ის კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ან ქვესექტორების საჭიროებებთან ადაპტირება, მათ შორის, სხვა პროგრამებთან ან კურსებთან ინტეგრაციის გზით;
- სწავლებისა და სწავლის ფორმების კომბინაციის უზრუნველყოფა: ლექციები, სესიები, ინდივიდუალური და პრაქტიკული სამუშაო;
- მოქნილობის შეთავაზება განხორციელების, მოდულების თანმიმდევრობის, მეთოდების, აქტივობებისა და ა.შ. თვალსაზრისით.

ამრიგად, Curriculum globALE უზრუნველყოფს საერთო საცნობარო ჩარჩოს, მაგრამ მოქნილობისა და ადაპტაციის გარკვეულ დონეს იძლევა. განხორციელება თავისთავად მოითხოვს მოქნილობასა და კარგად მომზადებულ მასწავლებლებს, რომლებსაც შეუძლიათ შინაარსის, მიდგომის, მეთოდების, აქტივობებისა და მასალების ადაპტირება კონტექსტთან და სამიზნე ჯგუფთან.

1.6 Curriculum globALE-ის მიმოხილვა

ეს ნაწილი Curriculum globALE-ის ცალკეულ კომპონენტებსა და კურიკულუმის საერთო სტრუქტურას განიხილავს. რიცხვები, რომლებიც ამ მიმოხილვაშია მოცემული, CG-ის სრულ სასწავლო პროგრამაზე ვრცელდება. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის წინა სწავლება აღიარებულია კურიკულუმის გარკვეულ ნაწილებზე, რიცხვებიც შესაბამისად, შეიძლება, შემცირდეს.

მთელი კურიკულუმი წარმოადგენს, დაახლოებით, 800 საათის განმავლობაში დატვირთვას, რაც თემატურ ერთეულებსა და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ფორმატს შორის ნაწილდება. თემატური ერთეულების თვალსაზრისით, Curriculum globALE მოიცავს:

- ერთ შესავალ მოდულს (სავალდებულო არ არის, მაგრამ რეკომენდებულია);
- ხუთ ძირითად თემატურ მოდულს;
- სამ არჩევით მოდულს (იხ. ცხრილი 2).

Curriculum globALE სწავლის სხვადასხვა ფორმატს ითვალისწინებს:

- სწავლების თანმიმდევრობა თითოეულ მოდულში;
- თითოეული მოდულის ფარგლებში, ინდივიდუალური თვითსწავლა;
- პრაქტიკული მუშაობის თანხლებით, როდესაც მონაწილეები მიმართავენ და ასახავენ იმას, რაც რეალურ სამუშაო გარემოში ისწავლეს ტრენერებთან ერთად, რომლებიც მენტორობასა და ხელმძღვანელობას უზრუნველყოფენ.

რეგისტრაციის მოთხოვნები, შეფასება, სერტიფიცირება და შემდგომი განვითარება ქვეყნის კონტექსტსა და განხორციელებაში ჩართულ პარტნიორებზეა დამოკიდებული.

თემატური ერთეულებისთვის ძირითადი და არჩევითი მოდულების თანაფარდობა, დაახლოებით, 70:30-ზეა; სწავლის ფორმატებისთვის თანაფარდობა სწავლების თანმიმდევრობასა და ინდივიდუალურ თვითგანათლებასა და თანმხლებ პრაქტიკულ სამუშაოს შორის 60:40-ზეა. მნიშვნელოვანია გაკვეთილის მონაკვეთების ორგანულად დაკავშირება მონაწილეთა ინდივიდუალურ სწავლებასთან. ტრენერებმა ტრენინგის დროს ხელმძღვანელობა და მენტორობა უნდა უზრუნველყონ.

თანმხლები პრაქტიკული სამუშაო მნიშვნელოვანია Curriculum globALE-ის ფარგლებში. მას, შესაძლოა, შემდეგი ფორმები ჰქონდეს:

- ტრენინგის დროს მიღებული გამოცდილება თეორიის რეალურ ცხოვრებაში განსახორციელებლად გამოიყენება, შემდგომი განვითარებისა და კომპეტენციების ასამაღლებლად;
- „პრაქტიკულ ჯგუფებზე“ რეფლექსია, ურთიერთდაკვირვება, პროფესიული დაკვირვება და სწავლასთან დაკავშირებული უკუკავშირი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად;
- Curriculum globALE-ის ტრენერების მენტორობა და ხელმძღვანელობა ALE-ის გამოწვევების გადასაჭრელად და გამოცდილი კოლეგების ცოდნის გამოყენება;
- სასწავლო სესიების მომზადება, დაგეგმვა და გადახედვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების წინაპირობაა.

ცხრილი 2. Curriculum globALE



ცხრილი 1 Curriculum globALE-ში სხვადასხვა თემატურ ერთეულსა და სწავლის ფორმატს შორის საათების განაწილებას მიმოიხილავს. საათების რაოდენობა, შეიძლება, მონაწილეთა წინა ცოდნისა და განათლების დონის მიხედვით შემცირდეს და, ასევე, შეიძლება, RPL მექანიზმების გამოყენებაც. საბოლოო ჯამში, ეს გადაწყვეტილება განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა და ქვეყნის პარტნიორებმა უნდა მიიღონ. სწავლების საათები გაწეული საგანმანათლებლო სწავლების საერთო საათებს (60 წუთი) უტოლდება (შესვენებების გარეშე).

ცხრილი 1. Curriculum globALE-ის სტრუქტურა: რეკომენდებული საათების დეტალური მიმოხილვა

მოდული	ძირითადი შინაარსი	დატვირთვა
მოდული 0: შესავალი	ძირითადი ინფორმაცია CG-ს, ტრენინგისა და მისი ორგანიზატორის, მოლოდინებისა და მოზადების შესახებ	4 აკადემიური (შეხვედრა) საათი + 10 საათი ინდივიდუალური (მოსამზადებელი) სწავლებისთვის
მოდული 1: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების საფუძველი	ზრდასრულთა განათლების გაცნობიერება ეროვნულ და გლობალურ კონტექსტში, მისი ძირითადი მახასიათებლები და ელემენტები.	30 აკადემიური საათი (≈ 5 დღე) + 24 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის
მოდული 2: ზრდასრულთა სწავლა და სწავლება	სწავლის თეორიები და მათი ALE-ში გამოყენება; მოტივაცია და ბარიერები ALE-ში; ტრენერის როლი.	30 აკადემიური საათი (≈ 5 დღე) + 24 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის
მოდული 3: კომუნიკაცია და ჯგუფური დინამიკა ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში	ALE-ში კომუნიკაციის პრინციპები, მიდგომები, ხერხები და სასწავლო პროცესის ხელშემწყობი ჯგუფური დინამიკა.	24 აკადემიური საათი (≈ 4 დღე) + 20 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის
მოდული 4: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდები	ზრდასრულთა სწავლისა და განათლების შესაბამისი მეთოდების გააზრება და გამოყენება მიზნის, თემის, ჯგუფისა და კონტექსტისთვის.	24 აკადემიური საათი (≈ 4 დღე) + 20 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის

მოდული	ძირითადი შინაარსი	დატვირთვა
მოდული 5: დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება ზრდასრულთა განათლებაში	სასწავლო ციკლის ფაზები (საჭიროებების განსაზღვრა, კურიკულუმის შემუშავება, დაგეგმვა და ორგანიზება, შეფასება).	24 აკადემიური საათი (≈ 4 დღე) + 20 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის
ძირითადი მოდულები	პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები	180 საათი
არჩევითი მოდულ(ებ)ი	არჩევითი თემები	48 აკადემიური საათი + 42 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის
არჩევითი მოდულ(ებ)ი	პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები	76 საათი
სულ **ხუთი ძირითადი** მოდული: **420** საათი		132 აკადემიური საათი + 108 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის + 180 საათი პრაქტიკული გამოყენებისთვის*
სულ: შესავალი + 5 ძირითადი მოდული + 2 არჩევითი მოდული: **600 საათი**		184 აკადემიური საათი + 160 საათი ინდივიდუალური სწავლებისთვის + 256 საათი პრაქტიკული გამოყენებისთვის**

* მოდულებზე განაწილება, შეიძლება, განსხვავდებოდეს
** მონაწილეების მიერ განვლილი წინა ტრენინგის გამოცდილება, შეიძლება, პრაქტიკულ გამოყენებად ჩაითვალოს

რაც შეეხება მოდულების თანმიმდევრობას, მიზანშეწონილია მოდულებით 1 და 2 დაწყება, რადგან ისინი ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ძირითად თეორიულ ცოდნასა და გაგებას, ასევე, ცნებებსა და ტერმინოლოგიას უზრუნველყოფენ. მოდულების 3-5 თანმიმდევრობა მოქნილია, თუმცა, მოდული 5 საუკეთესო შედეგებს მაშინ იძლევა, როდესაც სერიაში ბოლოა. მოდულები დამოუკიდებელი ერთეულებია და მათი გამოყენება იმ სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში ან ჯგუფთან ერთადაა შესაძლებელი, რომელიც კონკრეტულ სფეროში ცოდნის ან კომპეტენციის გაფართოებას საჭიროებს. ზრდასრულთა განმანათლებელს პროფესიონალურად მუშაობისთვის ყველა ჩამოთვლილი კომპეტენცია უნდა გააჩნდეს. კურიკულუმის განხორციელებისას ბევრი თემატური კავშირია გასათვალისწინებელი; ასევე, თითოეულ მოდულში მოცემულია რჩევები სხვადასხვა მოდულის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

1.7 რეკომენდაციები Curriculum globALE-ის განხორციელებისთვის

ამ ნაწილში მოცემულია შინაარსობრივი რეკომენდაციები კურიკულუმის სხვადასხვა კონტექსტში ადაპტირებისთვის. ნაწილი 2, „მოდულების მიმოხილვა“, მითითებებს მოიცავს განმანათლებლებისთვის, თუ როგორ ჩაატარონ მოდულები და იმუშაონ მონაწილეებთან, მაგრამ კურიკულუმი არ აწესებს მოთხოვნებს არც განხორციელებისთვის, არც შეფასებისა და სერტიფიცირებისთვის.

ყოვლისმომცველი თემები

ქვემოთ მოყვანილი ყოვლისმომცველი თემები მათი გლობალური მნიშვნელობის გამო შეირჩა, როგორც ეს მრავალ საერთაშორისო დოკუმენტშია აღნიშნული, მათ შორის, ბელემის სამოქმედო ჩარჩოში, 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში და განათლების 2030 წლის სამოქმედო ჩარჩოში. ისინი, შეიძლება, წარმოდგენილი იყოს სასწავლო მასალებში, ინდივიდუალური მოდულის ან ტრენინგის განმავლობაში. გენდერული თანასწორობა ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში მონაწილეებს ასწავლის სწავლისადმი გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს და მრავალფეროვნების მართვაში ეხმარება. ტრენინგმა უნდა გაზარდოს გენდერული კომპეტენცია, მგრძნობელობა სხვა კულტურების მიმართ, განსხვავებებისადმი ღიაობა და გენდერულად მგრძნობიარე მუშაობის უნარი. მონაწილეობა, ჩართულობა და თანასწორობა, ქალებისა და სხვა დაუცველი ჯგუფების გაძლიერება ზრდასრულთა განმანათლებლის მუშაობის ფუნდამენტური ბირთვია.

ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველ-საყოფად რამდენიმე ხერხი არსებობს, მაგალითად:

- როგორც თემა რამდენიმე მოდულში შემდეგ საკითხებზე მუშაობისას: გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ქალები, როგორც სამიზნე ჯგუფი პოლიტიკის შემუშავებისას; გენდერულად სპეციფიკური ბარიერების მოხსნა ALE-ს წვდომისა და მასში მონაწილეობის დროს; ფემინისტური ეპისტემოლოგია და ქალთა განათლება; კომუნიკაციის სტილში გენდერული ასპექტები; გენდერულად მგრძნობიარე მეთოდების შერჩევა, გამოყენება და სხვა;

- მაგალითებისა და ილუსტრაციების გამოყენება, რომლებიც მხარს უჭერს გენდერული მგრძნობელობის განვითარებას, იწვევს კრიტიკულ აზროვნებასა და გენდერულ სტერეოტიპებზე აისახება; იგი მოიცავს განათლების ფუნქციის განხილვას სხვადასხვა ცხოვრებისეულ და სამუშაო სიტუაციაში, სწავლის მოტივაციის გაანალიზებასა და ჯგუფური ამოცანების დადგენას, როგორიცაა, სამუშაოს არატრადიციული გამოყენების ფუნქციური ანალიზის შემუშავება და პროფესიული პროფილები; ასევე, ვიდეოები და ფოტოები, შეიძლება, მიმართული იყოს ტრადიციული გენდერული როლებისთვის და დისკუსიები გამოიწვიოს.

- სიმულაციებისა და როლური თამაშების საშუალებით, რომლებიც სტერეოტიპების გამოწვევაა, მონაწილე ქალების მოწვევა ლიდერებისა და მენეჯერების როლში. მსგავსი სავარჯიშოების შეჯამება და დისკუსიები, შეიძლება, მონაწილეების დამოკიდებულებების შესწავლისა და არა მხოლოდ გენდერული სტერეოტიპების, არამედ, სოციალური სტრუქტურების, პოლიტიკისა და პრაქტიკაზე რეფლექსიის, განხილვისა და გამოწვევის საშუალებად იქცეს;

- ისეთი თემების საშუალებით, როგორიცაა ძალაუფლების გადანაწილება განათლებაში, ჩართულობა, თანასწორობა და გაძლიერება;

- პირადი გამოცდილების გაზიარებითა და რეფლექსიით, ნდობის, გახსნილობისა და მხარდაჭერის ატმოსფეროს შესაქმნელად.

ასევე, უნდა ჩაითვალოს დაუცველი ჯგუფები (ხანდაზმული ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიგრანტები და ლტოლვილები, უმცირესობათა ჯგუფები და ა.შ.), ALE-ის მრავალფეროვნების ხელშესაწყობად, კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე მორგებისთვისა და ტრენერის მიდგომის ინდივიდუალიზირებისთვის. გენდერული თანასწორობა, შეიძლება, არჩევით მოდულად შეირჩეს.

მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილება

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით განიხილება, განსაკუთრებით, მომავალი თაობების უფლებები და მათი გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა. როგორც აზია-სამხრეთ წყნარი ოკეანის ასოციაცია ძირითადი და ზრდასრულთა განათლებისთვის (Asia South Pacific Association for Basic and Adult Education (ASPBAE)) აღნიშნავს, „განათლება მდგრადი განვითარებისთვის (Education for Sustainable Development (ESD)) უნდა გავიგოთ უფრო ფართო ჩარჩოებში, რომელიც შექმნილია განვითარების ღირებულებების, პრინციპებისა და გამოცდილების ინტეგრირებისთვის იმ სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად, რომელთა წინაშეც დგას ხალხი“. ESD მდგრადი განვითარების საკითხების (გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება და ა.შ.) ინტეგრირებას მოიცავს სწავლებისა და სწავლის პროცესში, მონაწილეების წასახალისებლად, რომ ის პასუხისმგებელი აქტორები იყვნენ, რომლებიც გადაჭრიან გამოწვევებს, ბუნებასთან ჰარმონიაში იცხოვრებენ და უფრო მდგრადი სამყაროს შექმნას შეუწყობენ ხელს. ეს ელემენტები, შესაძლოა, რამდენიმე მოდულში შევიდეს, რათა განვითარდეს იმის გაგება, რომ რაც დღეს კეთდება, იმან, მომავალში, შეიძლება, ადამიანებისა და პლანეტის ცხოვრებაზე იქონიოს გავლენა. მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილებაც, შეიძლება, იყოს არჩევითი მოდული.

კავშირი ALE-ისა და სხვა სფეროებს შორის ილუსტრირებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს კვლევისა და კარგი პრაქტიკის მაგალითებით. ვინაიდან, მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილების საკითხები ყველა ადგილობრივსა და ეროვნულ კონტექსტზე ახდენს გავლენას, ფასილიტატორებს შეუძლიათ, ამ კავშირების გასაანალიზებლად მოიწვიონ მონაწილეები, მოიყვანონ მაგალითები და შესთავაზონ გზები, რომლითაც ALE-ს წვლილის შეტანა შეუძლია გარემოსდაცვითი და კლიმატური პრობლემების გადაჭრაში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, გლობალურ მოვლენებთან კავშირის ხაზგასმისას. მაგალითად, ტრენერებსა და მონაწილეებს შეუძლიათ, ინფორმაცია გაუზიარონ ანთროპოგენური კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის შესახებ (მაგალითად, ტყეების ფართომასშტაბიანი განადგურება, ჰაბიტატის დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, სოფლის მეურნეობის გააქტიურება, ცხოველების სახეობებითა და მცენარეებით ვაჭრობა, კვების ჩვევები, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს ინფექციური დაავადებების გავრცელებას ეროვნულ საზღვრებს გარეთ.

ბუნებრივი კატასტროფები უფრო ხშირი და ინტენსიური ხდება და ზოგიერთი მაგალითი შეიძლება „გლობალური აზროვნებისა და ადგილობრივი მოქმედების“ საჭიროების საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ. ALE-ის ფუნქცია კარგი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, გამძლეობის განვითარებასა და პასუხისმგებლიანი მოხმარების ხელშეწყობაში, თითქმის ყველა კულტურაში, შეიძლება, იყოს

ილუსტრირებული ადგილობრივი მაგალითებით. ზრდასრულთა განათლება და მდგრადობა ბუნებრივი მოკავშირეები არიან (Orlović and Popović, 2018) და ამ ალიანსის დემონსტრირება ინტერსექტორულ აზროვნებას უწყობს ხელს.

ტრადიციული და დამკვიდრებული ცოდნის როლი, ასევე, შეიძლება, პატივისცემისა და სოლიდარობის კულტურის განვითარებისკენ და ეპისტემოლოგიური მრავალფეროვნებისა და ცოდნის განსხვავებული გზების აღიარებისკენ მიიმართოს.

როგორც ბელემის მოქმედების ჩარჩოშია (Belém Framework for Action) აღნიშნული, ზრდასრულთა სწავლა და განათლება ხელს უწყობს მშვიდობას, დემოკრატიას, ჯანმრთელობასა და ინკლუზიურ საზოგადოებას (UIL, 2010). ამრიგად, კური-კულუმის განხორციელება განმათავისუფლე-ბელ, ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ღირებულებებს ემყარება. ჰამბურგის დეკლარაციაში აღწერილი ზრდასრულთა განათლების შესახებ (The Hamburg Declaration on Adult Learning), CONFINTEA V (UE, 1997, p. 1) ხედვა „მსოფლიოსი, სადაც ძალადობრივი კონფლიქტი დიალოგსა და სამართლიანობაზე დამყარებულ მშვიდობის კულტურას ჩაანაცვლებს“, სწავლის დროს ასეთი ატმოსფეროს შექმნას მოითხოვს. ინჩონის დეკლარაცია, რომელიც 2015 წლის მსოფლიო განათლების ფორუმზე იყო წარმოდგენილი, აღიარებს შემდეგს:

> ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ განათლება არის საზოგადოებრივი სიკეთე, ადამიანის ფუნდამენტური უფლება და საფუძველი სხვა უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ეს აუცილებელია მშვიდობის, შემწყნარებლობის, ადამიანის თვითრეალიზაციისა და მდგრადი განვითარებისთვის. ჩვენ ვაღიარებთ განათლებას, როგორც გასაღებს სრული დასაქმებისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ჩვენ გავამახვილებთ ჩვენს ძალისხმევას ხელმისაწვდომობაზე, თანასწორობასა და ჩართულობაზე, ხარისხსა და სწავლის შედეგებზე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მიდგომის ფარგლებში (იუნესკო, 2015, p. 7).

ამის გათვალისწინებით, CG-ის მონაწილეებს შეუძლიათ, შეისწავლონ მშვიდობის კულტურის განვითარების გზა, დემოკრატიული მიდგომა და აქტიური მონაწილეობა, თუნდაც, ზრდასრულებთან მიკროსწავლების სიტუაციებში.

შეიარაღებული კონფლიქტით სავსე სამყაროში მშვიდობისა და დემოკრატიისადმი აქტიური და ერთგული მიდგომის ხელშეწყობა ძნელია. მონაწილეებმა არა მხოლოდ ცოდნა და ინფორმაცია უნდა მიიღონ, არამედ მხარდაჭერაც, რომელიც საჭიროა ძლიერი ღირებულებებზე დაფუძნებული ქმედებისთვის. მოდულები 3 და 4 ხელს უწყობს არაძალადობრივი, ინკლუზიური და ტოლერანტული კომუნიკაციის სტილსა და ატმოსფეროს. Curriculum globALE მხარს უჭერს განათლებას გლობალური მოქალაქეობისთვის ინფორმაციის მიწოდებით, გლობალური საკითხებისადმი მგრძნობელობისა და ღიაობის გაზრდითა და სააგენტოების განვითარებით.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (Human Rights-based Approach (HRBA)) ღრმად არის ფესვგადგმული მგმ-ში; ორი კონცეფცია

„ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან განმტკიცების ფორმით“ (დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი - The Danish Institute for Human Rights, 2016). ეს გამოიხატება განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ორმხრივ ბუნებაში - ეს არის ოქროს ძაფი, რომელიც ჩვიდმეტივე მგმ-ის განხორციელებაში გადის და სხვადასხვა უფლების გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, განათლება დამოუკიდებელი მიზანია (მგმ 4) და თავისთავად - ადამიანის უფლება. მაგალითად, მოდულში 1 მონაწილეებს შეუძლიათ, განიხილონ საერთაშორისო პოლიტიკა, ძალაუფლების სტრუქტურები და უთანასწორობის საკითხები - სფეროები, სადაც ALE-ის მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. ალტერნატიულად, ვიდეო მასალა მგმ-ებზე, განათლება ადამიანის უფლებებისა და გლობალური მოქალაქეობის შესახებ მოცემულია მოდულში 4. განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის, ასევე, შეიძლება, არჩევითი მოდული იყოს.

ძირითადი და არჩევითი ელემენტები

Curriculum globALE გამოყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება, ფართო სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა, CG-ის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ ზრდასრულთა განმანათლებლის როლი იმ ღირებულებებისა და პრინციპების ერთობლიობას ემყარება, რომლებიც მთელ მსოფლიოშია აქტუალური. ეს რწმენა მრავალწლიანმა განხორციელებამ დაადასტურა. Curriculum globALE-ს სასწავლო გეგმის გაგებით, მთელი მსოფლიოს ზრდასრულთა განმანათლებლებს შემდეგი ფაქტორები აერთიანებთ:

- რწმენა ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ძალაში და მისი პოტენციალი პოზიტიურ ცვლილებებში;
- ზრდასრულთა სწავლის პროცესების ხელშეწყობის სურვილი ნებისმიერ კონტექსტში;
- ზრდასრული მოსწავლის აღიარება სრულწლოვნად, პასუხისმგებლად, საკუთარი სწავლის პროცესის (თანა) გადამწყვეტად;
- ერთი მხრივ, განმანათლებლის როლის მნიშვნელობასა და საზოგადოების მოლოდინების, მეორე მხრივ კი, საზოგადოების აღიარებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის ნაკლებობას შორის შეუსაბამობების გაცნობიერება;
- რწმენა ზრდასრულთა სწავლისა და განათლების, როგორც ყველა ფუნქციონალური განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რაც, შესაბამისად, საჭიროებს სათანადო სტრუქტურას, დაფინანსებასა და საკმარისი რაოდენობის კარგად მომზადებულ პროფესიონალ კადრებს.

Curriculum globALE-თვის ეს პრინციპები შეუცვლელი საფუძველია. კურიკულუმი, ასევე, გვთავაზობს ფართო შესაძლებლობებს მრავალფეროვნებისთვის, სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ცალკეულ შემთხვევებში. CG აღიარებს და ითვალისწინებს კულტურისა და ჩვეულებების არსებულ მრავალფეროვნებას, ასევე, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩარჩოს თავის კონცეფციაში. ეს გულისხმობს დიზაინის თავისუფლების მაღალ დონეს ხუთ ძირითად მოდულში და, კერძოდ, არჩევით მოდულებში, რომლებიც შეიძლება, ინდივიდუალურ კონტექსტებზე იყოს მორგებული და მთლიანი სასწავლო გეგმის 30 პროცენტს შეადგენდეს.

აღნიშნული არჩევითობა და დიზაინის თავისუფლება ეხება:

რეგიონულ/გეოგრაფიულ კონტექსტს:

კურიკულუმი ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებიც განსაკუთრებულს ხდის ადგილობრივ გარემოს, იქნება ეს კონკრეტული ჩვეულება, ადგილობრივი საზოგადოებისთვის აქტუალური თემები, თუ კონცეფციები, რომლებიც ზოგიერთ რეგიონში, ქვეყანაში ან კონტინენტზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვაგან.

სამიზნე ჯგუფებისთვის დამახასიათებელ საჭიროებებს:

აქ „სამიზნე ჯგუფი“ იმ ზრდასრულებს ეხება, რომლებთანაც კურსის მონაწილეები მუშაობენ თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად და რომლებიც ან ამჟამად ან მომავალში ზრდასრულთა განმანათლებლებად იმუშავებენ. სამიზნე ჯგუფის იმ მახასიათებლებისა და გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა სქესი, ასაკი, განათლება, პროფესიული გამოცდილება, ეთნიკურობა და შეზღუდული შესაძლებლობები და ასევე, მისი სპეციფიკური ინტერესები და მიზნები (წიგნიერება, გაძლიერება და ა. შ.), ძირითადი სფეროები შეიძლება, მიზანმიმართულად შეიქმნას კურიკულუმის ცვალებად ნაწილში.

თემატურ სფეროსა და საგნის სპეციფიკურ ასპექტებს:

იგი გვთავაზობს კურიკულუმის შემუშავების ფართო სპექტრს, ძირითადი განათლების სფეროში პრიორიტეტების დადგენიდან ან პროფესიული განათლების სხვადასხვა დარგში კლასიკური ვორქშოპებით ლიბერალური განათლების ტრადიციის ფარგლებში, საზოგადოებრივ კონტექსტში წიგნიერების კურსებამდე. საჭიროების შემთხვევაში, ეს შეიძლება, კონკრეტული პროფესიის ცოდნის კომპონენტებთან და საგნობრივ-დიდაქტიკურ ელემენტებთანაც (მაგ. უცხო ენების სწავლების დიდაქტიკა, წიგნიერება და სხვა) გაერთიანდეს.

მენეჯმენტის ამოცანებს ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში:

Curriculum globALE-ს ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია სწავლებაზე, რომელიც მოსწავლეებთან უშუალო ურთიერთქმედებით მიმდინარეობს. საორგანიზაციო, დაგეგმვისა და კოორდინაციის ამოცანები იმდენად დაფარულია, რამდენადაც ისინი უშუალოდაა აუცილებელი მსგავსი სასწავლო საქმიანობის მომზადებისა და განხორციელებისთვის. ტრენერებს შეუძლიათ, კურიკულუმის არჩევითი ნაწილი ზრდასრულთა განმანათლებლების ამოცანების უფრო ფართო სპექტრისთვის გამოიყენონ ინსტიტუციონალურ ან პროგრამულ დონეზე დაგეგმვისას, ორგანიზებასა და მენეჯმენტზე ფოკუსირებით, სწავლის სხვადასხვა მეთოდის მართვის უნარის (მაგალითად, დისტანციური სწავლება, შერეული სწავლება) ჩათვლით.

სიტუაციურად განპირობებულ საჭიროებებს:

გარკვეული პროექტები, როგორებიცაა პოლიტიკური კრიზისი, სადაც საჭიროა ადამიანები, რომელთაც მიზნობრივი საგანმანათლებლო ინტერვენციის პროგრამების განხორციელება შეუძლიათ, ზრდასრულთა განმანათლებლის სპეციფიკურ პროფილს მოითხოვს. გამძლეობის ტრენინგი, შეიძლება, ძირითად ნაწილს დაემატოს.

სპეციფიკურ მარეგულირებელ მოთხოვნებს:

შეიძლება, არსებობდეს ზრდასრულთა მასწავლებლების კვალიფიკაციის სტანდარტები, იქნება ეს ეროვნული კანონმდებლობისა თუ პროვაიდერის დონეზე არსებული რეგულა-ციების საშუალებით. კურიკულუმის არჩევითი ნაწილი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შეიძლება, გამოვიყენოთ.

მოდულების ერთობლივად შექმნის შესაძლებლობებს: კონკრეტული საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მსმენელთა ინფორმირების გამოყენება შეიძლება.

სხვადასხვა სწავლებისა და სასწავლო ფორმატს: ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ცხოვრების ყველა სფეროში, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) არა მხოლოდ ძლიერ დიდაქტიკურ დამხმარედ ხდის ყველა მოდულში, არამედ, მნიშვნელოვან თემადაც არჩევითი მოდულისათვის. ICT მოდული შეიძლება, ბევრ საკითხს მოიცავდეს: ციფრული ტექნოლოგიების გაცნობიერება და მათი გამოყენების ხერხები ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში; როდის და როგორ უნდა მოხდეს ICT-ების გამოყენება (მიზნის, თემის, სამიზნე ჯგუფის და ა.შ. მიხედვით); ICT-ების ექსკლუზიურად გამოყენების რისკების აღიარება (განსაკუთრებით, მოტივაციასთან და გაძლიერებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მიზნებისთვის და წიგნიერების დაბალი უნარების მქონე ჯგუფებისთვის); ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში ICT-ების ინტეგრირების გზები და მათი შესაბამისი კომბინაცია განათლების სხვა ფორმებთან.

კურიკულუმის არჩევითი ნაწილით გათვალისწინებული 30 პროცენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა, რომელიც შეიძლება მორგებული იყოს. მაგალითად, არსებულმა სტანდარტმა შეიძლება, მიზანშეწონილი გახადოს დამატებითი ცვლადი ნაწილის დანერგვა; ასევე, შეიძლება, არსებული გამოცდილებისა და კომპეტენციების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში, შესაბამისად, შეიძლება შემცირდეს კურიკულუმის სტრუქტურირებული სწავლებისა და სასწავლო ერთეულების პროცენტი.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ძირითადი და არჩევითი ნაწილების კომბინაცია მხოლოდ მექანიკური საშუალებებით; პირიქით, ორივე ნაწილი ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს. არჩევითი ნაწილები შეიძლება, ძირითად ნაწილში შეძენილი უნარების გაღრმავებას ან გაფართოებას ემსახურებოდეს, ასევე, ძირითად ნაწილში განხილული შინაარსის გამოყენებასა და მასზე რეფლექსიას. არჩევითი ნაწილი შეიძლება, მაგალითების ანალიზზე ფოკუსირდეს ან სპეციალიზებულ მეთოდებსა და მათი გამოყენების განსაკუთრებულ ასპექტებს გაუმკლავდეს, რაც Curriculum globALE-ს პროგრამის სპეციფიკურ კონტექსტზე მორგების შესაძლებლობების ფართო სპექტრს განაპირობებს - იქნება ეს ქვეყანა, რეგიონი, სამიზნე ჯგუფი, სიტუაცია თუ სფერო. მოკლედ რომ ვთქვათ, კურიკულუმი შეიძლება, სხვადასხვა აუდიტორიას მოერგოს. მონაწილეები, უპირველეს ყოვლისა, გადიან სწავლების პრაქტიკასა და ინდივიდუალურ სასწავლო მასალებს, გეოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

Curriculum globALE-ს „ადგილობრივი“ შემუშავება

Curriculum globALE-ს დანერგვისას, ის კონკრეტულ ინსტიტუციონალურსა და პროფესიულ კონტექსტს უნდა მოარგოთ, რათა ALE-ის სისტემის შემუშავებას შეუწყოს ხელი. აქედან გამომდინარე, CG „დამოუკიდებელ“ გადაწყვეტად კი არ უნდა იყოს გამიზნული, არამედ არსებულ კონტექსტში უნდა ჩაიდოს. ზოგადად, რეკომენდებულია:

- ადგილობრივი კურიკულუმის დაკავშირება არსებულ ან დაგეგმილ სასწავლო სქემებთან;
- Curriculum globALE-ს შესაბამისობა ეროვნულ პოლიტიკასთან და ადგილობრივ მოთხოვნებთან;
- ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობა;
- შეძლებისდაგვარად, რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა.

სანამ Curriculum globALE ადგილობრივ კონტექსტს მოერგება, ორგანიზატორებმა უნდა განსაზღვრონ ადგილობრივი პარტნიორ(ებ)ი, რომლებიც სფეროს პოპულარიზაციითა და გაუმჯობესებით არიან დაინტერესებული; იდეალურ შემთხვევაში, ეს იქნებოდა სამთავრობო ორგანოები (მდგრადი გზით, CG-ს ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში განმტკიცების მიზნით), მიმწოდებლები და აკადემიური წრეები. ამ უკანასკნელს შეუძლია, უზრუნველყოს ფასილიტატორები, მონიტორინგი და შეფასება და თან ახლდეს კვლევის განხორციელებას.

მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს შორის, შეიძლება, იყვნენ:

- მთავრობა: განათლების, შრომის ან/და ეკონომიკის, სოციალური საკითხების, კულტურის, დაგეგმვის სამინისტროები; ადგილობრივი ხელისუფლება;
- საერთაშორისო ინსტიტუტები: იუნესკოს განათლების სექტორი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და რჩეული მრავალმხრივი ან ორმხრივი განვითარების ორგანიზაციები;
- მიმწოდებლები: არასამთავრობო ორგანიზაციები, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ცენტრები, საზოგადოებრივი ცენტრები, პროფესიული სკოლები, წიგნიერების ცენტრები, მასწავლებელთა მომზადების ცენტრები, რწმენაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო სექტორი;
- პროფესიული ორგანოები: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ცენტრების ქოლგა ორგანიზაციები, ტრენერთა ასოციაციები, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ასოციაციები, წიგნიერების ტრენერთა ასოციაციები და სხვა;
- კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, კოლეჯები;
- ორგანიზაციები შესაძლო გადაკვეთის წერტილით: პალატები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სოფლის განვითარების სფეროში მუშაობენ, კერძო სექტორის წარმომადგენლები.

კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ადგილობრივ, ეროვნულ ან რეგიონულ აქტორებთან იმისთვის, რომ განხორციელდეს შემდეგი:

- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პერსონალისა და პროფესიონალიზაციის სფეროში არსებული სიტუაციების შესწავლა, აღწერა და გაცნობა;
- საჭიროებების ანალიზის ჩატარება Curriculum globALE-ს განხორციელების გზების დასადგენად;
- მთავრობასთან და დონორთა პოლიტიკასთან მდგრადობისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა;
- კონსულტაციები სამართლებრივი რეგულაციების, RPL-ისა და სერტიფიცირების ვარიანტების, ფინანსური ასპექტებისა და რესურსების შესახებ;
- მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ მონაწილეებთან დაკავშირება და არსებული კურსების შესწავლა, მათთან დაკავშირებული პრაქტიკა დუბლირების თავიდან ასაცილებლად და სინერგიის შესაქმნელად.

ასევე, აუცილებელია ექსპერტთა და რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა Curriculum globALE-ის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. ტრენინგის კონცეფციის შემუშავება სამუშაო ჯგუფის წევრებთან უნდა განიხილებოდეს და რაც შეიძლება მეტი საერთო რესურსის გამოყენებით განხორციელდეს.

გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებამდე, დაინტერესებული მხარეების საჭიროებები, არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები საგულდაგულოდ უნდა განიხილონ ორგანიზატორებმა. ზოგიერთ რეგიონში თანამშრომლობას საგანმანათლებლო მასალების შემუშავებასა და ICT-ზე წვდომას ხარჯების შემცირება შეუძლია. არსებული რესურსებისა და სასწავლო მასალების გამოყენება სხვა პროექტებიდანაც (განსაკუთრებით, ადგილობრივ ენებზე) შეიძლება.

Curriculum globALE-ის შემდგომი კონტექ-სტუალიზაცია, შეიძლება, შეიცავდეს მის მონაწილეობას ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში, სერტიფიცირებას ან მიმწოდებლის ტიპს, რეგისტრაციის მოთხოვნებს, ფინანსურ ასპექტებს ან ფასილიტატორის წვლილს. ორგანიზატორს შეუძლია, უზრუნველყოს ტრენინგისთვის საჭირო ადგილობრივი და ეროვნული მასალა, მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე ტრენინგის თემასთან დაკავ-შირებულ ღონისძიებებში, ან ხელი შეუწყოს ადგილობრივ საზოგადოებასთან თანამშრომლობას.

კურიკულუმი, შეიძლება, ადგილობრივ და ეროვნულ კონტექსტს მოერგოს რამდენიმე გზით, რომელთაგან ზოგი ზემოთ აღწერილ ორგანიზაციულ და ფორმალურ ასპექტებს ეხება, ზოგი კი, სწავლების განხორციელებას, შინაარსსა და მეთოდებს. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული შინაარსი საერთო ბირთვს წარმოადგენს, ის შეიძლება, კონკრე-ტულ დონეს მოერგოს ან ადგილობრივად ან ეროვნულად მნიშვნელოვანი მიდგომები, საკითხები ან ავტორები შეავსოს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული სახის შინაარსის სწავლების მრავალი გზა, ძირითადი კომპეტენციები პროგრამის ბირთვად უნდა დარჩეს. მოდულებში მოცემულია თემების უმეტესობის ძირითადი საკითხები, მაგრამ შემდგომი ახსნა-განმარტება ტრენერებსა და მონაწილეებს ეთმობა. ზოგიერთი თემა ისეთ ადგილობრივსა და ეროვნულ საკითხებს ეხება, როგორიცაა ALE-ის ტერმინოლოგიის ადგი-ლობრივ ენაზე განხილვა ან შესაბამისი ქვეყნის ALE-ის წევრებთან შეხედულებების გაცვლა. მაგრამ მრავალფეროვნების რეალური შესაძ-ლებლობა, ადგილობრივი და ეროვნული ადაპტაციით, ტრენინგის ჩატარების მეთოდში მდგომარეობს. თემები შეიძლება, ადგილობრივ კონტექსტს ან მონაწილეთა გამოცდილებას დაეფუძნოს ისევე, როგორც სავარჯიშოების, ჯგუფური მუშაობისა და როლური თამაშების სცენარებს. სასწავლო მასალა ადგილობრივ და ეროვნულ კონტექსტს უნდა ეხებოდეს ან შეიძლება, მონაწილეებმა შეიმუშაონ როგორც REFLECT მეთოდოლოგიაში. სინამდვილეში, ტრენინგი, რომელიც ამ მიდგომას გადაუხვევს, არ შეესაბამება ALE-ის ძირითად პრინციპებს და Curriculum globALE-ის ნამდვილ სულისკვეთე-ბას არ წარმოადგენს.

1.8 ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფა, შენარჩუნება და გაუმჯობესება აუცილებელია ყველა საგანმანათლებლო რეფორმისთვის და საგანმანათლებლო პროექტებისა და მცდელობებისთვის. განათლების გასაუმჯობესებლად მეთოდებისა და „პროდუქტების“ მიმოხილვა, კრიტიკა და შეცვლა უწყვეტი და დინამიური პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ზოგჯერ სადავოა, ის გარკვეული ფორმით აუცილებელია ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და შედარების მიზნით და კარგი გზაა საგანმანათლებლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

განათლების ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია საგანმანათლებლო კონტექსტის მრავალფეროვნებაზე, პოლიტიკურ დისკურსზე, სოციალურ-კულტურულ ტრადიციებსა და მრავალ სხვა ფაქტორზე. ამიტომ, ხარისხი ყოველთვის ძალიან კონტექსტური და დისკურსული საკითხია. ხარისხის ზოგადი კრიტერიუმებისა და მათი გაუმჯობესების გზების პოვნა ადვილი არ არის. Curriculum globALE ცდილობს, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სისტემების ხარისხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის - პერსონალის მოთხოვნების დადგენით გააუმჯობესოს.

ამ ფოკუსის გარდა, CG-ს მიზანია, ასევე, ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილება სხვა სფეროში. მაგალითად, CG ემყარება ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეცნიერებას, ერთი მხრივ, კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით და მეორე მხრივ, მრავალ ქვეყანაში დამტკიცებული ALE-ის პრაქტიკით. საუკეთესო პრაქტიკის პრინციპებმა სხვადასხვა კონტექსტში უზრუნველყო შესაბამისი რეკომენდაციები. პროცესში საჭიროებების ანალიზი, შედარება და ბენჩმარკინგი გამოიყენეს. CG-ის შექმნასა და გადასინჯვაში დიდი იყო ჩართულობა, შეხედულებებისა და პერსპექტივების მრავალფეროვნების წარმოსაჩენად.

რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელებას, Curriculum globALE რეკომენდაციას უწევს კომპეტენციებსა და შინაარსს, მაგრამ არ განსაზღვრავს შემდგომ ზომებს ეროვნულ დონეზე. უნივერსალური მიდგომა არ გამოიყენება, კერძოდ, შეფასებისას, რომელიც ხარისხის პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი ხერხია. ამრიგად, მეთოდებისა და საშუალებების სხვადასხვა მიდგომა და კომბინაცია შესაძლებელია. თუმცა, როგორც წესი, ხარისხის უზრუნველყოფა განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ვრცელდებოდეს: ეს ითვალისწინებს ყურადღებით მომზადებასა და დაგეგმვას, მონიტორინგს, ტრენინგსა და შემაჯამებელ შეფასებას. მიუხედავად ამისა, ზუსტი ფორმა და ინსტრუმენტები ეროვნული აქტორებისა და პარტნიორების შეხედულებისამებრ უნდა გამოვიყენოთ.

შეიძლება შეფასების მრავალი ხერხისა და მიდგომის, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და რესურსების ნაკრების გამოყენებაც. ზოგიერთმა ქვეყანამ შესაძლოა, სასარგებლოდ OECD-ის განვითარების დახმარების კომიტეტის (OECD, 2020) შეფასების კრიტერიუმების საცნობარო ჩარჩო მიიჩნიოს.

Curriculum globALE:

მოდულების მიმოხილვა

მოდული 0: შესავალი

მიზანი

შესავალი მოდული რამდენიმე მხარის: ორგანიზატორი პარტნიორების, ფასილიტა-ტორებისა და მონაწილეების კარგად დაგეგმილი და სტრუქტურირებული შეხვედრაა Curriculum globALE-ის განსახორციელებლად. იგი მონაწი-ლეების გაცნობითი სესიაა და ტრენინგის დაწყებამდე ტარდება. ამ შესავალი მოდულის მიზანი მომავალი ტრენინგის წარმატებული განხორციელებისა და/ან დასრულებისთვის მყარი საფუძვლის შექმნაა და რამდენიმე ასპექტს მოიცავს:

- პირველ რიგში, მონაწილეებს ყველა საჭირო ინფორმაცია მიეწოდებათ კურიკულუმის შესახებ, ზოგადი მიზნების, ფილოსოფიისა და შინაარსის ჩათვლით, ასევე, განხორ-ციელებისა და დასრულების პრაქტიკული დეტალები;
- მეორე, მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, ტრენერს გაუზიარონ ინფორმაცია მათი ინდივიდუალური (პროფესიული) გამოც-დილების, საჭიროებების, მოლოდინებისა და მისწრაფებების შესახებ, რაც ტრენინგის სათანადოდ ადაპტირების საშუალებას ქმნის;
- მესამე, შესავალი მოდულით კავშირები მყარდება და ურთიერთგაგება ყალიბდება მონაწილეებს, ორგანიზატორებსა და ფასილიტატორებს შორის, კონსტრუქციული სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

ფორმატი

იდეალურ შემთხვევაში, მოდული 0 თემატურ მოდულებში მონაწილეობამდე უნდა ჩატარდეს, როგორც პირისპირ შეხვედრა, რომელიც მინიმუმ ერთი სრული დღე გაგრძელდება. ყველა ორგანიზატორი, მონაწილე და ფასილიტატორი მოწოდებულია დაესწროს ამ შეხვედრას. შესაძლებელია, ასევე, ვირტუალური შეხვედრის ჩატარება ბეჭდური და/ან ონლაინ მასალების, ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციისა და/ან დისკუსიის ონლაინ ფორუმის გამოყენებით. ნებისმიერ შემთხვევაში, კომუნიკაცია მრავალმხრივი უნდა იყოს და ტრენერებმა, ფასილიტატორებმა და მონაწილეებმა მკაფიოდ უნდა გამოხატონ თავიანთი მოლოდინები და საჭიროებები. თუ გარემოებები საკმარისი დროის შესაძლებლობას არ ქმნის მოდულ 0-სა და მოდულ 1-ს შორის, მოდული 0 შეიძლება, ორგანიზებულად დაიწყოს, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება მოდული 1. მოდული 0, ასევე, შეიძლება, ორგანიზატორების შეხვედრის ადგილი იყოს ერთმანეთთან ან ეროვნულ პარტნიორებთან და ფასილიტატორებთან მონაწილეების შესარჩევად და ლოგისტიკური თუ ორგანიზაციული საკითხების განსახილველად.

შინაარსი

შესავალი მოდული შემდეგი შინაარსისაა:

Curriculum globALE-ის შესახებ ინფორმაცია

- ძირითადი ინფორმაცია, ფილოსოფია და პრინციპები
- კურიკულუმის მიზანი
- სწავლის მიზნები და შეძენილი კომპეტენციები
- ინდივიდუალური მოდულების შესახებ ზოგადი შესავალი

ინფორმაცია ტრენინგის შესახებ

- ტრენინგის სტრუქტურა
- ტრენინგის ფორმატები
- სასწავლო აქტივობები და მეთოდები
- საკომუნიკაციო არხები
- განრიგი
- დასწრების ადგილები; ფაზები

ინფორმაცია ტრენინგის მიმწოდებლის შესახებ

- პირადი ინფორმაცია ტრენერების/ფასილიტატორების შესახებ, ე.ი. პროფესიული განათლება და გამოცდილება ALE-ში;
- ტრენერების/ფასილიტატორების საკონტაქტო ინფორმაცია;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია.

მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია და მათი მოლოდინები

- პირადი ინფორმაცია მონაწილეთა შესახებ, ე.ი. პროფესიული განათლება და გამოცდილება ALE-ში;
- მონაწილეთა საჭიროებები და მოლოდინები.

Curriculum globALE-ის მონაწილეთა მოლოდინები

- მზაობა აქტიური სწავლისთვის;
- სასწავლო შინაარსის რეფლექსია და პრაქტიკული გამოყენება.

ურთიერთობების დამყარება

- ერთმანეთის გაცნობა
- საკონტაქტო ინფორმაციის გაცვლა

შემდგომი განვითარება: მოლოდინებზე მორგება

შესავალი მოდულის განმავლობაში მიღებული ინფორმაცია მოლოდინებისა და გამოცდილების შესახებ, ტრენინგის ინდივიდუალური კონტექსტის ადაპტირების საფუძვლად უნდა გამოვიყენოთ. ადაპტაცია მოიცავს:

- საგნის შერჩევას ხუთი ძირითადი თემატური მოდულისთვის, რომელიც შეიძლება, იმ სფეროების მიხედვით მოერგოს მონაწილეთა გამოცდილებას, სადაც ისინი არიან აქტიურები, მაგალითად, წიგნიერების სწავლება, დემოკრატიული განათლება, საზოგადოების გაძლიერება ან პროფესიული უნარების სწავლება;
- არჩევითი მოდულის საგნების განსაზღვრას მონაწილეთა მიერ გამოხატული მოლოდინის საფუძველზე. ეს მოდულები შეიძლება, მოქნილად იყოს კონცეპტუალიზებული თუ ხარისხის ძირითადი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. არჩევითი მოდულები შეიძლება და უნდა გამოვიყენოთ შეძლებისდაგვარად, არსებული რესურსების ფარგლებში, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგის უზრუნველსაყოფად.

მონაწილეები, რომლებსაც უკვე გააჩნიათ იმ კომპეტენციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც Curriculum globALE-ის ფარგლებში უნდა მიიღონ, შეიძლება, გარკვეული ტრენინ-გებიდან გათავისუფლდნენ ან თუნდაც, ჩაერ-თონ თანატრენერებად. თუმცა, ეს მოითხოვს შესაბამისი RPL-ის (წინასწარი სწავლის აღიარების) პროცედურების გამოყენებას.

ვინაიდან ასეთი RPL-ის მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დამკვიდრებული, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, ეს არარეალურიც იყოს. თუმცა, RPL-ის ზოგიერთი ინსტრუმენტი უკვე ხელმისაწვდომია ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის და შეიძლება, Curriculum globALE-თვის ადაპტირდეს.

მოდული 1: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების საფუძველი

კომპეტენცია [4]

მათ, ვინც მოდული 1 დაასრულა, იციან და ესმით ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სფეროს ფუნქციები, მახასიათებლები და მათი მნიშვნელობა საკუთარ სოციალურ კონტექსტში ისევე, როგორც სხვა კონტექსტებთან შედარებით და უფრო ფართო, საერთაშორისო კონტექსტში. მათ შეუძლიათ, საკუთარი პროფესიული როლი განსაზღვრონ ამ კონტექსტში.

სწავლის შედეგები

ისინი, ვინც Curriculum globALE-ის მოდული 1 დაასრულა:

- აცნობიერებენ ზრდასრულთა სწავლასა და განათლებას, როგორც პოლიტიკის, პრაქტიკის, კვლევისა და მეცნიერების სფეროს და თუ როგორ არის ფორმირებული სხვადასხვა საგანმანათლებლო ფილოსოფიით, ადამიანის ბუნებისა და ეთიკური პრინციპების გაგებით;
- იციან, რომ ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მრავალფეროვანი პრაქტიკა შემუშავებულია კონტექსტურ ფაქტორებთან: სოციალური, ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი ურთიერთქმედებისას;
- იციან ძირითადი ტერმინები და ცნებები ამ სფეროში - ტერმინები, რომლებიც გამოიყენება გლობალურად და რომლებიც სპეციფიკურია რეგიონისთვის/ქვეყნისთვის;
- იციან განსხვავება ზრდასრულთა ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ სწავლას შორის, მათ მნიშვნელობასა და ურთიერთკავშირს შორის;
- იცნობენ ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმას, ასევე, სხვადასხვა სასწავლო ადგილს, სფეროსა და ქვესექტორს ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სფეროში, განსაკუთრებით, თავიანთ ქვეყანაში/რეგიონში;
- იციან ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების ძირითადი ფუნქციები და სარგებელი;
- იცნობენ ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პოლიტიკის ძირითად ელემენტებს (მათ შორის, დაფინანსების პირობებსა და სამართლებრივ ჩარჩოს) და მის ყველაზე მნიშვნელოვან აქტორებს თავიანთ ქვეყანაში ან რეგიონში და საერთაშორისო დონეზე;
- ფლობენ საერთაშორისო განვითარებისა და გლობალური დღის წესრიგის ძირითად ცოდნას, რომელიც ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მათ კონტექსტს შეესაბამება;

[4] „კომპეტენცია“ არ ეხება ვიწრო გაგებით მოქმედების უნარს, არამედ, ძირითად ცოდნასა და დამოკიდებულებებს, რომლებიც საჭიროა შემდეგ მოდულებში აღწერილი ამოცანების პასუხისმგებლობით შესასრულებლად.

- იციან ზრდასრულთა განათლების ბაზრის, მიმწოდებლების, პროგრამების/შეთავაზებებისა და სამიზნე ჯგუფების შესახებ;
- იციან ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პროფესიონალიზაციის ძირითადი მახასიათებლები და სხვადასხვა კარიერული გზა; ასევე, შეუძლიათ, გამოიკვლიონ და გაიაზრონ თავიანთი პროფესიული გზა და ზრდასრულთა განმანათლებლის როლი;
- შეუძლიათ კრიტიკულად ასახონ ზრდასრულთა სწავლასა და განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტორის ფუნქციები და ინტერესები, ასევე, არსებულ ძალაუფლებასთან კავშირები.

სხვა მოდულებთან კავშირები

ამ მოდულის მიზანია, განავითაროს ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ზოგადი კონცეფციისა და მისი ძირითადი ცნებებისა და ასპექტების გაგება. ამ თვალსაზრისით, მოდული ძირითად ცოდნას იძლევა ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სფეროს შესახებ (პოლიტიკა და პრაქტიკა) და უკავშირდება ყველა სხვა მოდულს. ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მდგომარეობა კულტურასა და კონტექსტში, სხვა მოდულებშიც უნდა აისახოს, მაგალითად, სწავლების მეთოდები (მოდული 4), შეფასება (მოდული 5), სწავლის თეორიები (მოდული 2) ან კომუნიკაციის აღქმა და ჯგუფური დინამიკა (მოდული 3). მოტივაცია და მონაწილეობა ზრდასრულთა სწავლაში (მოდული 2), ასევე, მჭიდროდაა დაკავშირებული ზრდასრულთა სწავლისა და განათლების კონკრეტულ კონტექსტში ჩამოყალიბებასთან.

ამ მოდულში თემის სახით წარმოდგენილი ზრდასრულთა განმანათლებლის როლი, პროფესიული დამოკიდებულებები და ფასეულობები ხელახლა განიხილება სწავლისა და დიდაქტიკური საქმიანობის პრინციპებთან შეხებისას (მოდული 2).

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების განსხვავებული გაგება, განვითარება და მის მიმართ ფილოსოფიური მიდგომები შემდგომშია შესასწავლი სწავლის თეორიების საშუალებით. ამიტომ, ამ ორი მოდულის ჯვარედინი მითითება მკაცრად რეკომენდებულია.

ძირითადი თემები

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების თეორიული საფუძვლები და მრავალფეროვნება

- ძირითადი ანთროპოლოგიური დებულებები, წარმოდგენები ქალებსა და კაცებზე, საზოგადოებაზე, ზრდასრულებზე, განათლებაზე, სწავლასა და სოციალიზაციაზე, ცხოვრების გზაზე;
- ძირითადი მიდგომები ზრდასრულთა სწავლისა და განათლების, სწავლისა და საგანმანათლებლო თეორიების მიმართ, მათ შორის:
  - პოზიტივიზმი, პრაგმატიზმი, ლიბერალიზმი, ჰუმანიზმი, სოციალური კონსტრუქტივიზმი;
  - სოციალური მოძრაობების წვლილი ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში (ფემინიზმი, დეკოლონიზაცია, გარემოსდაცვითი მოძრაობები);
  - პოპულარული განათლება და კრიტიკული თეორია ზრდასრულთა განათლებაში და მათი წარმომადგენლები (პაულო ფრეირეს თეორია და სხვები) და რადიკალური მიდგომები ზრდასრულთა განათლებისადმი;
  - სხვადასხვა რელიგიური და ძირძველი წარმოდგენები ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაზე;
- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ეთიკური საკითხები და ღირებულებები.

სფეროს ჩამოყალიბება: რას ნიშნავს და რას მოიცავს „ზრდასრულთა სწავლა და განათლება“?

- ზრდასრულთა სწავლა და განათლება, როგორც პრაქტიკის სფერო და გამიჯვნა სხვა სფეროებიდან;
- ALE-ის ადგილი განათლების სისტემაში;
- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი კონტექსტი და ფესვები;
- ძირითადი ცნებებისა და განმარტებების გაცნობიერება (ზრდასრულთა სწავლა და განათლება, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა, ეროვნული და რეგიონული კონტექსტი);
- სწავლის ორგანიზაციული ფორმები:
  - ზრდასრულთა ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური სწავლება;
  - სხვადასხვა სასწავლო ადგილი და პროვაიდერი;
  - ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სხვადასხვა ფორმების დაკავშირება: საჭიროებები და მოდელები (RVA ან PLA);
- ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების განსხვავებული პრაქტიკა და შინაარსი: ზოგადი განათლება, პროფესიული სწავლება, წიგნიერება, საზოგადოებრივი განათლება, სამოქალაქო განათლება, ოჯახი და თაობათაშორისი სწავლება.

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ძირითადი ფუნქციები, მიზნები და სარგებელი

- რატომ ზრდასრულთა სწავლა და განათლება? ძირითადი ფუნქციები (კომპენსაცია, განვითარება, გაძლიერება, ინოვაცია);
- ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია ზრდასრული ადამიანის როლთან საზოგადოებაში სხვადასხვა ცხოვრებისეულ და სამუშაო სიტუაციასა და ცხოვრების ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე, მათი ურთიერთკავშირი;
- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების ძირითადი სარგებელი ინდივიდებისთვის, ოჯახებისთვის, თემებისთვის, ეკონომიკისთვის, საზოგადოებისთვისა და კაცობრიობისთვის.

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების გენდერულად სპეციფიკური ასპექტები

- გენდერი და მონაწილეობა;
- გენდერულად მგრძნობიარე განათლების პოლიტიკა, დიდაქტიკა და რესურსები;
- გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა ზრდასრულთა სწავლებისა და განათლების გზით.

ძალაუფლებრივი კავშირები სწავლასა და პოლიტიკის შემუშავებაში

- მასწავლებელსა და მონაწილეს შორის ურთიერთობა;
- ჯგუფური ურთიერთობები;
- გაძლიერება ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში.

ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პოლიტიკა

- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პოლიტიკა: ძირითადი მახასიათებლები და აქტორები;
- ეროვნული, რეგიონული და გლობალური აქტორები (სამთავრობო, მთავრობათაშორისი, არასამთავრობო, კერძო სექტორი, მოხალისეები, აკადემიური წრეები და მკვლევარები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ადგილობრივი საზოგადოების აქტორები);
- საერთაშორისო ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ზრდასრულთა სწავლასთან და განათლებასთან (მაგ. Education 2030 Agenda; CONFINTEA, ა.შ.);

- ეროვნული ALE-ის პოლიტიკა: მახასიათებლები და გამოწვევები, ეროვნული ჩარჩო პირობები:
  - სამართლებრივი ჩარჩო;
  - დაფინანსების საკითხები და მოდელები;
  - მონაცემთა სახეები და მათი გამოყენება;
- ზრდასრულთა განათლების ბაზარი: მიმწოდებლების კონკურენტული გარემო, პროგრამები, შეთავაზებები და საჭიროებები;
- სამიზნე ჯგუფები, განათლების ხელმისაწვდომობა და ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში მონაწილეობა (მნიშვნელობა, მონაწილეობის ბარიერები და მათი შემცირების გზები).

ზრდასრულთა სწავლა და განათლება როგორც კვლევის სფერო, აკადემიური დისციპლინა და პროფესია

- ზრდასრულთა სწავლა და განათლება, როგორც კვლევისა და აკადემიური დისციპლინის სფერო;
- ეროვნული და გლობალური ემპირიული კვლევები და მონაცემები;
- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების განსხვავებული მიდგომები და ანდრაგოგიის კონცეფცია;
- ზრდასრულთა სწავლა და განათლება, როგორც პროფესია;
- კარიერა ზრდასრულთა განათლებაში: გზები, საწყისი ეტაპები და განვითარების შესაძლებლობები;
- რეფლექსია საკუთარ გზასა და მოტივაციაზე; ბიოგრაფიული პერსპექტივა.

რეკომენდაციები განხორციელებისთვის

ვინაიდან ზრდასრულთა სწავლა და განათლება დიდწილად განისაზღვრება იმ სოციალური კონტექსტით, რომელშიც ის ჩამოყალიბდა, ეს მოდული სხვებზე მეტად უნდა იყოს კონტექ-სტუალიზებული. მონაწილეებმა თავიანთი წინა გამოცდილება უნდა გაუზიარონ როგორც ამოსავალი წერტილი თავიანთ ქვეყანაში/ რეგიონში ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სპეციფიკურ რეალობაზე მოდულის შინაარსის ფოკუსირებისთვის. ტერმინოლოგია, ცნებები და განმარტებები უნდა შევადაროთ სხვა ენების მაგალითებს და ეროვნული მოვლენები საერთაშორისო კონტექსტში აისახოს. ერთი კონკრეტული კონტექსტის (ანუ საკუთარი კონტექსტის) მახასიათებლების გასაგებად აუცილებელია სხვა კონტექსტებისა და ცნებების შედარება და განხილვა.

აქ ჩამოთვლილი თემები იმ საკითხთა ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება და უნდა იყოს კიდეც ასახული ამ მოდულში. თითოეული თემის თანმიმდევრობით განხილვა აუცი-ლებელი ან რეკომენდებული არ არის; უფრო სწორად, ტრენერებსა და მონაწილეებს შეუძლიათ, შეარჩიონ (და, თუ ეს შესაძლებელია, შეუთავსონ) ის თემები, რომლებიც ყველაზე აქტუალურია ღრმა შესწავლისთვის მოსა-ლოდნელი შედეგების კონტექსტში. ასევე, შეიძლება თემების გაერთიანებაც: მაგალითად, ვორქშოპი ან სიმულაციური თამაში პოლიტიკის შესახებ, შეიძლება, მოიცავდეს აქტორებს, რომლებიც შინაარსს, სამიზნე ჯგუფებსა და დაფინანსებას კონკრეტულ ეროვნულ კონტექსტში განიხილავენ.

მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა აღიარონ მრავალფეროვანი ფორმები, რომლებშიც შესაძლებელია ზრდასრულთა სწავლა და განათლება, ასევე, გაეცნონ მათ შინაარსს, თემებსა და სფეროებს. მათ უნდა გააცნობიერონ ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პოტენციალი, სპექტრი, მრავალფეროვნება და სარგებელი ყველა სფეროსა და საზოგადოების ყველა დონეზე. ზრდასრულთა სწავლა და განათლება შეიძლება, სრულიად განსხვავებულ მიზნებს ემსახურებოდეს კონკრეტული შეხედულებების მიხედვით. აქცენტი შესაძლოა, შრომის ბაზრის შესაბამისი უნარების გამომუშავებაზე, ურთიერთგაგებისა და

სოციალური ერთიანობის ხელშეწყობაზე, ან ინდივიდებისა და თემების გაძლიერებაზე გაკეთდეს, რათა თავად მართონ საკუთარი ცხოვრება. თუ მონაწილეთა გამოცდილება მნიშვნელოვნადაა განპირობებული ერთი კონკრეტული მიზნით, ამ მოდულმა სხვა ისეთი მიზნების გაცნობიერებაც უნდა შესთავაზოს მათ, რომლებიც, ჩვეულებრივ, ზრდასრულთა სწავლასა და განათლებას უკავშირდება.

ამ მოდულის თემების ჩამოთვლის თანმიმდევრობა სავალდებულო არ არის. მეთოდოლოგიურად, შეიძლება, სასარგებლო იყოს „ზრდასრულთა განმანათლებლის“ ცნებითა და როლით დაწყება და მონაწილეთა ბიოგრაფიულ პერსპექტივებთან დაკავშირება, სანამ უფრო დეტალურად შეისწავლება ამ სფეროს სპეციფიკა. აბსტრაქტული ანალიტიკური ცოდნისა და ინდივიდუალური თვალსაზრისის ბალანსის დაცვა მოდულის მთავარი კომპონენტი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, მკაცრად რეკომენდებულია მონაწილეთა პირადი გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება.

პრაქტიკული გამოყენება და რეფლექსია

ამ მოდულის მთავარი ელემენტი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ წარმოაჩინოს ზრდასრულთა სწავლისა და განათლების საფუძვლები და პრინციპები როგორც თემატურად, ისე მონაწილეთა გამოცდილებასთან დაკავშირებით. შესაფერისი ინსტრუმენტები მოიცავს პრეზენტაციის მეთოდებს, თვითგანათლებასა და ჯგუფურ მუშაობას. თითოეული თეორიული ნაწილი პირად გამოცდილებას და/ან პრაქტიკულ შედეგებს უნდა უკავშირდებოდეს. შესაძლებელია, ექსპერიმენტული თანმიმდევრობით დაწყებაც, რასაც მოჰყვება რეფლექსია და კონცეპტუალური და თეორიული ჩარჩოს შემუშავება.

პროექტში ადგილზე სასწავლო ვიზიტები, ასევე, შეიძლება სასარგებლო იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მიზანი დაწესებულებასთან კავშირის გაძლიერებაა. ფოტოები და ვიდეოები (ცხოვრებისეული ისტორიები, დასაქმების ისტორიები და სხვა) შეიძლება ALE-ის ფორმებისა და შინაარსის მრავალფეროვნების, ასევე, ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო სასწავლო ადგილების საჩვენებლად გამოვიყენოთ.

განსაკუთრებული გამოწვევაა ზრდასრულთა სწავლისა და განათლების განხილვის, მათ შორის, პროფესიონალიზაციისა და კარიერის სხვადასხვა გზის დაკავშირება შესაბამის მონაწილეთა პირად მდგომარეობასთან და ზრდასრულთა განმანათლებლის როლთან ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სპეციფიკურ კონტექსტში. ასეთი ურთიერთობები, შეიძლება, მცირე ჯგუფებში მუშაობისას ან შემოქმედებითი მეთოდების გამოყენებით ჩამოყალიბდეს, ასევე, ინდივიდუალური სააზროვნო ამოცანებით. ზრდასრულთა განმანათლებლის საკუთარი განსაკუთრებული სამუშაო კონტექსტის რეფლექსია ზრდასრულთა სწავლისა და განათლების უფრო ფართო ზოგადი ცოდნის ფონზე, ამ მოდულის ძირითადი ელემენტი უნდა იყოს.

რეკომენდებული მოცულობა

- 30 აკადემიური საათი = 5 დღე (ეს შეიძლება, მონაწილეთა წინა ცოდნასა და განათლებას მოერგოს);
- 24 საათი ინდივიდუალური სწავლისა და შეფასებისთვის;
- პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები, მაგალითად, პროექტში ადგილზე სასწავლო ვიზიტები (რაც 20-დან 50 საათამდე მერყეობს).

მოდული 2: ზრდასრულთა სწავლა და სწავლება

კომპეტენცია

მათ, ვინც მოდული 2 დაასრულა, სწავლის თეორიების შესახებ გააჩნიათ ცოდნა და მისი დაკავშირება შეუძლიათ თავიანთ დიდაქტიკურ საქმიანობასთან. ისინი იცნობენ ზრდასრულთა სწავლის მოტივაციურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ თავისებურებებს და სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ითვალისწინებენ მათ.

სწავლის შედეგები

ისინი, ვინც Curriculum globALE-ის მოდული 2 დაასრულა:

- იცნობენ ზრდასრულთა სწავლების პრინციპებსა და ძირითად მახასიათებლებს ბავშვების სწავლებასთან შედარებით;
- აღიარებენ და აცნობიერებენ სწავლის მოტივაციას სხვადასხვა კონტექსტში და ზრდიან მას;
- შეუძლიათ, გამოავლინონ სწავლის ბარიერები და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრან ისინი;
- იცნობენ სწავლების სხვადასხვა თეორიას და მათ ეპისტემოლოგიურ ვარაუდებს, ძირითად ცნებებს, ტერმინოლოგიასა და პრინციპებს, აგრეთვე, მათ გავლენას სწავლის პროცესზე;
- აღიარებენ სწავლის სახეობას, რომელიც სხვადასხვა შინაარსს, საგანმანათლებლო მიზნებსა და კონტექსტს, ასევე, ინდივიდებს ან სამიზნე ჯგუფებს შეესაბამება და სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენება შეუძლიათ;
- შეუძლიათ ზრდასრულთა სწავლის თეორიების საკუთარი გაგების, თავიანთი სწავლების პრეფერენციებისა და თავიანთი კულტურული კონტექსტის გავლენის რეფლექსია;
- იციან ტრენერის განსხვავებული როლების შესახებ და იმ ფაქტორების ამოცნობა შეუძლიათ, რომლებიც ამ როლების უპირატესობას განსაზღვრავს;
- შეუძლიათ ტრენერის როლების საკუთარ პრაქტიკაში, კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში რეფლექსია.

სხვა მოდულებთან კავშირები

ეს მოდული ყურადღებას ამახვილებს სწავლის თეორიებზე და ცოდნას იძლევა თავად სასწავლო პროცესის შესახებ. ის მჭიდროდაა დაკავშირებული ზრდასრულთა სწავლისა და განათლების თეორიებთან, ფილოსოფიასთან, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების აღქმასა და ფუნქციებთან და სწავლის კონტექსტთან (მოდული 1). ამავდროულად, მოდული მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სწავლების სხვადასხვა მეთოდისა (მოდული 4) და სხვადასხვა ტიპის მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის (მოდული 3).

დიდაქტიკური პრინციპები, კერძოდ, ეხება მეთოდების გამოყენებას (მოდული 4), მაგრამ, ასევე, პროფესიულ დამოკიდებულებებსა და ზრდასრულთა განმანათლებლების როლს (მოდული 5).

ძირითადი თემები

ტერმინოლოგია, განმარტებები და ცნებები

- განათლება, სწავლა (მთელი სიცოცხლის მანძილზე), ტრენინგი, ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები.

მოტივაცია და ბარიერები

- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მოტივაციის სახეები და მათი ტრანსფორ-მაცია განათლების საშუალებით;
- მოტივაციის ჰუმანისტური თეორია, მაგალითად, მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ბარიერების სახეები და მათი შემცირების გზები.

ზრდასრულთა სწავლების პრინციპები

- განსხვავებები ბავშვობისა და სრულწლოვანობისას სწავლებას შორის;
- გამოცდილებისა და მონაწილეთა ცოდნის მნიშვნელობა, როგორც ძვირფასი რესურსი სწავლების/სწავლის პროცესებში;
- ერთობლივი მიდგომები და პრინციპები ALE-ის მონაწილეების მიმართულებისთვის.

ზრდასრულთა სწავლის თეორიების განსხვავებული მიდგომები და კლასიფიკაცია

- განვითარების ფსიქოლოგია, როგორც ზრდასრულთა სწავლის საფუძველი; ანუ სოციალური/კულტურული მიდგომა ინდივიდუალური მიდგომის წინააღმდეგ; სუბიექტი ობიექტის წინააღმდეგ;
- კოგნიტური ფსიქოლოგია, როგორც საფუძველი ზრდასრულთა სწავლებისთვის:
  - შემეცნებითი შესაძლებლობები და მათი განვითარება ზრდასრული ადამიანის ცხოვრებაში;
  - კრისტალური და თხევადი ინტელექტი, მრავალჯერადი ინტელექტი;
  - კრიტიკული აზროვნება და კრიტიკული რეფლექსიის განვითარება ALE-ში.
- სწავლის ეპისტემოლოგიური თეორიები:
  - ბიჰევიორიზმი და ზრდასრულთა სწავლა (ძირითადი პრინციპები და გამოყენება);
  - კოგნიტივიზმი და ზრდასრულთა სწავლა (ძირითადი პრინციპები და გამოყენება);
  - კონსტრუქტივიზმი და ზრდასრულთა სწავლება (ძირითადი პრინციპები და გამოყენება);
  - ტრანსფორმაციული სწავლება; ჯ. მეზიროვის თეორიები; სოციალური, ინდივიდუალური და საზოგადოების ტრანსფორმაცია;
  - ექსპერიმენტული სწავლება და კოლბის სწავლის ციკლები (იხ. ნაწილი 1.5, ცხრილი 1);
  - პრაგმატიზმი და საგნებზე ორიენტირებული სწავლა (ძირითადი პრინციპები და გამოყენება);
- ნეირომეცნიერება და ზრდასრულთა სწავლის თეორიების სარგებელი;
- სოციალური, ემოციური და განხორციელებული სწავლა; სწავლის სახეობების კულტურულად ჩამოყალიბებული კომბინაციები.

სწავლის თეორიების გამოყენება

- თეორიებისა და დიდაქტიკური პრინციპების შესწავლა ზრდასრულთა სწავლებაში;
- სწავლის ტრადიციული ფორმები, პირველადი ცოდნა და სწავლის განსხვავებული სტილი ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში.

ტრენერის როლი

- სხვადასხვა როლი: ლექტორი, ფასილიტატორი, ანიმატორი, შემფასებელი ...;
- როლის ადაპტირება მიზანთან, კონტექსტთან, მონაწილეებთან, შინაარსთან, ა.შ.;
- ტრენერის როლზე მონაწილეთა წარმოდგენების რეფლექსია.

რეკომენდაციები განხორციელებისთვის

ვინაიდან ზრდასრულთა სწავლა მეცნიერულ თეორიებს ემყარება, ადეკვატური დიდაქ-ტიკური სწავლება ინდივიდუალური კურსის დიზაინს უნდა შეესაბამებოდეს. საკუთარი გამოცდილების აღსაწერად, ვიზუალური პრეზენტაციები და ინტერაქტიული

ინსტრუქციები როლურ თამაშებთან და სიმულაციებთან უნდა იყოს შერწყმული. გარდა ამისა, მონაწილეებმა უნდა შეისწავლონ თავიანთი სწავლისა და საქმიანობის შედეგები ჯგუფურ და ინდივიდუალურ დავალებებსა და პროექტებზე მუშაობისას.

მოდული 2-ის პრინციპები და თეორიები ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პრაქტიკის მაგალითებს უნდა უკავშირ-დებოდეს, სასურველია, თავად მონაწილეთა მიერ - კერძოდ, მონაწილეებს შეეძლოთ ზრდასრულთა სწავლის პრინციპების ილუს-ტრირება (ზრდასრულთა სწავლა და განათლება, როგორც მონაწილეზე ორიენტირებული, გამოცდილებაზე დაფუძნებული, საზოგადო-ებასთან, რეალურ ცხოვრებასთან და სამუშაო სიტუაციებთან დაკავშირებული და ა.შ.).

სწავლის თეორიებზე ორიენტირება ცალკეული ავტორების კონცეპტუალური შეხედულე-ბებისთვის არ არის გამიზნული, არამედ, ზრდასრულთა განმანათლებისა და ტრენერის მუშაობის შესაბამისი ასპექტებისთვის: რა არის სწავლის მიზანი კონკრეტულ სიტუაციებში სწავლის თეორიების თვალსაზრისით? არის ეს ცოდნაზე, უნარებზე ან ღირებულებებზე ორიენტირება? როგორია მასწავლებლის/ მოსწავლის ურთიერთობა?

მონაწილეებმა უნდა შეისწავლონ, სწავლის თეორიის რომელი ტიპები შეესაბამება გარკვეული სახის შინაარსს და ჯგუფებს (პროფესიული სწავლება, ქალთა გაძლიერება, მეწარმეობა ახალგაზრდა უმუშევართათვის, ოჯახური განათლება, მშვიდობა და ინტერ-კულტურული სწავლება და სხვა). აუცილებელი არ არის ყველა თეორიის დეტალურად აღწერა, მაგრამ თეორიული ცოდნის შეთავაზება ზრდასრულთა სწავლის ძირითადი ტიპებისა და მათთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ, აუცილებელია.

სხვადასხვა თეორიული მიდგომის მნიშვნელობა და შინაარსი კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში უნდა აისახოს, რომელიც ინტერპრეტაციასა და გამოყენებას განსაზღვრავს. შემოთავაზებული თეორიები მთავარ ეპისტემოლოგიურ პარადიგმებსა და ვარაუდებს მოიცავს, ასევე, მათგან აღებულ დიდაქტიკურ ცნებებს, მაგრამ შეიძლება, სხვადასხვა კულტურისა და რეგიონის სპეციფიკურ თეორიულ მიდგომებთან გაერთიანდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა სწავლის საერთო თეორიული მიდგომების პოტენციალი, მახასიათებლები და მათი გამოყენების ადეკვატურობა აღიარონ სხვადასხვა სიტუაციაში, შინაარსსა და სამიზნე ჯგუფთან. მათ, ვინც Curriculum globALE დაასრულა, უნდა გააცნობიერონ, თუ რა განსაკუთრებული ატრიბუტები აქვთ მათ მონაწილეებს და როგორ შეიძლება ამის ეფექტურად გამოყენება საკუთარ დიდაქტიკურ მუშაობასა და სწავლის იმპლიციტურ თეორიაში.

მათ, ასევე, უნდა გააცნობიერონ, თუ ტრენერის რომელ როლს ანიჭებენ უპირატესობას და გააფართოონ სხვა როლების შესრულების უნარი. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ მოტივაცია, დამოუკიდებლად გააგრძელონ სწავლა ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში.

პრაქტიკული გამოყენება და რეფლექსია

მოდულის თეორიული ნაწილი ტრენერის ინტერაქტიულ მიდგომას განაპირობებს. მისი დანერგვა სხვადასხვა სასწავლო სიტუაციის გამოყენებით შეიძლება, რომელიც სწავლის სხვადასხვა თეორიას ასახავს. მონაწილეებმა თითოეული კონკრეტული სწავლის თეორიისთვის დამახასიათებელი მცირე დავალების შესრულება უნდა შეძლონ და მოკლე

ვიდეოებს უყურონ ინდივიდუალური თეორიების შესახებ. მონაწილეთა ცხოვრებისა და მუშაობის გამოცდილება, შეიძლება, მაგალითებად მოვიყვანოთ სწავლის ეტაპების აღსაწერად სხვადასხვა თეორიის მიხედვით. ამავდროულად, მონაწილეთა სასწავლო პროცესები და კურსში მონაწილეობის მოტივაცია, შეიძლება, განიხილებოდეს როგორც შესავალი ან ცალკეული თემის მასალად იყოს გამოყენებული. მათ შეუძლიათ ჯგუფური მუშაობა სწავლის ბარიერების წინააღმდეგ მონაწილეთა მოტივაციის გასაანალიზებლად, სწავლის შესაფერისი მიდგომების შეთავაზება და გათვალისწინება. მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთ ადგილობრივ კონტექსტზე ფოკუსირება და ცალკეული თემების განხილვა ამ თვალსაზრისით (მაგალითები, ჩარჩო პირობები ან შესაფერისი დიდაქტიკური აქტივობა).

რეკომენდებული მოცულობა

- 30 აკადემიური საათი = 5 დღე.
  თუ მონაწილეებს შესაბამისი განათლება ან წინარე ცოდნა აქვთ, ეს შეიძლება, 24 აკადემიურ საათამდე შემცირდეს (≈ 4 დღე);
- 24 საათი ინდივიდუალური სწავლებისა და შეფასებისთვის;
- პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები (20-დან 50 საათამდე).



მოდული 3: კომუნიკაცია და ჯგუფური დინამიკა ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში

კომპეტენცია

ისინი, ვინც მოდული 3 დაასრულა, კომუნიკაციის თეორიულ პრინციპებს იცნობენ და მათი გამოყენება შეუძლიათ ზრდასრულებთან სასწავლო და საგანმანათლებლო მუშაობაში; ასევე, ესმით ჯგუფის დინამიკის ძირითადი თეორიები და შეუძლიათ, სასწავლო /საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენონ ისინი და ჯგუფის მახასიათებლებს მოარგონ სოციალური პროცესების სამართავად.

სწავლის შედეგები

ისინი, ვინც Curriculum globALE-ის მოდული 3 დაასრულა:

- აცნობიერებენ კომუნიკაციის არსსა და ელემენტებს და კომუნიკაციის ინტერაქტიულ, კონსტრუქციულ, მოტივაციურ მნიშვნელობას;
- იცნობენ ვერბალური, პარავერბალური და არავერბალური კომუნიკაციის წესებს და სწავლებაში იყენებენ მათ;
- შეუძლიათ, მოხსნან ან შეამცირონ კომუნიკაციის ბარიერები, დაბრკოლებები და პოზიტიური ატმოსფერო შექმნან მათი კომუნიკაციის სტილით;
- გააცნობიერონ კომუნიკაციის სხვადასხვა სტილის მახასიათებლები და თავიანთი სწავლების პროცესში გამოიყენონ ისინი;
- გამოიყენონ ხელმძღვანელობისა და კონსულტაციის ძირითადი ელემენტები თავიანთ საგანმანათლებლო საქმიანობაში;
- შეუძლიათ ჯგუფის დინამიკის აღიარება, გაცნობიერება, შეცვლა და მართვა სწავლის მდგრადი წარმატების უზრუნველ-საყოფად;
- შეუძლიათ სასწავლო პროცესების ეტაპებისა და ჯგუფური დინამიკის ეტაპების ერთმანეთთან მორგება;
- შეუძლიათ პრობლემების მოგვარება, კონფლიქტების მოგვარება, სიტუაციებში ნავიგაცია და „რთულ“ მონაწილეებთან წარმატებით მოლაპარაკება.

სხვა მოდულებთან კავშირები

ეს მოდული მჭიდროდ უკავშირდება სწავლების მეთოდებს (მოდული 4). კარგი კომუნიკაციისა და ჯგუფური ხელმძღვანელობის პრინციპების ცოდნა საშუალებას მისცემს მონაწილეებს, გამოიყენონ შესაბამისი მეთოდები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც განმარტებული არ იყო ან პრაქტიკაში დეტალურად გამოყენებული კურსის მსვლელობისას, ან რომელიც მიმდინარე კვლევის პროცესში გამოჩნდა. ეს მოდული, ასევე, დაკავშირებულია მოდულებთან 1 და 2; კერძოდ, ზრდასრულ მოსწავლეთა მეთოდებთან, პიროვნულ მახასიათებლებთან, მოტივაციასთან და სწავლის სტილთან. სათანადო კომუნიკაცია და კარგი ატმოსფერო სამუშაო ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვანი სამოტივაციო ფაქტორია ისევე, როგორც, პირიქით, შეუსაბამო და ნეგატიური

მახასიათებლები ძლიერ დაბრკოლებას ქმნის სწავლისათვის. ეს მოდული პრაქტიკულ პასუხებს იძლევა ზრდასრულთა სწავლის ზოგად კითხვებზე და ზრდასრულთა სწავლის თეორიების ცალკეულ ასპექტებს ასახავს - განსაკუთრებით, ურთიერთობას მასწავლებელსა და ზრდასრულ მოსწავლეს შორის (მოდული 2).

ძირითადი თემები

კომუნიკაცია ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში

- კომუნიკაციის ხასიათი, ძირითადი ელემენტები და პრინციპები;
- ძირითადი ელემენტები, რომლებიც კომუნიკაციაზე მოქმედებს (სქესი, კულტურა, კონტექსტი, პიროვნული თვისებები, ღირებულებები და სხვა);
- კომუნიკაცია ALE-ის სხვადასხვა თეორიაში;
- კომუნიკაციის ტიპები, დონეები და ძირითადი მახასიათებლები:
  - ხილვადი და არახილვადი კომუნიკაცია, კომუნიკაციის ემოციური ასპექტები სწავლებისას;
  - დამხმარე ვერბალური კომუნიკაციის კომპონენტები, წესები და ხერხები, აქტიური მოსმენა და კომუნიკაციის „ჩამხშობების“ თავიდან აცილება, შეკითხვების დასმა;
  - არავერბალური და პარავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა და წესები ზრდასრულთა სწავლებისთვის;
  - არაძალადობრივი და მტკიცებითი კომუნიკაცია; თანაგრძნობის როლი; მოტივირება, გაძლიერება და ინტერაქტიული კომუნიკაცია;
- ზრდასრული მოსწავლეებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფა, როგორც სხვადასხვა ხერხის შემუშავებისა და გაძლიერების საშუალება;
- კრიტიკის გამოხატვა და მიღება, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო კონტექსტში;
- კომუნიკაციის სხვადასხვა სტილთან მუშაობა;
- ხელმძღვანელობისა და კონსულტაციის ასპექტები და ძირითადი ხერხები;
- ინტერკულტურული და გენდერულად მგრძნობიარე კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები;
- სწავლებისა და სწავლის პროცესში სოციალური მედიისა და ციფრული კომუნიკაციის გამოყენების საფუძვლები.

ჯგუფური დინამიკა ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში

- ჯგუფური დინამიკის მნიშვნელობა სწავლისა და სწავლების პროცესში;
- ჯგუფის განვითარების მოდელები: შინაარსი, აქტივობები და ურთიერთობები ჯგუფის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- ჯგუფური კულტურის ჩამოყალიბება:
  - როლები, ქვეჯგუფები, იერარქია, ღირებულებები და წესები;
  - ნდობის დამყარება და ღიაობის ხელშეწყობა;
  - ინდივიდუალური და ჯგუფური მიზნების დაბალანსება;
- მუშაობის პრინციპები, მეთოდები და ხერხები, რომლებიც ჯგუფის დინამიკის მართვისა და ზემოქმედებისთვის გამოიყენება;.
- ზრდასრულთა განმანათლებლის განსხვავებული როლები სწავლების/სწავლის ჯგუფში კონტექსტიდან, კულტურიდან, მიზნიდან და დინამიკიდან გამომდინარე; მრავალი ამოცანის ერთდროულად შესრულების უნარი;
- პრობლემების გადაჭრის საკომუნიკაციო სტრატეგიები და ხერხები.

რეკომენდაციები განხორციელებისთვის

მონაწილეებს უნდა შეეძლოთ განასხვავონ კომუნიკაციის წესების ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების უნარი, რაც თვითრეფლექსიასა და ვარჯიშს მოითხოვს. ეს მოდული კომუნიკაციის,

როგორც არა მხოლოდ ერთი რბილი უნარის, არამედ ცოდნისა და ღირებულებების გადაცემის უნარებისა და მასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების კომპლექსის შესახებ ცნობიერების ამაღლების საშუალებაა.

აღნიშნული მოდული მეთოდოლოგიურ მრავალფეროვნებასა და შემოქმედებითობას ითხოვს. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით - დაწყებული PowerPoint-ის მოკლე პრეზენტაციებიდან (მაგალითად, კომუნიკაციის თეორიის წარდგენა), დამთავრებული დიაგრამებითა და გრაფიკული მოდელებით სურათებისთვის, ვიდეოებისთვისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის - კომუნიკაციის ინდივიდუალური ასპექტები, შეიძლება, გასაგები და სამაგალითოდ წარმოდგენილი იყოს ნაცნობი სიტუაციებისა თუ ადამიანების გამოყენებით. როლური თამაში და სიმულაცია იდეალურია ამ მოდულში წარმოდგენილი საკითხების შესასწავლად, რომელიც ორიენტირებულია რბილ უნარებზე და არა კომუნიკაციის თეორიებზე. ასევე, კარგი საშუალებაა სწავლებაში კულტურული, ეროვნული, ადგილობრივი თუ კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა ასპექტის დანერგვისთვის - რეალური და სამუშაო მაგალითების შემოტანისა და მონაწილეებისთვის კომუნიკაციისა და ანალიზის საშუალების მიცემის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ მოდული თეორიულ ნაწილს შეიცავს, ის კონკრეტული მაგალითებით უნდა იყოს ილუსტრირებული. ძალიან მნიშვნელოვანია ნდობისა და სიამოვნების ატმოსფეროს შექმნა, რომელშიც მონაწილეებს შეუძლიათ გამოცდილების გაზიარება, საკუთარი ისტორიების მოყოლა, განსხვავებულ ჯგუფებთან თავიანთი კომუნიკაციის სტილისა და გამოცდილების რეფლექსია და ღიაობა სხვადასხვა მასალის, მეთოდისა და მიდგომის მიმართ.

სწავლებისა და სწავლის პროცესში სოციალური მედიისა და ციფრული კომუნიკაციის გამოყენება ფართოვდება; შესაბამისად, უნდა განიხილებოდეს შესაძლებლობები და რისკები, ასევე, შესაბამისი გამოცდილება, რომლის გამოყენებაც სწავლებისა და სწავლის პროცესში შეიძლება. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მონაწილეთა შემდგომი შესწავლის შესაძლებლობები.

პრაქტიკული გამოყენება და რეფლექსია

მიზანშეწონილია მონაწილეთა ცხოვრებისა და პროფესიული გარემოს რეალისტურ მაგალითებზე მუშაობა, წინა მოდულებზე დაყრდნობით. მონაწილეები უნდა იყვნენ წახალისებული, რომ საკომუნიკაციო სტილი განიხილონ. აქ მნიშვნელოვანია რეფლექსიის პროცესების დაწყება, კურსის ინსტრუქტორის მონაწილეებთან კომუნიკაციის კარგი მაგალითის გამოყენებით (განსაკუთრებით, არაძალადობრივი, არაავტორიტარული და კონსტრუქციული კომუნიკაციის შესახებ). რეკომენდებულია მცირე სავარჯიშოები, მცირე ჯგუფური ამოცანები და რეფერალური სესიები რეალისტურ სიტუაციებზე. შეძლებისდაგვარად უნდა გამოვიყენოთ სწავლების მონაწილეობითი მიდგომა, რომელიც ეფექტურ სწავლებასა და გამოყენებას გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს.

მონაწილეებმა უნდა შეისწავლონ და ასახონ წარსული და მიმდინარე გამოცდილება როგორც სწავლების/სწავლის ჯგუფის შიგნით, ისე მის გარეთ. ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი მეთოდი: მცირე სავარჯიშოები, მცირე ჯგუფური დავალებები, გრაფიკული პრეზენტაციები, მცირე სოციომეტრიული თანმიმდევრობა, ფოტოები და მოკლემეტრაჟიანი ფილმები. შესაფერისია, ასევე, ჯგუფური დინამიური ვარჯიშის რეპერტუარის მეთოდები: ფსიქოდრამა; როლური თამაში;

დადგმული დიალოგი; თამაშები, მათ შორის, ინტერკულტურული; ასევე, სავარჯიშოები, რომლითაც ტიპური ჯგუფური სიტუაციები იქმნება, ვითარდება ან შექმნილია ცნობიერების ასამაღლებლად.

რეკომენდებული მოცულობა

- 24 აკადემიური საათი (≈ 4 დღე);
- 20 საათი ინდივიდუალური სწავლებისა და შეფასებისთვის;
- პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები (20-დან 50 საათამდე).

მოდული 4: ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდები

კომპეტენცია

ისინი, ვინც მოდული 4 დაასრულა, ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდების სპექტრს იცნობენ და მისი გამოყენება შეუძლიათ ოპტიმალური შედეგის მისაღწევად შესაბამის სამიზნე ჯგუფთან და მოცემულ გარემოში მუშაობისას.

სწავლის შედეგები

ისინი, ვინც Curriculum globALE-ის მოდული 4 დაასრულა:

- აცნობიერებენ ზრდასრულთა სწავლებისას ადეკვატური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას;
- იცნობენ ზრდასრულთა სწავლისა და განათლების მეთოდების ფართო სპექტრსა და უპირატესობებს, ნაკლოვანებებს, შეზღუდვებსა და პოტენციალს;
- შეუძლიათ, აირჩიონ შესაბამისი და კულტურულად შესაფერისი მეთოდები;
- შეუძლიათ ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა მეთოდისა და მათში შემავალი დიდაქტიკური პრინციპების ინტერპრეტაცია და ანალიზი;
- შეუძლიათ, დამოუკიდებლად მიმართონ და ასახონ ძირითადი მეთოდები;
- შეუძლით, გამოიყენონ გარკვეული მეთოდების ვარიაციები, კონკრეტულ სიტუაციას მოარგონ ისინი და განავითარონ მომავალში;
- შეუძლიათ, შესაბამისი სამიზნე ჯგუფისთვის შესაფერისი მეთოდები გამოიყენონ სწავლის მდგრადი წარმატების მისაღწევად;
- არიან მოტივირებული, მზად, ისწავლონ მთელი სიცოცხლის მანძილზე და ინდივიდუალური სწავლებისას დაეხმარონ სხვებს.

სხვა მოდულებთან კავშირები

ეს მოდული იდეალურ შესაძლებლობას სთავაზობს სხვა მოდულებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის. წინა თემების გამოყენება შეიძლება მასალად ინდივიდუალური მეთოდების განხორციელების, ილუსტრაციის, პრეზენტაციის ან ანალიზისთვის. სხვა მოდულებში შემავალი თემები შეიძლება, მეთოდის მდგრადობისთვის გაანალიზდეს სპეციფიკურ კრიტერიუმებთან ერთად (სამიზნე ჯგუფი, დრო, რესურსი და ა.შ.). მაგალითად, ჯგუფებს შეუძლიათ, საუკეთესო მეთოდი აირჩიონ ზრდასრულთა სწავლების სხვადასხვა სახეობისთვის (მოდული 2), ზრდასრულთა სწავლისა და განათლების სარგებლის შესაფასებლად (მოდული 1) ან ჯგუფში კომუნიკაციის პრობლემების გადალახვის გზების შესასწავლად (მოდული 3). მიუხედავად იმისა, რომ სხვა მოდულები შესაბამის მეთოდებს სთავაზობენ კონკრეტული თემებისთვის ან სხვადასხვა სახის მონაწილეებთან გამოსაყენებლად, ეს მოდული ამ იდეებს ახორციელებს. მიზანშეწონილია ყველა წინა მოდულის თემატიკის გამოყენება სხვადასხვა მეთოდის პოტენციალის საილუსტრაციოდ.

ამ მოდულის მეთოდები ემყარება მოდულ 2-ს - „ზრდასრულთა სწავლა და სწავლება“, რომელიც დიდაქტიკური პრინციპებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძვლებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ მოდულ 2-ში ყურადღება გამახვილებულია თეორიულ პრინციპებზე, რომლებიც კონკრეტული მაგალითებითაა (მეთოდების) ნაჩვენები, ეს საპირისპიროდ ხდება მოდულ 4-ში, რომელიც მეთოდების ფართო სპექტრს ადგენს სხვადასხვა პრაქტიკული მიზნისათვის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოდული მეთოდების წარდგენითა და გამოცდით უნდა შემოიფარგლოს, პირიქით - მონაწილეებმა უნდა იფიქრონ მეთოდებზე და ისინი ნასწავლ თეორიულ პრინციპებს დაუკავშირონ. ეს ორი მოდული არ არის თეორიისა და პრაქტიკის მკაცრად გამიჯნული ორი ცალკეული ერთეული. სამაგიეროდ, ისინი ქმნიან ორ სხვადასხვა არეალს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობაში, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს ერთიანი, მთლიანი.

ამ მოდულში ყურადღება იმ მეთოდებზე მახვილდება, რომლებიც კურსების/ზრდასრულთა განათლების სწავლებისთვის გამოიყენება. კურსების/სწავლების დაგეგმვის, ორგანიზებისა და შეფასების მეთოდები დაწვრილებითაა განხილული მოდულში 5.

ძირითადი თემები

ზრდასრულთა სწავლების მეთოდების გამოყენება

- მეთოდოლოგიური მრავალფეროვნების მიზეზები:
  - სწავლის ფსიქოლოგია და ზრდასრულთა სწავლის პრინციპები;
  - სწავლის სტილები;
- სათანადო მეთოდის შერჩევის კრიტერიუმები:
  - სამიზნე ჯგუფები (სქესი, ასაკი, წინარე ცოდნა და სხვა);
  - მიზნები, შედეგები, შინაარსი;
  - ჯგუფური დინამიკა და ტრენინგის ფაზები;
  - კულტურა, კონტექსტი, გარემო;
- მეთოდების მიმოხილვა და ტიპოლოგია;
- ვიზუალიზაცია და ურთიერთქმედება, როგორც საფუძველი რიგი მეთოდებისთვის;
- მეთოდები გახსნილობისთვის:
  - ყინულმჭრელები;
  - თამაშები და სავარჯიშოები „გაცნობა“;
  - მოლოდინების შემოწმების მეთოდები;
- ინფორმაციის გადაცემის, ცოდნის მიღებისა და შინაარსის განვითარების მეთოდები:
  - ლექცია (კარგი ლექციის ელემენტები: რა არის ნებადართული და რა - არა);
  - პრეზენტაციები (წესები: რა არის ნებადართული და რა - არა);
  - საგნებისა და მოდელების დემონსტრირება და გამოყენება;
  - მეთოდები დაფუძნებული დაფაზე, ფლიპჩარტებზე, მოდერაციისთვის განკუთვნილი ნივთების ნაკრებსა და მსგავს ინსტრუმენტებზე;
  - დისკუსიები და პლენარული სხდომები;
- ჯგუფური მეთოდები;
  - ბრეინსტორმინგი;
  - პროექტზე მუშაობა, ჯგუფური ამოცანები, ჯგუფური კვლევა;
  - სასწავლო წრეები, „ოთხკუთხედის მიდგომა“ და მსგავსი მეთოდები;
  - სოციომეტრიული მიდგომები;
  - სადამკვირვებლო ვიზიტები;
  - ციფრული საშუალებების გამოყენებით ერთობლივი სწავლა;
- ინდივიდუალური სწავლა და მეთოდები თვითორგანიზებული სწავლისა და თვითნასწავლი უნარ-ჩვევების ხელშესაწყობად:
  - ინდივიდუალური შესწავლა;
  - საგანმანათლებლო დღიური;
  - ბიოგრაფიული სწავლა;
  - კითხვის ტექნიკა;

- გონებრივი რუკა;
- კომპიუტერული და ონლაინ სწავლება;
- სოციალური და ექსპერიმენტული სწავლა:
  - როლური თამაში, სიმულაციები;
  - ვორქშოპები, მეთოდოლოგიები: „მსოფლიო კაფე“ და „ღია სივრცე“
  - ადგილზე ვიზიტები: ადგილობრივი კონტექსტის შესწავლა
  - ჯგუფური პრობლემების გადაჭრა;
  - მონაწილეობის მეთოდები;
  - ექსპერიმენტული ვორქშოპები;
- ხელოვნებაზე დაფუძნებული და შემოქმედებითი მეთოდები:
  - მუსიკა, ფილმები, ვიდეოები;
  - ფოტოგრაფია, ხატვა, ფერწერა;
  - ქანდაკებები, თიხის მოდელირება, ვიზუალური მასალა;
  - ცეკვა, თეატრი, ფსიქოდრამა, სპექტაკლი;
  - კრეატიული წერა;
  - ამბის თხრობა;
- მოდერაციის ტექნიკები და ტრენერის, როგორც მოდერატორის როლის თავისებურებები;
- გახურება და კონცენტრაციის გაზრდის მეთოდები;
- ინსტრუქციის დასრულების მეთოდები:
  - დახურვის სესია და მოკლე მიმოხილვა:
  - პროცესი და შეკითხვები;
  - შემაჯამებელი მეთოდები და შედეგების კონსოლიდაცია;
  - უკუკავშირი ინსტრუქციასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები განხორციელებისთვის

ვინაიდან სწავლების მეთოდები სრულად ვერ ისწავლება თეორიულად და ტენდენციაა, განვითარდეს პრაქტიკაში, ეს მოდული გვთავაზობს ფოკუსირებას გაცვლაზე, ექსპერიმენტსა და რეფლექსიაზე. იგი შეიცავს უამრავ სავარჯიშოს, რომელსაც თან ახლავს ანალიზი და დისკუსია. ყურადღება ინდივიდუალური მეთოდების გამოყენების წინაპირობებსა და შერჩევის კრიტერიუმებზე უნდა გამახვილდეს, მათ შორის, ცალკეული მეთოდების შესაძლებლობებისა და შეზღუდვების მიმოხილვაზე და იმ მოთ-ხოვნებზე, რომლებსაც ისინი ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის აყენებენ. მას შემდეგ, რაც მონაწილეთა გამოცდილებამ წარმატებული შედეგი გამოიღო მეთოდების გამოყენებაში, მათ შეუძლიათ, კულტურულ კონტექსტში ერთად განავითარონ მრავალი გამოცდილი და დატესტილი მეთოდი.

ამ მოდულში უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი პუნქტები:

- მნიშვნელოვანია, წინა მოდულების, განსაკუთრებით, მოდული 2-ის, ეპისტემოლოგიური საფუძვლებისა და დიდაქტიკური პრინციპების ხსენება, რომლებიც იძლევა თეორიულ ფონს ცალკეული მეთოდისთვის. წარმატებული გამოყენება დამოკიდებულია არა მეთოდებზე, არამედ მათი გამოყენების მიზეზსა და მიზანზე.
- ყველა მეთოდის პრეზენტაცია და პრაქტიკაში გამოყენება საჭირო არ არის. ამის ნაცვლად, თითოეული ჯგუფიდან მხოლოდ ერთი ან ორი უნდა იყოს შესწავლილი. ვინაიდან, ზოგიერთი მეთოდი რამდენიმე კრიტერიუმს მოიცავს (მაგალითად, მოდელირებას შეუძლია გაზარდოს ცოდნა და უნარები და ხელი შეუწყოს სოციალურ სწავლებას; გონებრივი რუკა შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური აქტივობა; ვიდეოსა და ციფრული საშუალებების გამოყენება შეიძლება ყველა ეტაპზე და სხვადასხვა მიზნით), მიზანშეწონილია, ისეთი მეთოდების შერჩევა, რომლებიც მრავალ ასპექტსა და მიზანს მოიცავს.
- სრულყოფილი მეთოდი არ არსებობს, მაგრამ მეთოდი ყოველთვის უნდა შეირჩეს კრიტერიუმების ოპტიმალური გამოყენებით (განსაკუთრებით, მიზნის მისაღწევი შესაბამისობით) და დაბალანსებული მიდგომით.
- მეთოდები კონკრეტულად უნდა იყოს გამოყენებული თავად მონაწილეთა

საქმიანობის კონტექსტში. მონაწილეებს იმ მეთოდების შემოთავაზების საშუალება ეძლევათ, რომლებიც მათ გამოიყენეს ან განიცადეს, რომლებიც დამახასიათებელია მათი კულტურული კონტექსტისთვის ან რომლებიც თავად შეიმუშავეს.

- მონაწილეებმა იმაზე უნდა იფიქრონ, თუ რა მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას და მეტი სურვილი და უნარი გამოიჩინონ ახლების გამოსაყენებლად. ისინი უნდა წაახალისონ, რომ იყვნენ თავისუფლები და მოქნილები შემოქმედებითი მეთოდების გამოყენების, კომბინირების ან გამოგონების დროს.
- სხვადასხვა მეთოდის ცოდნა აუცილებელია ფსიქოლოგიური და კონტექსტთან დაკავშირებული მიზეზების გამო: მაგალითად, თუ ელექტროტექნიკა ხელმისაწვდომი არ არის, ზრდასრულთა განმანათლებლებს უნდა შეეძლოთ სხვა მასალებსა და საშუალებებზე გადასვლა და ყველაფრის, რაც თან გააჩნიათ, შემოქმედებითად გამოყენება.
- მეთოდები მიზანმიმართულად უნდა შემუშავდეს დამატებით სფეროში (მაგალითად, საზოგადოების განვითარება ან ოჯახის განათლება) ზრდასრულთა განმანათლებლის მიზნობრივი ჯგუფისთვის და გამოყენების სფეროსთვის.
- მონაწილეობის ზოგიერთი მეთოდისა და საშუალების გამოყენება რამდენიმე თემატიკაში შეიძლება, რათა გაძლიერებასა და აქტიურ მონაწილეობას შეეწყოს ხელი (მაგალითად, REFLECT საშუალებები).

პრაქტიკული გამოყენება და რეფლექსია

ეს მეთოდი მოდულის მონაწილეებს კარგ შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი უნარები გამოიყენონ და პრაქტიკული სწავლების პროცესში გაიუმჯობესონ. მონაწილეთა სწავლების გამოცდილების გამოყენება შეიძლება, ეს აერთიანებს რეფლექსიისა და პროგრესის გზებს. როლური თამაში კარგია, როგორც სხვა მეთოდების პრაქტიკის საფუძველი. ჯგუფის ნაწილს შეუძლია, ჩვეული სამიზნე ჯგუფის როლი შეასრულოს (ანუ კურსის მონაწილეები) და ჯგუფის სხვა ნაწილმა კი პრაქტიკაში გამოიყენოს მეთოდი და შემდეგ თავისი გამოცდილება და მოსაზრებები გაუზიაროს. ასევე, შესაძლებელია ერთი თემის გამოყენება ორი ან სამი მეთოდოლოგიური მიდგომის წარმოსაჩენად, რასაც ინდივიდუალური მეთოდების უპირატესობებისა და სირთულეების, ასევე, გამოყენების საუკეთესო კრიტერიუმების შედარება და განხილვა მოჰყვება.

რეკომენდებული მოცულობა

- 24 აკადემიური საათი (≈4 დღე);
- 20 საათი ინდივიდუალური სწავლებისა და შეფასებისთვის;
- პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები (20-დან 50 საათამდე).

რეკომენდებულია: მონაწილეები ამზადებენ, ასწავლიან და აანალიზებენ მინიმუმ სამ გაკვეთილს, ასევე, სასწავლო ვიზიტებს დაკვირვებისა და თანატოლების უკუკავშირებს.

მოდული 5: დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში

კომპეტენცია

მათ, ვინც მოდული 5 დაასრულა, იციან განათლების/ტრენინგის ციკლი და მისი ხუთი ფაზა (საჭიროებების შეფასება, პროგრამის/კურიკულუმის შემუშავება, დაგეგმვა და ორგანიზება, განხორციელება/მიწოდება და შეფასება). ისინი აცნობიერებენ, თუ როგორ არის ეს ფაზები ერთმანეთთან დაკავშირებული ზრდასრულთა განმანათლებლის საქმიანობის პროფესიულ ციკლში. მათ იციან დაგეგმვის, ორგანიზაციისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი, შეუძლიათ მისი შეარჩევა და გამოყენება სიტუაციის შესაბამისად და ასევე, კრიტიკული ანალიზი. ზრდასრულთა განმანათლებლები იყენებენ გამოცდილებას, რომ განავითარონ, ორგანიზება გაუწიონ, განახორციელონ, შეაფასონ და ხელი შეუწყონ ALE-ის პროგრამებს და სისტემატურად გააუმჯობესონ თავიანთი პროფესიული პროგრამები.

სწავლის შედეგები

ისინი, ვინც Curriculum globALE-ს მოდული 5 დაასრულა:

- იცნობენ ზრდასრულთა განმანათლებლების საქმიანობის პროფესიული ციკლის ფაზებს (ანუ ტრენინგის ციკლს) და მასში თავიანთ როლს, მათ შორის, საჭიროებების შეფასებას, კურიკულუმის შემუშავებას, დაგეგმვასა და ორგანიზებას, განხორციელებას ან მიწოდებასა და შეფასებას და ესმით, თუ როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს;
- იციან განათლების/ტრენინგის ციკლის ხუთ ფაზასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდიკა და საშუალება და შეუძლიათ:
  - საგანმანათლებლო, ტრენინგისა და უნარ-ჩვევების საჭიროებების განსაზღვრა;
  - კომპეტენციაზე ორიენტირებული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ჩამოყალიბება;
  - სწავლების/სწავლის პროცესების მეთოდოლოგიურ-დიდაქტიკური დიზაინის შექმნა;
  - გაკვეთილების დაგეგმვა შესაბამისი ჩარჩო პირობების გათვალისწინებით;
  - სწავლის პროგრესის მუდმივი მონიტორინგი, მისი გამჭვირვალედ შეფასება, რის საფუძველზეც შეცვლიან პროგრამის კურსსა და გაკვეთილის დიზაინს;
  - შედეგების კონსოლიდაცია.
- აცნობიერებენ სხვადასხვა მეთოდისა და საშუალების მნიშვნელობასა და მათ გამოყენებას ტრენინგის ციკლის სტადიიდან გამომდინარე; შეუძლიათ, კრიტიკულად გააანალიზონ მათი შერჩევა ან გამოყენება.

- შეუძლიათ, გამოიყენონ შედეგები და შეფასებები თავიანთი მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- შეუძლიათ, შეიმუშაონ და განახორციელონ ზრდასრულთა განათლების პროგრამა თემის/ორგანიზაციის შიგნით საჭიროებების შეფასების საფუძველზე;
- იციან ხარისხის უზრუნველყოფის საფუძვლები და ელემენტები.

სხვა მოდულებთან კავშირები

ყველა წინა მოდული ქმნის კარგ ტრენინგ ციკლს და წინა მოდულებიდან მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები „აღწევს“ მასში. ზრდასრულთა სწავლის ფაზები, მახასიათებლები და ტიპები (მოდულები 1 და 2) და პრინციპები მნიშვნელოვანია ტრენინგის ცალკეული ფაზის, განსაკუთრებით, საჭიროებების შეფასებისა და დაგეგმვის შემუშავებისას. ორგანიზებისა და განხორციელების დროს აუცილებელია დეტალურად გამოვიყენოთ მოდულების 3 და 4 კომპეტენციები (კომუნიკაცია, ჯგუფის დინამიკა და მეთოდები).

ხარისხის უზრუნველყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ, ადგილობრივ და ეროვნულ კონტექსტებთან, თემებთან, მიმწოდებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან, ასევე ზრდასრულთა განმანათლებლების სამუშაო კონტექსტთან (მოდული 1).

ძირითადი თემები

„ზრდასრულთა განმანათლებლის საქმიანობის პროფესიული ციკლის ფაზები (ანუ ტრენინგის ციკლი)“

- ზრდასრულთა განმანათლებლის/ ტრენერის/ფასილიტატორის როლის ახლებური გაგება, რომელიც სცილდება ტრადიციულ სწავლებას, როგორც „ცოდნის გადაცემას“;
- პასუხისმგებლობა განათლების/სწავლების ყველა ფაზაზე;
- ხუთი ფაზა: საჭიროებების შეფასება, პროგრამის/კურიკულუმის შემუშავება, დაგეგმვა და ორგანიზება, შესრულება და შეფასება;
- ურთიერთკავშირები ფაზებსა და ცალკეული ფაზის ეფექტებს შორის.

საჭიროებათა შეფასება

- განათლების/სწავლების/უნარების/ საჭიროებების შეფასება: მნიშვნელობა და ფუნქცია;
- ინდივიდების, ორგანიზაციების, თემებისა და ქვეყნების საჭიროებების შეფასების მეთოდები და საშუალებები.

პროგრამის/კურიკულუმის შემუშავება

- კურიკულუმის მნიშვნელობა და სახეობები,
  ანუ შედეგზე დაფუძნებული vs ცოდნაზე დაფუძნებული;
- კომპეტენციაზე ორიენტირებული კურიკულუმის შემუშავების პრინციპები;
- შედეგებზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდები;
- ფუნქციური სამუშაოს ანალიზი და DACUM („კურიკულუმის შემუშავება“) (“Developing a Curriculum”) მეთოდი;
- საგანმანათლებლო და სასწავლო მიზნებისა და სასწავლო ამოცანების განსაზღვრა (სწავლის ობიექტური ტაქსონომიები).

დაგეგმვა, მომზადება და ორგანიზება

- სამიზნე ჯგუფის ანალიზი: ვინ მონაწილეობს კურსებში და რატომ? სამიზნე ჯგუფის ატრიბუტები, მოლოდინები და დამოკიდებულებები;
- გენდერულად და კულტურულად მგრძნობიარე დაგეგმვის მიდგომები;

- ჩარჩო პირობებისა და არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინება (დრო, ადგილმდებარეობა, მასალები);
- ჩამონათვალის გაკეთება მომზადების სხვადასხვა ასპექტისთვის, მათ შორის, ადგილმდებარეობის, სივრცისა და რესურსის გამოყენებისთვის (დაგეგმვის მასალები და აღჭურვილობა);
- გეგმის ან გაკვეთილის „სცენარის“ შექმნა შინაარსით, მეთოდებით, დიდაქტიკითა და ვადებით;
- გაუთვალისწინებელი სიტუაციებისა და კონტექსტში ცვლილებების შემთხვევაში შესაძლო/ალტერნატიული გაკვეთილების დაგეგმვა.

შეფასება

- მონიტორინგი და შეფასება ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში: მნიშვნელობა, პრინციპები, წინაპირობები და პოტენციალი:
- შეფასების სახეობები (წინასწარი, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი; რაოდენობრივი და თვისებრივი; გარე, შინაგანი, თვითშეფასება; შეფასების ფაზები);
- შეფასების მეთოდები, ტექნიკა და საშუალებები:
- ტესტები, კითხვარები, მასშტაბი, ჩანაწერები;
- სასწავლო დღიურები;
- კომპეტენციის განმსაზღვრელი ფურცლები და პორტფოლიოები;
- კრეატიული ტრენინგის შეფასება;
- შემდგომი განვითარება, ანგარიშგება და კავშირების დამყარება;
- ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა:
- ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტები (საშუალებები, პროგრამები, პერსონალი);
- ხარისხის უზრუნველყოფა (სტანდარტები/ინდიკატორები);
- არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, ხარისხის მოდელები და კრიტიკული შეხედულებები.

რეკომენდაციები განხორციელებისთვის

ეს მოდული ტრენერებს კურსის შემუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და საშუალებების შეძენაში ეხმარება. იგი ასახავს მეთოდებს, რომლებიც ზრდასრულთა შესაბამისი დიდაქტიკის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და შესაფერისია საჭიროებების შესაფასებლად, პროგრამის შემუშავებისთვის, დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის და გაკვეთილის შესაფასებლად. მონაწილეების გამოცდილება ამ პროცესის ნაწილად უნდა გამოვიყენოთ. ეს მოდული მოითხოვს მეთოდების ერთობლიობას, მათ შორის, თემატურ მონაცემებს, პროფესიულ გაცვლასა და ჯგუფურ დისკუსიებს. მონაწილეები ყოველთვის უნდა იყვნენ კრიტიკულები კონკრეტული საშუალებების არჩევისა და გამოყენების შედეგების მიმართ, სხვა მოდულებში ასახული პრინციპების გათვალისწინებით. მოდულის ბოლოს მონაწილეები არჩეული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილებას იძენენ, რაც სწავლის შედეგების მდგრადობას უზრუნველყოფს. ისინი, ასევე, შეიძენენ ძირითად უნარებს მომავალში საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის.

პრაქტიკული გამოყენება და ასახვა

ტრენინგის ხუთფაზიანი ციკლის შექმნისათვის მონაწილეების მხარდასაჭერად სხვადასხვა მეთოდის გამოყენება შეიძლება. ისინი, შეიძლება, დაიყონ ჯგუფებად და შესთავაზონ თემა და დავალება, რომ განავითარონ მთელი ციკლი, რომელიც მუშაობის ცალკეულ ეტაპს აღწერს. მათ შეუძლიათ სცენარის შემუშავება და კურსის მზადების მოდელირება. ჯგუფს შეუძლია, ერთობლივად განიხილოს სხვადასხვა

წინადადება, გააანალიზოს ინდივიდუალური შესაძლო გადაწყვეტილებები და იდეები და შემდეგ, განხორციელებამდე გადახედოს გეგმას. შესაძლებელია თვით განხორციელების მოდელირებაც, რასაც შეფასება და ჯგუფური დისკუსია მოჰყვება სწავლის რეალურ „ერთეულებზე“ დაყრდნობით.

საჭიროებების ანალიზი და კურიკულუმის შემუშავება უმნიშვნელოვანესია ზოგიერთი ტრენერისთვის და მეორეხარისხოვანია სხვებისთვის, რომლებიც, შესაძლოა, წინასწარ განსაზღვრული კურიკულუმით ასწავლიან. შესაბამისად, საჭიროებების ანალიზის შემოღება ციკლის დასაწყისში შეიძლება, მაგალითად, მოდულში 1, როდესაც განიხილება ზრდასრულთა სწავლისა და განათლების პოლიტიკა და მიწოდებაზე ორიენტირებული მიდგომიდან მოთხოვნაზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა. თუმცა, საჭიროებების ანალიზისა და კურიკულუმის შემუშავების ზოგიერთი ასპექტი ტრენინგის მომზადებისა და განხორციელების ნაწილია, რაც ამ სფეროებში ძირითად ცოდნას მოითხოვს. კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი ამჟამად პოპულარული მიდგომაა, განსაკუთრებით, პროფესიულ განათლებაში, ასევე, სწავლის უფრო მოკლე ფორმებში. ამრიგად, DACUM-ის (http://www.dacum.org/) მსგავსი მეთოდები უნდა იყოს წარმოდგენილი და დანერგილი იმ მიზნით, რომ მოხდეს შედეგებზე ორიენტირებული აზროვნების პრაქტიკაში გამოყენება და მასალაზე დაფუძნებული კურიკულუმის მეთოდის სიღრმისეული შესწავლით შეცვლა. ტრენინგის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინება მონაწილეებს დაეხმარება, მოქნილნი დარჩნენ ჯგუფის მოთხოვნილებების, პროცესებისა და შესაძლო კონტექსტური ცვლილებების მიმართ.

განათლებაში შეფასება ფართო საკითხია და ამიტომ, წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ძირითადი ასპექტებისა და საკითხების მიმოხილვა, აქცენტით თავად სწავლის შეფასებაზე. ხარისხის უზრუნველყოფა დამოკიდებულია კონტექსტზე, რაც ისეთი ძირითადი მიდგომების წარმოჩენას მოითხოვს, როგორსაც საერთაშორისო ორგანიზაციები გამოიყენებენ. ამას მოჰყვება კრიტიკული რეფლექსია და ჯგუფური დისკუსია, ადგილობრივი და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით.

რეკომენდებული მოცულობა

- 24 აკადემიური საათი (≈ 4 დღე);
- 20 საათი ინდივიდუალური სწავლებისა და შეფასებისთვის;
- პრაქტიკული გამოყენება და სავარჯიშოები (20-დან 50 საათამდე).

არჩევითი მოდულ(ებ)ი

კომპეტენცია არჩევითი მოდულის თემის მიხედვით განისაზღვრება
მათ, ვინც ერთი ან მეტი არჩევითი მოდული დაასრულა, სიღრმისეული სპეციალიზებული, ფაქტობრივი და თეორიული ცოდნა მიიღეს, რომელიც ზრდასრულთა განმანათლებლის პროფესიული საქმიანობის, სულ მცირე, ერთ სფეროს ან ასპექტს ეხება – არჩევით მოდულში განსაზღვრულ სფეროს ან ასპექტს. მათ შეიძინეს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრი, რაც აუცილებელია ამ სფეროში ან ასპექტში პროფესიული მუშაობისთვის ან კოორდინაციისთვის.

სხვა მოდულებთან კავშირები

არჩევითი მოდულ(ებ)ი მონაწილეებს საშუალებას აძლევს:

- გაიღრმაონ ძირითად მოდულებში შეძენილი ცოდნა და უნარები სპეციფიკურ თემასთან ან უნარებთან დაკავშირებით (მაგალითად, სასწავლებლის დაფინანსება, საჭიროებების შეფასება, კურიკულუმის შემუშავება ან შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით მეთოდების დივერსიფიკაცია);
- განავითარონ ძირითადი მოდულებით შეძენილი ცოდნა და უნარები და ისინი კონკრეტულ შინაარსზე გამოიყენონ (მაგალითად, სწავლება და სწავლა ზრდასრულთა წიგნიერების პროგრამებში, ALE-ის პოლიტიკა, თაობათაშორისი სწავლება, ციფრული სწავლება, პროფესიული განათლება ან გადამზადება);
- გააფართოონ საკუთარი კომპეტენციის პროფილი თავიანთი პროფესიული საქმიანობის სფეროსთან ან ასპექტთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენით, რომლებიც არ წარმოადგენს ძირითადი მოდულების ფუნდამენტურ ნაწილს (მაგალითად, მენეჯმენტი, ადვოკატირება და ლობირება ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაში, კრიზისულ სიტუაციებში სწავლება და სწავლა ან მუშაობა სიღარიბეში);
- განავითარონ ძირითად მოდულებში მიღებული ცოდნა და უნარები და მათი გამოყენება კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე (მაგალითად, გენდერზე ორიენტირებული ზრდასრულთა სწავლა და განათლება, მიგრანტებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) მუშაობა, ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება და სწავლა).

თემები

მოცემულ კონტექსტში შესაფერისი იქნება ზრდასრულთა განმანათლებლების პროფესიული საქმიანობის შესაბამისი თემების ფართო სპექტრი.

რეკომენდაციები განხორციელებისთვის

ფორმატი და დიდაქტიკური მიდგომა არჩეულ თემაზე იქნება დამოკიდებული და, შესაბამისად, ზოგადი მითითებების მიცემა შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, ზოგადი პრინციპები, რომლებიც Curriculum globALE-ის ემყარება (მონაწილესა და მოქმედებაზე ორიენტირებული განხორციელება, მონაწილეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, ურთიერთპატივისცემა, ინტერაქტიული

მეთოდები და რეფლექსია), დაცული უნდა იყოს არჩევითი მოდულის შემუშავებისას.

რეკომენდებული მოცულობა

არჩევითი მოდულები Curriculum globALE-ის შემადგენელი ნაწილია და CG-ის სასწავლო პროგრამის სრული ნაწილიდან არ უნდა გამოირიცხოს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია,როდესაც საქმე სერტიფიცირებას ეხება. RPL, როგორც ძირითადი მოდულების, გამოყენება სერტიფიცირების მიზნით შეიძლება.
ერთი ან მეტი მოდულის შემთხვევაში, რეკომენდებული მთლიანი მოცულობა იქნება:

- 48 აკადემიური საათი (≈ 8 დღე);
- 42 საათი ინდივიდუალური სწავლებისა და შეფასებისთვის;
- 76 საათი პრაქტიკული გამოყენებისა და სავარჯიშოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Asia South Pacific Association for Basic and Adult Education (ASPBAE). 2014. *Ed-lines: Quality education for all.* September 2014. Issue No. 11. [pdf] New Delhi, ASPBAE. Available at: http://www.aspbae.org/userfiles/oct14/ASPBAE_Ed_lines_Sept_2014.pdf [Accessed 10 July 2020].

Bernhardsson, N. and Lattke, S. eds. 2011. *Core competencies of adult learning facilitators in Europe: Findings from a transnational Delphi survey conducted by the project 'Qualified to teach'.* [pdf] Bonn, DIE. Available at: http://asemlllhub.org/fileadmin/www.dpu.dk/ASEM/events/RN3/QF2TEACH_Transnational_Report_final_1_.pdf. [Accessed 15 July 2020].

Brookfield, S. 1995. *Becoming a critically reflective teacher.* San Francisco, Jossey-Bass.

Buiskool, B.J., Broek, S.D., Lakerveld van, J.A., Zarifis, G.K. and Osborne, M. 2010. *Key competences for adult learning professionals.* [pdf] Zoetermeer, Research voor Beleid. Available at: http://pure.pascalobservatory.org/sites/default/files/keycomp_0.pdf?_sm_au_=iVV3MF2STFWW61rF [Accessed 10 July 2020].

CEDEFOP (European Centre for the Development of Vocational Training]. 2013. *Trainers in continuing VET: Emerging competence profile.* [pdf] Luxembourg, Publications Office of the European Union. Available at: https://files.eric.ed.gov/fulltext/ED542560.pdf [Accessed 10 July 2020].

Dang, Q.A. 2010. Review of *Teachers and trainers in adult and lifelong learning: Asian and European perspectives.* R. Egetenmeyer and E. Nuissl. eds [pdf] Frankfurt, Peter Lang. Available at: https://www.dpu.dk/fileadmin/www.dpu.dk asemeducationandresearch hubforlifelonglearning/publications/resources_3844.pdf [Accessed 10 July 2020].

The Danish Institute for Human Rights. 2016. Human rights in follow-up and review of the 2030 Agenda for Sustainable Development. Draft Paper. [pdf] Copenhagen, The Danish Institute for Human Rights. Available at: https://www.un.org/esa/socdev/unpfii/documents/2016/National-HR/DIHR-FuR-paper_final-draft_29_02_16-Danemark.pdf [Accessed 10 July 2020].

DIE (German Institute for Adult Education – Leibniz Centre for Lifelong Learning). 2020. GRETA. [online] Bonn, DIE. Available at: https://www.greta-die.de/ [Accessed 10 July 2020].

DIE. 2020a. Lehrkräfte in der Erwachsenen- und Weiterbildung. [online] Bonn, DIE. Available at https://www.die-bonn.de/institut/wir-ueber-uns/presse/mitteilungen/Panelstudie_TAEPS.aspx [Accessed 10 July 2020].

DVV International (Institute for International Cooperation of the German Adult Education Association). n.d. DVV International Overview. [online] Bonn, DVV International. Available at: https://www.dvv-international.de/en/about-us/profile [Accessed 10 July 2020].

Egetenmeyer, R. 2010. The professionalisation in adult education: A European perspective. In: R. Egetenmeyer and E. Nuissl. eds. 2010. Teachers and Trainers in Adult and Lifelong Learning. Asian and European Perspectives. Frankfurt am Main, Peter Lang.

Egetenmeyer, R. and Nuissl E. eds. 2010. Teachers and trainers in adult and lifelong learning: Asian and European perspectives. Frankfurt, Peter Lang.

Flexi-Path Partnership. n.d. Flexi-path toolkit: A guide to creating a professional portfolio to demonstrate the high-level competences of adult educators. [pdf] Timişoara, Waldpress. Available at: http://www.flexi-path.eu/tools/C.3.5.1_Toolkit_English.pdf [Accessed 22 January 2021].

Freire, P. 2000. Pedagogy of the oppressed, 30th anniversary edition. New York, Continuum.

Gadio, M. 2011. Reflect and social transformation in the south of Mali. Adult Education and Development, 76, pp. 189–200. Bonn, DVV International.

Hanemann, U. 2015. REFLECT Literacy and Livelihood Programme (RLLP), Sudan. [online] Hamburg, UIL. Available at: https://uil.unesco.org/case-study/effective-practicesdatabase-litbase-0/reflect-literacy-and-livelihood-programme-sudan [Accessed 10 July 2020].

ICAE (International Council for Adult Education). 2015. Mission. [online] Available at: http://icae.global/en/about/mission/ [Accessed 10 July 2020].

Jääger, T and Irons, J. eds. 2006. AGADE. Towards becoming a good adult educator. Recourse book for adult educators. [pdf] Available at: http://www.laea.lv/UserFiles/File/publikacijas/LPIA-Agade-A4.pdf [Accessed 23 July 2020].

Knowles, M. 1984. The adult learner: A neglected species. 3rd ed. Houston, Gulf Publishing.

Kolb, D. 1984. Experiential learning: Experience as the source of learning and development. Englewood Cliffs, Prentice-Hall.

LINCS. n.d. Teacher certification and credentialing in adult education. [online] Available at: https://lincs.ed.gov/lincs/discussions/professionaldevelopment/11certification_transcript [Accessed 10 July 2020].

Ling, Y. 2010. Inquiry into the prospective competence of lifelong learning professionals in Macau SAR, China. In: R. Egetenmeyer and E. Nuissl. eds. 2010. Teachers and Trainers in Adult and Lifelong Learning. Asian and European Perspectives. Frankfurt am Main, Peter Lang.

Mezirow, J. 1997. Transformative learning: Theory to practice. In: P. Cranton. ed. Transformative learning in action. New Directions for Adult and Continuing Education. No. 74. San Francisco, Jossey-Bass.

OECD. 2005. The definition and selection of key competencies. Executive summary. [pdf] Paris, OECD. Available at: http://www.oecd.org/pisa/35070367.pdf [Accessed 10 July 2020].

OECD. 2020. Better criteria for better evaluation: Revised and updated evaluation criteria. [pdf] Paris, OECD. Available at: https://www.oecd.org/dac/evaluation/evaluation-criteriaflyer-2020.pdf [Accessed 10 July 2020].

OHCHR (Office of the United Nations High Commissioner for Human Rights). 1966. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. [pdf] Geneva, OHCHR. Available at: https://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cescr.pdf [Accessed 10 July 2020].

OHCHR. 1999. General Comment No. 13: The right to education (Article 13. Adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights at the Twenty-First Session, E/C.12/1999/10, 8 December 1999. [online] Geneva, OHCHR. Available at: https://www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Compilation/Pages/d)General CommentNo13Therighttoeducation(article13)(1999).aspx [Accessed 22 January 2021].

Orlović, V. and Popović, K. 2018. Lifelong learning for sustainable development – Is adult education left behind? In: W.L. Filho, M. Mifsud, P. Pace. eds. Handbook of Lifelong Learning for Sustainable Development. Wiesbaden, Springer.

Panahon II, A. 2009. Adult education in lifelong learning and the need to professionalize the ranks of stakeholders: The Asian perspective. In: R. Egetenmeyer and E. Nuissl. eds. 2010 Teachers and Trainers in Adult and Lifelong Learning. Asian and European Perspectives. Frankfurt am Main, Peter Lang.

Research voor Beleid. 2010. Key competences for adult learning professionals. [pdf] Zoetermeer, Research voor Beleid. Available at: http://conference.pascalobservatory.org/sites/default/files/keycomp_0.pdf [Accessed 22 January 2021].

Rhizome. n.d. What is REFLECT? [online] Available at: http://rhizome.coop/reflect-action-org/what-is-reflect/ [Accessed 10 July 2020].

Rogers, A. 2005. Training adult literacy educators in developing countries. Paper commissioned for the EFA Global Monitoring Report 2006, Literacy for Life. [pdf] Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000146107/PDF/146107eng.pdf.multi [Accessed 10 July 2020].

Schweighöfer, B. 2019. Youth and adult education in the Agenda 2030 and the Sustainable Development Goals. Bonn, DVV International.

SVEB (Swiss Federation for Adult Learning). 2021. Course: SVEB Certificate (in English). [online] Olten, SVEB. Available at: https://www.lernwerkstatt.ch/angebot/svebcertificate-in-english/course/ [Accessed 10 July 2020].

UIE (UNESCO Institute for Education). 1997. CONFINTEA. Adult education: The Hamburg Declaration; the agenda for the future. [pdf] Hamburg, UIE. Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000116114/PDF/116114engo.pdf.multi [Accessed 10 July 2020].

UIL (UNESCO Institute for Lifelong Learning). 2010. CONFINTEA VI. Belém Framework for Action: Harnessing the power and potential of adult learning and education for a viable future. [pdf] Hamburg, UIL. Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000187789 [Accessed 10 July 2020].

UIL. 2013. Second Global Report on Adult Learning and Education: Rethinking literacy. [pdf] Hamburg, UIL. Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000222407 [Accessed 10 July 2020].

UIL. 2016. Third Global Report on Adult Learning and Education: The impact of adult learning and education on health and well-being; employment and the labour market; and social, civic and community life. [pdf] Hamburg, UIL. Available at: https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/grale-3.pdf [Accessed 10 July 2020].

UIL. 2019. Fourth Global Report on Adult Learning and Education: Leave no one behind: Participation, equity and inclusion. [pdf] Hamburg, UIL. Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000372274/PDF/372274eng.pdf.multi [Accessed 10 July 2020].

UIL. 2019a. 'Developing a curriculum and competence framework for adult educators'. Workshop report. Hamburg, UIL, 3-4 December 2019.

UN (United Nations). 2015. Transforming our world: The 2030 Agenda for Sustainable Development. [online] New York, UN. Available at: https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld [Accessed 10 July 2020].

UNDG (United Nations Sustainable Development Group). 2003. The human rights based approach to development cooperation towards a common understanding among UN agencies. [pdf] New York, UN. Available at: https://unsdg.un.org/sites/default/files/6959-The_Human_Rights_Based_Approach_to_Development_Cooperation_Towards_a_Common_Understanding_among_UN.pdf [Accessed 10 July 2020].

UNESCO (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization). 2015. Education 2030. Incheon Declaration: Towards inclusive education and lifelong learning for all. [pdf] Paris, UNESCO. Available at: http://uis.unesco.org/sites/default/files/documents/education-2030-incheon-framework-for-action-implementation-ofsdg4-2016-en_2.pdf [Accessed 10 July 2020].

UNESCO. 2015a. Recommendation on adult learning and education 2015. [pdf] Paris, UNESCO. Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245179 [Accessed 10 July 2020].

UNESCO. 2019. Right to education handbook [pdf]. Paris, UNESCO. Available at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000366556 [Accessed 8 October 2020].

UNESCO Institute for Statistics (UIS). 2012. International Standard Classification of Education: ISCED 2011. [pdf] Montreal, UIS. Available at: http://uis.unesco.org/sites/default/files/documents/international-standard-classification-of-education-isced-2011-en.pdf [Accessed 10 July 2020].

VINEPAC. 2008. Handbook for the use of Validpack for the validation of psycho-pedagogical adult educator's competences. S. Sava and R. Lupou. coord. Timişoara, VINEPAC.

WBA (Austrian Acaemy of Continuing Education). 2020. Austrian Academy of Continuing Education (wba). [online] Wein, WBA. Available at: https://wba.or.at/de/english/wba.php [Accessed 10 July 2020].

Zhu, S., Zhu, H. and Hu, P. The professionalisation of personnel working in adult education in China. In: R. Egetenmeyer and E. Nuissl. eds. 2010. Teachers and Trainers in Adult and Lifelong Learning. Asian and European Perspectives. Frankfurt am Main, Peter Lang.

ეს პუბლიკაცია წარმოადგენს Curriculum globALE-ის ძირითადი კომპეტენციის ჩარჩოს ზრდასრულთა განმანათლებლის მოსამზადებლად მთელ მსოფლიოში. მოდულური, კომპეტენციაზე დაფუძნებული სტრუქტურისა და ინტერსაგანმანათლებლო მიდგომის გათვალისწინებით, Curriculum globALE უნიკალურია ზრდასრულთა სწავლისა და განათლების (ALE) საერთაშორისო მასშტაბით, პროფესიონალიზაციის მიზნით, იმ კომპეტენციების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს ზრდასრულთა განმანათლებლებს, იმუშაონ ნებისმიერ საგანმანათლებლო გარემოში, სფეროსა ან ფორმატში. იგი განმანათლებლების ცოდნის, კომპეტენციების, უნარებისა და დამოკიდებულებების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ცდილობს.

Curriculum globALE შესაფერისია სხვადასხვა კონტექსტისთვის და მისი ხასიათი და სტრუქტურა სხვადასხვა ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში მისი ჩართულობის საშუალებას იძლევა.

Curriculum globALE მიზნად ისახავს:

- ALE-ის პროფესიონალიზაციის გაძლიერებას ზრდასრულთა სწავლის პროგრამების საერთო საცნობარო ჩარჩოსა და ზრდასულთა განმანათლებლებისთვის კომპეტენციების შემოთავაზებული სტანდარტით;
- ALE-ის მიმწოდებლების მხარდაჭერას ტრენერთა ტრენინგის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ზრდასრულთა განმანათლებლებს შორის ცოდნის გაცვლისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობას მთელ მსოფლიოში.